გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
სამშაბათი, 19 ივლისი, 2005 წელი.
№169 (5202)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბრძოლის გაცდენა ყველა ჟურნალისტის უსამართლობაა.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

◎ პრეზიდენტი

## ჟამი შედეგების შეჯამებისა

### მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორებისგან ანგარიშს იბარებს



**რა გაკეთდა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყნის მხარეებში, კერძოდ, წლევანდელ შვიდ თვეში, რას გეგმავენ საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები? — ეს იყო ძირითადი საკითხი, რომელიც განიხილეს 17 ივლისს ბათუმში გამართულ შეხვედრაზე.**

— ახლა ჩვენ გვინდა, მოვისმინოთ არა მხოლოდ ის, თუ რა გააკეთეთ რეგიონებში (და მე ვიცი, რომ ყველგან რაღაც კეთდება, ყველგან არის მოძრაობა), არამედ ის, თუ რა პრობლემები გაქვთ, — მიმართა ქვეყნის პირველმა პირმა შეხვედრის მონაწილე გუბერნატორებს.

სათქმელიცა და გასაკეთებელიც რომ ბევრია, ეს დაადასტურა კიდეც გუბერნატორთა მოხსენებებმა. მათ დეტალურად წარმოადგინეს განვლილი 7 თვის მუშაობის შედეგები და საილუსტრაციო მასალებზე — ფოტოებსა და პროექტებზე დაყრდნობით ილაპარაკეს მიღწეულსა და გაკეთებულზე, ამასთან, ხაზგასმით აღნიშნეს საარსებოდ მნიშვნელოვანი საკითხების უახლოეს დროში გადაწყვეტის აუცილებლობა.

საქართველოს პრეზიდენტი თავისი რწმუნებულების მოხსენებებიდან ცდილობდა გარკვეულიყო რეგიონების პრობლემებში. იგი თითოეულ გამომსვლელს კონკრეტულ შეკითხვებს უსვამდა და მათგანაც კონკრეტულ პასუხებს ითხოვდა.

შეხვედრის შედეგების შეჯამებისას ქვეყნის პირველმა პირმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ასეთი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

— უპირველეს ყოვლისა, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა, — ყველა თქვენგანის მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ასეთი დეტალური საუბარი გაიმართა, თუ რა კეთდება და რა გაკეთდა ქვეყანაში.

იხ. მე-2 გვ.

## თქვენთან ასფალტის დაგება რა ჯდება?

**„რა უფლება მქონდა, არ მერწმუნა ამ ევროპულად თუ ამერიკულად განსწავლული, თანაც დემოკრატი რწმუნებულებისა, მაგრამ, კვირას — 17 ივლისს, როცა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ისინი ბათუმში შეკრიბა და გაწეული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა, მათზე ცოტა არ იყოს, შთაბეჭდილება გამინაცრისფერდა".**

იხ. მე-2 გვ.

◎ აჭარი

## ნატოს სტანდარტების შესატყვისი





**საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი დარწმუნებულია, რომ 2006 წლის ბოლოს საქართველოს ნატოს სტანდარტების შესაბამისი სამი სრულფასოვანი ბრიგადა ეყოლება.**

მისი განცხადებით, ამჟამად ყველას შეუძლია დარწმუნდეს და საკუთარი თვალით იხილოს, თუ სად და როგორ იხარჯება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი.

როგორც ოქრუაშვილი აცხადებს, ორფოლოს პოლიგონზე წარმოდგენილია ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული თანამედროვე და ახალი ტექნიკა, რომელიც ქართველ ჯარისკაცებს იმ ამოცანების შესრულებას გაუადვილებს, მათ ხელისუფლება და სარდლობა რომ დაუსახავს.

როგორც ორფოლოს პოლიგონზე გამართული საჩვენებელი წვრთნების დროს ოქრუაშვილმა აღნიშნა, ის კმაყოფილია ქართველი ტანკისტების საბრძოლო სულისკვეთებით და მომზადებით, და მიაჩნია, რომ მათ ნებისმიერი დასახული ამოცანის შესრულება ხელეწიფებათ.

წვრთნებში დღეს დაახლოებით 150 ერთეული ჯავშანტექნიკა, ორი „იოკერის" ტიპის შვეულმფრენი, ექვსი „მი-24" ტიპის მოიერიშე, საარტილერიო ბატალიონი მონაწილეობს.

იხ. მე-2 გვ.



## იქნებ გეცნობათ?

**შინაგან საქმეთა სამინისტრო 10 მაისს თავისუფლების მოედანზე აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების გამოსვლის დროს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ერთ-ერთი პიროვნების იდენტიფიკაციას ცდილობს და მის ფოტოს შსს-ს ვებ-გვერდზე აქვეყნებს.**

ამის შესახებ გუშინ შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს შს სამინისტრო და ამერიკის ფედერალური ბიურო გამოძიების მიმდინარეობის პერიოდში იმ პიროვნების დადგენას ცდილობენ, რომელმაც ორი ქვეყნის პრეზიდენტების გამოსვლის დროს ტრიბუნის მიმართულებით ხელყუმბარა ისროლა.

შს სამინისტრო აქვეყნებს ფოტოს, რომელზეც გამოსახულია დაახლოებით 25-35 წლამდე ასაკის, 175-180 სმ სიმაღლის შავგვრემანი მამაკაცი. მოქალაქეს, რომელიც გამოძიებას აღნიშნული პიროვნების იდენტიფიკაციაში დაეხმარება, სამინისტრო 150 ათასი ლარის ოდენობის ჯილდოს გადასცემს. მინისტრის თქმით, ანონიმურობა დაცული იქნება.

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, მოქალაქეებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ სამინისტროს ცხელ ხაზზე, რომლის ტელეფონის ნომერია 30-76-01.

◎ ინფორმაცია

### ნინო ბურჯანაძე — ქუთაისში

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ქუთაისში ჩავიდა. იგი როგორც ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, მოსახლეობასთან შეხვედრების გამართვას გეგმავს. პარლამენტის სპიკერი უკვე ეწვია განათლების სამინისტროს საგამოცდო ცენტრებს, რომლებიც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სახელმწიფო გიმნაზიაშია განთავსებული. ნინო ბურჯანაძე აბიტურიენტებსა და მათ მშობლებს გაესაუბრა.

გუშინვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ქუთაისში საოლქო პროკურატურის ახლადგარემონტებული შენობის გახსნას დაესწრო.

ინტერპრესნიუსი.

### ზურაბ ნოღაიდელი — აზერბაიჯანში

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში გაემგზავრა, სადაც ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს განიხილავს.

როგორც მედიანიუსს პრემიერ-მინისტრის აპარატში განუცხადეს, ნოღაიდელი თავის აზერბაიჯანელ კოლეგას არტურ რასიზადესა და „იზ-აზერბაიჯანის" პრეზიდენტს დევიდ ვუდვორდს შეხვდება.

პრემიერი, აგრეთვე, მონაწილეობას მიიღებს განჯაში დაგეგმილ საქართველო-აზერბაიჯანის სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომაში, რომელზეც ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ.

### მიხეილ მაჭავარიანის აზრით

თითქმის გადაწყვეტილია, რომ შუალედურ მაჟორიტარულ არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატებს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატები დაუპირისპირდებიან.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი ოპოზიციის ერთიანობას დროებით მოვლენას უწოდებს და აცხადებს, რომ ერთიან კანდიდატურებზე შეთანხმება ოპოზიციის სისუსტის გამოვლინებაა.

„გარდა ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმებისა, მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, რადგან ცალ-ცალკე იმდენად სუსტები არიან, რომ „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატურებთან კონკურენციაზე საუბარიც არ არის. სხვათაშორის, მე პირადად მივესალმები მათ ერთიანობას და ძალზე მაინტერესებს, რა გამოუვათ. თუმცა, მაინც მიმაჩნია, რომ ეს ერთიანობა დროებითია", — განაცხადა მედიანიუსთან ინტერვიუში პარლამენტის ვიცე-სპიკერმა.

მაჭავარიანის თქმით, ოპოზიცია პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარს უნდა მოეშვას და სხვა, უფრო სერიოზულ საკითხებზე იფიქროს.

„გელაშვილის ცემის ფაქტი ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მონათლა. მიმაჩნია, რომ ეს საქმე სასწრაფოდ უნდა გაიხსნას და მერე, შესაძლოა, ზოგიერთი პოლიტიკოსი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს", — აღნიშნა მან.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი დარწმუნებულია, რომ საშემოდგომო სესიის დაწყებისას ოპოზიციას ბოიკოტი აღარ გაახსენდება და სხდომებს დაესწრება.

მედიანიუსი.

### ვალერი გელაშვილის ოპერაცია გადაიდო

ვილნიუსის საავადმყოფოში პარლამენტარ ვალერი გელაშვილს ოპერაცია შესაძლოა აღარ გაუკეთონ და იგი გაურკვეველი ვადით გადაიდოს.

როგორც ინტერპრესნიუსს ვალერი გელაშვილის ძმამ ზაურ გელაშვილმა განუცხადა, საავადმყოფოში დილიდან მიმდინარეობდა კონსილიუმი, რომლის დასრულებამდე ექიმებმა განაცხადეს, რომ ვალერი გელაშვილის მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე პირველი დასკვნის საფუძველზე ვარაუდობდნენ. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია უფრო სერიოზული გართულებები და სამშაბათისთვის დაგეგმილი ოპერაცია შესაძლოა აღარ ჩატარდეს.

ზაურ გელაშვილის განცხადებით, მის ძმას თავის ტვინის სერიოზული ტრავმა აქვს მიღებული და მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

ინტერპრესნიუსი.

◎ პანორამა

**კორეის** სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების წევრმა კიმ ირ ტომ, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა სამხრეთ კორეაში, განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეას აქვს 4 კილოგრამი პლუტონიუმის მარაგი და ამ ქვეყანამ შექმნა ატო-



მური ბომბი, რომლის წონა ერთ ტონას შეადგენს. მაგრამ როგორც კიმ ირ ტომ თქვა, მას ეჭვი ეპარება იმაში, რომ ჩრდილოკორეელმა მეცნიერებმა შეძლონ თანამედროვე ბირთვული იარაღის დამზადება.

* * *

**იუშჩენკომ** უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ უკრაინაში აღარ იქნება სახელმწიფო ავტოინსპექცია. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას პრეზიდენტი განმარტავს ამ უწყებაში კორუფციის მაღალი დონით. გარდა ამისა, პრეზიდენტს საჭიროდ მიაჩნია, რომ მთლიანად შეიცვალოს ოლქებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოების ხელმძღვანელი შემადგენლობები.

* * *

**შვეიცარიის** ქალაქ ლოზანის სასამართლომ განიხილა იუსტიციის ფედერალური სამმართველოს აპელაცია, რომელიც არ დაეთანხმა რუსეთის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელის ევგენი ადამოვის დაპატიმრების ცნობას. კანონიერად. სასამართლო დადგენილება ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა, სამშაბათს მას გაუგზავნიან მხარეებს, რის შემდეგაც უკვე შესაძლებელი იქნება მისი გამოქვეყნება.

* * *

**„ალ-ქაიდა"** ემზადებოდა ტონი ბლერის მოსაკლავად. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ამას, ჩამოართვეს მოთარეშეებს გასული წლის მაისში, განაცხადა საერთაშორისო ტერორიზმის დარგის წამყვანმა ევროპელმა ექსპერტმა ფრანგმა როლანდ ჟოკარმა. ტერორისტს ტონი ბლერი უნდა მოეკლა რიცინით მოწამლული დანით.

## სიკვდილსაც აღარ ვუნდივარ!..

„ვის არ მივმართე დახმარებისთვის, ყურადღება კი არავინ მომაქცია. ვთხოვე თოფაძეს, ჭყონიას და, საერთოდ, არც ერთი ბიზნესმენი არ დამიტოვებია, მაგრამ მათგან დამცირების მეტი ვერაფერი მივიღე. უფრო მეტიც — ერთ-ერთ მათგანს რომ ვუთხარი, ისეთ დღეში ვარ, იძულებული ვხდები ბენზინი გადავისხა და თავი დავიწვა-მეთქი, ასე მიპასუხა, — გარეთ გადი და თავი იქ დაიწვი, თორემ აქ პარკეტი გამიფუჭდებაო".

იხ. მე-4 გვ.

## დავძლევთ როდესმე სიღარიბეს?

**სიღარიბის** წინააღმდეგ ბრძოლისა და, შესაბამისად, ამერიკის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ქვეყნის განვითარების გეგმის აღსრულებას თავიდან თითქოსდა კარგად გამოეხმაურა ამჟამინდელი ხელისუფლება. შეიქმნა შესაბამისი სამთავრობო კომისიაც, თუმცა დღემდე მისი რეალური გადაწყვეტისათვის გაწეული საქმე არ ჩანს. კომისიის მუშაობა გაუმჭვირვალეა.

იხ. მე-3 გვ.



## რამაც აჭარაში გაამართლა, ის არ გამოდგება ცხინვალის რეგიონში, ხოლო, რაც ცხინვალის რეგიონში გაამართლებს, არ გამოდგება აფხაზეთში



**„ცხინვალის რეგიონშიც და აფხაზეთშიც საჭიროა გაწონასწორებული ნაბიჯების გადადგმა, ხოლო საზოგადოებებს შორის ნდობის აღსადგენად, საქართველოს მხრიდან აუცილებელია მომხდარის შეფასება".**

იხ. მე-3 გვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## აჭარა: ერთი წლის შემდეგ

**ერთ წელზე ოდნავ მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც, რევოლუციის შედეგად, დატოვა აჭარა მისმა ლიდერმა ასლან აბაშიძემ. პოლიტიკოსთა შეფასებით, ამ ადამიანმა, რომელიც 13 წელზე მეტ ხანს მართავდა რეგიონს, შეძლო ავტონომიაში დაემყარებინა კორუფციაზე, ძალადობასა და ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაზე დაფუძნებული დიქტატურა.**

**რა შეიცვალა აჭარაში ამ დროის განმავლობაში, როგორ ცხოვრობენ იქ ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინათ მიკროფონიანი ჟურნალისტის დანახვასაც კი გაურბოდნენ? მე ჩავედი ბათუმში და ვცადე შევხვედროდი იმავე ადამიანებს, რომლებთანაც აბაშიძის მმართველობის დროს თითქმის გასაიდუმლოებულ პირობებში მომიწია საუბარი.**

### ხიდი

**პირველი** პუნქტი გახდა ხიდი მდინარე ჩოლოქზე. გასული წლის მაისის დამდეგს ამ ადგილზე მხოლოდ ნანგრევები იყო. ასლან აბაშიძის ბრძანებით ააფეთქეს ხიდი, რათა თბილისიდან ვერავის შეეღწია მის სამფლობელოში. ამით პრაქტიკულად დაიწყო კიდეც რევოლუცია აჭარაში. სწორედ მაშინ გავხდით ჩვენ იმის მოწმეები, თუ როგორ დაეშვა მდინარისკენ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, როგორ გადავიდა ფონზე და როგორ შეხვდა აბაშიძის შეიარაღებულ ხალხს. ორი დღის შემდეგ კი ბოლო მოეღო აჭარის ლიდერის რეჟიმს, და ახლა ახალ ხიდზე უკვე აღარაფერი მოგვაგონებს იმას, რაც ოდესღაც მოხდა



„საქართველო-საქართველოს" საზღვარზე.

იხ. მე-2 გვ.

◎ პრეზიდენტი

# ჟამი შედეგების შეჯამებისა

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს პრეზიდენტმა გაიხსენა შევარდნაძის მთავრობის ის გარკვეულწილად ისტორიული სხდომა, როცა მას მოუხდა მაშინდელი მინისტრების მიერ საკუთარი თავისთვის აშენებული მდიდრული სახლების სურათების ჩვენება. – ახლა ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ ხალხს, თუ რა აშენდა მათთვის, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა და განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ მნიშვნელოვან პროექტებს, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს არაერთი სოციალური პრობლემის გადაწყვეტას.

მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ კმაყოფილია აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის და კახეთის გუბერნატორის პეტრე ცისკარიშვილის მუშაობით. საერთოდ კი, შეხვედრის მასპინძლის ლევან ვარშალომიძის სახელი შეხვედრაზე ძალიან ბევრჯერ ახსენეს დადებითი კონტექსტით. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, იგი მოხიბლულია რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის ოთარ სირაძის მუშაობით, რომელიც წყალდიდობის დროს ყველა ოჯახში მივიდა, ყველა ადამიანი პირადად გაიცნო, ყველას გასაჭირი გაიზიარა. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ კი საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დახრჩობას გადაარჩინა დუშეთის რაიონში მცხოვრები ერთ-ერთი ქალბატონი.

– გუბერნატორი სულ ხალხში უნდა ტრიალებდეს, სულ ადამიანებთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეს, – აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა. – გუბერნატორმა, რომელმაც არ იცის, რომელ სოფელში რა პრობლემაა, რომელი დამსახურებული ადამიანი ცხოვრობს იქ და რა აწუხებს მას, ვერ იქნება ჩემი რწმუნებული. ჩვენ ვართ ხალხის მთავრობა, სახალხო მთავრობა, ხალხის წარმომადგენლები და მისი მსახური.

მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ილაპარაკა ქვეყნის მთავარ პრიორიტეტზე. ესენია: გზების, საბავშვო-სათამაშო მოედნებისა და სპორტული დარბაზების მშენებლობა, განათება, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, ქართული ღვინისა და ბრენდის ფალსიფიკაციის აღმოფხვრა. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მან მიმართა სამრეწველო-სავაჭრო პალატის პრეზიდენტს ჯემალ ინაიშვილს, რომ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ბაზარზე ნამდვილი ქართული პროდუქციის ღირსეულად წარმოჩენას.

საქართველოს პრეზიდენტმა თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო მიწის გადასახადის, ასევე გამოუყენებელი მიწების საკითხს, გაკოტრების შესახებ კანონის დაუყოვნებლივ მიღებასა და ამოქმედების აუცილებლობას, კერძო ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.

რეგიონებში კინოთეატრების პრობლემას მიხეილ სააკაშვილის მწვავე რეაქცია მოჰყვა. „ქართულმა ფილმმა" საქართველოს რეგიონებში ყველა კინოთეატრის შენობა მიითვისა, რაც ყოვლად გაუმართლებელია. მან უსაყვედურა „ქართული ფილმის" ხელმძღვანელს რეზო ჩხეიძეს, რომ ეს სახელმწიფოს საკუთრებაა და არა ერთი ჯგუფისა.

– აგვისტოს დამლევისთვის კინოთეატრები ყველგან ადგილობრივ ხელისუფლებას უნდა გადაეცეს, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე მწვავე განცხადება გააკეთა უკრაინის რადის დეპუტატის ტარიელ ვასაძის მიმართ, რომელსაც „ყალბი ინვესტორი" უწოდა და აღნიშნა, რომ მას აუცილებლად უნდა ჩამოერთვას ხადორჰესი და კახეთის ქსელები. არ შეიძლება, რომ ადამიანმა ჩაიგდოს ხელში რეგიონის ელექტრომომარაგების ობიექტები და არაფერს აკეთებდეს.

– საქართველოში არ არსებობს საქმე, რომლის გაკეთება არ შეიძლება. უბრალოდ, უნდა იყოს სურვილი და ნება, – აღნიშნა ქვეყნის პირველმა პირმა. მან მადლიერებით მოიხსენია განსაკუთრებულად გაჭირვებული ადამიანებისთვის სასადილოების გახსნა იმერეთში, გურიაში, სხვაგან... დამატებით უნდა მოინახოს რესურსები, რომ ასეთი სასადილოები მთელ საქართველოში გაიხსნას, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა დასძინა, რომ საქართველოში არ უნდა იყოს არცერთი მშიერი ადამიანი. თუ ადამიანს შია, ის ქვეყანა ქვეყანა არ არის. შეიძლება ადამიანს უჭირდეს, მაგრამ არ უნდა შიოდეს.

ქვეყნის მთავარ ამოცანაზე – ენერგეტიკის პრობლემებზე საუბრისას საქართველოს პრეზიდენტმა დაუფარავად აღნიშნა, რომ რუსეთი გაზის ფასს მკვეთრად ზრდის, რაც მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის ეკონომიკას. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ უფასო დენი და გაზი არ არსებობს, გადახდილი თანხა სახელმწიფომდე უნდა მივიდეს.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის აუცილებელია კარგი გზები, და ისინი სქაართველოში ყველგან უნდა გაკეთდეს. კერძოდ, სამეგრელოში გზების მშენებლობა 23 ნოემბრისთვის დასრულდება. ეს გზები მიუერთდება საზღვაო ნავსადგურებს, სხვადასხვა ტურისტულ ცენტრებს. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, გაორმაგდა საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტების რიცხვი, მომავალ წელს კი ეს რაოდენობა კიდევ გაიზრდება. ბორჯომში შენდება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი პარკი. იგი მხოლოდ დასვენებისა და გართობის ადგილი როდი იქნება, მასთან არის დაკავშირებული სასტუმროების ქსელის, საკურორტო და სამედიცინო ინფრასტრუქტურების განვითარება, ადგილობრივი ექსკურსიების გააქტიურება და გამრავალფეროვნება. ეს პროექტები წელს და გაისად მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს.

– საქართველო პოპულარული ქვეყანა ხდება, უბრალოდ, დროს ფეხი უნდა ავუწყოთ, – ასეთია ქვეყნის პირველი პირის აზრი.

– რა თქმა უნდა, საქართველოში საქმე იდეალურად არ არის და ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ ეს მოძრაობა ერთი წუთითაც არ უნდა შეჩერდეს. ჩვენ გვინდა შედეგები, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში, რეგიონებში ბევრად უფრო სწრაფი ტემპით უნდა გაგრძელდეს მუშაობა, ვიდრე დედაქალაქში და ამას ერთად აუცილებლად მივაღწევთ... დღეს ჩვენს ხელშია საკანონმდებლო და აღმსრულებელი ხელისუფლება, და ვერავის ვერ აუხსნია, რატომ არ გვარდება ესა თუ ის პრობლემა. ხალხმა ყველაფერი მოგვცა და გვითხრა, რომ გვენდობა, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა:

– ახლა ხალხს ბევრად მეტი შედეგი უნდა ვაჩვენოთ. მაგრამ არსებული ტემპი არა მარტო უნდა შენარჩუნდეს, არამედ გაორმაგდეს... საქართველოს თანამედროვე ქვეყნად გადაქცევისთვის ახლა იმდენი ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი, იმის პარალელურად, რომ აღსადგენია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომ ჩვენი ცხოვრება ათჯერ გამრავლებული ყველაფერ ამას არც კი ეყოფა.

მიხეილ სააკაშვილმა შეკრების მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ადგილობრივ მმართველობაში კორუფციის განსაკუთრებულ კონტროლს.

– ვისაც ჩამოსართმევი ჰქონდა ქონება, – ყველაფერი ჩამოვართვით. პროფკავშირებს ერთ თვეში უკან დავაბრუნებინეთ ქონება, მათ შორის, რამდენიმე უნიკალური ობიექტი აჭარასა და სხვაგან საქართველოში. ახლა კინოთეატრებს დავიბრუნებთ, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. მისივე თქმით, ქვეყანაში გაგრძელდება დეცენტრალიზაცია: საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად გადავა ქუთაისში, კიდევ ერთი-ორი უწყება – გორში და, იმედია, მალე, ცხინვალში, სხვა ადგილებში. საქართველო თავკომბალის მდგომარეობიდან უნდა გამოვიდეს.

შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა:

– რეგიონებში საუკეთესო ინტელექტუალური რესურსები გვაქვს. არ მოდუნდეთ... თქვენ ახლა გაქვთ სამი თვე, რომ 2-3-ჯერ უფრო ჩქარი ტემპით ვაშენოთ გზები, რადგან მერე აცივდება. მერე გაქვთ საკმარისი დრო, რომ უკეთესად გაანათოთ ჩვენი ქუჩები, ქალაქები და სოფლები. ამასობაში ჩვენ გვაქვს დრო, რომ რა ფულსაც ვიშოვით, გაჭირვებულებს მოვახმართ. ერთი სიტყვით, ივლისში იმიტომ შეგკრიბეთ ამ მშვენიერ და გალამაზებულ ბათუმში, სადაც ტურისტული სეზონი კარგად დაიწყო და, იმედია, ბევრად უკეთესად გაგრძელდება, რომ გითხრათ: არ არის დასვენებისა და მხარ-თეძოზე წამოწოლის დრო.

დასასრულ მიხეილ სააკაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა გუბერნატორებს და თქვა:

– მინდა, გამოვხატო ნაწილობრივ ჩემი კმაყოფილება იმით, რაც კეთდება და კატეგორიულად მოვითხოვო, რომ ეს მუშაობა გაათკეცდეს.

◎ ერიჰა!

# თქვენთან ასფალტის დაგება რა ჯდება?

**კარგად მახსოვს და, ალბათ, თქვენც გემახსოვრებათ, ერთ დროს, როცა ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის რწმუნებულთა ინსტიტუტი შემოიღო, ოპოზიცია ყალყზე დადგა – რა რწმუნებული, რის რწმუნებული, ეს დახავსებული უწყება რომელი ჭაობიდან ამოათრიაო. მერე ისიც გემახსოვრებათ, როცა თავად ოპოზიცია მოვიდა ხელისუფლებაში, ძველი რწმუნებულები გარეკა, ახალი შემოიკრიბა, აქეთ-იქიდან ქვები შემოუწყო, ჩააბეტონა და თანამედროვე ევროინსტიტუტად წარმოგვიდგინა.**

რა უფლება მქონდა, არ მერწმუნა ამ ევროპულად თუ ამერიკულად განსწავლული, თანაც დემოკრატი რწმუნებულებისა, მაგრამ, კვირას – 17 ივლისს, როცა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ისინი ბათუმში შეკრიბა და გაწეული სამუშაოების თაობაზე ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა, მათზე, ცოტა არ იყოს, შთაბეჭდილება გამინაცრისფერდა.

**– აბა მითხარით, თქვენს რეგიონში როგორ მიდის საქმეები?** – ჰკითხა პრეზიდენტმა ერთ-ერთ რწმუნებულს.

– შესანიშნავად, ბატონო პრეზიდენტო, ქუჩებში სულ ცხელ-ცხელ, ახლად წამოდუღებულ ასფალტს ვაგებთ.

**– მერე, ძვირი ხომ არ გიჯდებათ?**

– არა, რას ბრძანებთ, რაღაც კაპიკები.

**– მაინც რამდენი?**

– გააჩნია, ასფალტი რა სისქისა იქნება.

**– სისქეს თავი გავანებოთ, მითხარი, რა ჯდება?**

– ამას მეც სხვებისგან ვიგებ ხოლმე, ადგილზე რომ დავბრუნდები, შევეკითხები და შემდეგ შეხვედრაზე მოგახსენებთ...

პირველი რწმუნებულის ჩავარდნა მეორემ გამოასწორა:

– ჩვენთან, ბატონო პრეზიდენტო, ასფალტს არ ვაგებთ, მაგრამ ცხოვრების დონემ რომ მკვეთრად აიწია, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება.

**– საიდან ასკვნი?**

– ამას რა „ჩოტკი" უნდა, ამას წინათ აფხაზეთში კაცი გაიტაცეს და მისმა პატრონმა, ისე, რომ უკან არც მოუხედავს, გამოსახსნელად 30 ათასი დოლარი გადაიხადა.

**– მერე ეს კარგი გგონია?**

– რა თქმა უნდა, შევარდნაძის დროს გამოსახსნელი ფული არავის ჰქონდა და გატაცებულები წლობით ტყვეობაში რჩებოდნენ...

**მესამე რწმუნებული პრეზიდენტის წინაშე რა ანგარიშით წარსდგა, ტელევიზიით აღარ უჩვენებიათ. ალბათ სწორადაც მოიქცნენ, გამოსულებმა ლაკონურად, მაგრამ ყველაფერი ცხადლივ დაგვიხატეს...**

**ოთარ ხუციშვილი**

◎ აბჯარი

# ნატოს სტანდარტების შესატყვისი

(პირველი გვერდიდან)

**საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის ლევან ნიკოლეიშვილის ინფორმაციით, ორფოლოს პოლიგონზე მიმდინარე სატანკო სწავლებები ქვეყნის ბიუჯეტს 400 ათასი ლარი დაუჯდა.**



ნიკოლეიშვილის განცხადებით, ამაში შედის დისლოკაციის ადგილიდან პოლიგონზე ტექნიკის ტრანსპორტირების, პირადი შემადგენლობის საკვების, ტანსაცმლის, სწავლებებისთვის საწვავის, გახარჯული ჭურვების და საბრძოლო მასალის ხარჯები.

* * *

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აგვისტოს ბოლოსთვის კიდევ ერთი მასშტაბური წვრთნების ჩატარებას გეგმავს,** რომელშიც, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განაცხადებით, 5-6 ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.



ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის, სად ჩატარდება წვრთნები. ოქრუაშვილის თქმით, წვრთნები ან ორფოლოს პოლიგონზე გაიმართება, ან – ყულევში.

◎ საწვავი

# ნავთობი არ გაიაფდება

**ბაქოში გამართულ პრესკონფერენციაზე „ბრიტიშ პეტროლიუმ ჯგუფის" მაკროეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელმა მარკ ჰენსტრიჯმა განაცხადა, რომ უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე ნავთობზე მსოფლიო ფასი ბარელზე 30-40 დოლარზე ქვევით არ დაიწევს. მისი თქმით, 2004 წელს ნავთობის საშუალო ფასმა ბარელზე 38 დოლარი შეადგინა.**

– ნავთობზე ასეთი ფასი განაპირობა ენერგოშემცველებზე ფასების ზრდამ და ბევრი ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ, – განაცხადა მარკ ჰენსტრიჯმა.

„ბრიტიშ პეტროლიუმის" განცხადებით, ამჟამინდელი გაანგარიშებით, მსოფლიოში ნავთობის მარაგი უახლოესი ორმოცი წლისთვის საკმარისია, გაზის მარაგი – 67 წლისთვის, ნახშირი კი – 164 წლის მანძილზე.



– ენერგოშემცველებზე მოთხოვნილებიდან ნავთობზე ორმოცი პროცენტი მოდის, რაც ფაქტობრივად, მონოპოლიას ნიშნავს და მის შემცირებას დღეს არაფერი ემუქრება, – აცხადებს მარკ ჰენსტრიჯი.

მისივე თქმით, მსოფლიო მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში ჩატვირთული ნავთობის წილი მცირეა, მაგრამ ნავთობზე მოთხოვნილების გაზრდის შემდეგ აღნიშნული პროექტის მნიშვნელობაც გაიზრდება.

**მედიანიუსი**

◎ ინფორმაცია

## აბიტურიენტები დარღვევებზე საუბრობენ

**ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნარ-ჩვევების ტესტების ჩაბარებისას, აბიტურიენტებს კურატორები ეხმარებოდნენ, ზოგიერთმა კი ტესტის შეუვსებელი ფურცელი ჩააბარა.**

**ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ერთ-ერთმა აბიტურიენტმა განუცხადა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია.**

**მისი განცხადებით, ქუთაისის ერთ-ერთ საგამოცდო ცენტრში უნარ-ჩვევების ტესტების მათემატიკურ ნაწილზე კურატორი აბიტურიენტს პასუხებს კარნახობდა. ერთ-ერთი აბიტურიენტის განცხადებით კი, აღნიშნულ ცენტრში მან ყველა საგამოცდო ტესტის ჩასაბარებლად 5 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა.**

**გარდა ამისა, ერთ-ერთი აბიტურიენტის თქმით, ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში აბიტურიენტმა არ შეავსო ტესტის ჩასაბარებელი ვარიანტი, რადგან მის ტესტს შემდგომში კურატორი შეავსებდა.**

**– განათლების სამინისტროს დაბეჯითებითი თხოვნაა, რომ აბიტურიენტებმა გააკეთონ ოფიციალური განცხადება საპროტესტო კომისიის სახელზე. განცხადება უნდა წარადგინონ სარეგისტარაციო პუნქტში, რომელიც შემდგომში იქნება განხილული, – აღნიშნა ინტერპრესნიუსთან საუბრისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლევან გახელაძემ.**

**მისი თქმით, 170-მდე სექტორის ჩანაწერის ნახვა საპროტესტო კომისიას ფიზიკურად გაუჭირდება, სასურველია, აბიტურიენტმა განცხადებაში მიუთითოს საგამოცდო ცენტრი, თარიღი და სექტორი.**

## ახალი ტაძარი გაიხსნა

**ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი გაიხსნა. ამ სოფელში ტაძარი ათეული წლების მანძილზე არ ყოფილა.**

**როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, ადრე სოფელში სამი ეკლესია მოქმედებდა, რომელიც საბჭოთა პერიოდში დაინგრა და ნანგრევებზე სოფლის დაწყებითი სკოლა ააგეს.**

**2003 წლის 1 ივნისს ნინოობის დღესასწაულზე ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსის მეუფე გრიგოლის ლოცვა-კურთხევით, სოფელ ჭალადიდის ცენტრში წმინდა ნინოს ტაძრის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი. მშენებლობას, ასევე სათავეში ჩაუდგნენ მღვდლები თევდორე ბასილაია და გიორგი გენჯეხაძე. ორ წელიწადში საეკლესიო კომპლექსმა დასრულებული სახე მიიღო, რაც ამ სოფლის მკვიდრი და-ძმა ბარბარე და ზოსიმე ხუაძეების ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.**

**ტაძრის მშენებლობაში აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხობისა და სოფელ ჭალადიდის მრევლმა. ტაძრის პროექტის ავტორია ფოთისა და ხობის ეპარქიის არქიტექტორი მერაბ ყალიჩავა, მშენებელ-ინჟინერი – თემურ ნიკარაძე. სამრეკლოს სიმაღლე 11 მეტრია, ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი გენჯეხაძეა.**

## სანაპირო დაცვის სამსახური დღეს იუბილეს აღნიშნავს

**საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახური დღეს 7 წლის იუბილეს აღნიშნავს.**

**საიუბილეო ღონისძიება ქ. ფოთის სამხედრო ნავსადგურში, სანაპირო დაცვის ოპერაციების მთავარი სამმართველოს ბაზაზე ჩატარდება.**

**ცერემონიას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ბადრი ბიწაძე და სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი დავით გულუა დაესწრებიან.**

**ღონისძიებას დაესწრება ასევე აშშ-ის საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცების პროგრამის ხელმძღვანელი, უფროსი მრჩეველი საზღვაო საკითხებში ჯონ თრაბმლი.**

## უბედური შემთხვევები

**სამეგრელოს რეგიონში მრიცხველების დამონტაჟების პროცესს უბედური შემთხვევები მოჰყვა. ზუგდიდის ადგლობრივი ენერგოკომპანიის თანამშრომელი რეზო ჩუხუა, რომელიც ენერგოკომპანიის ელექტრიკოსია, საკონსერვო ქარხნის დასახლების ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის ელექტროგაყვანილობის მიერ დენის დარტყმის შედეგად, ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**რეზო ჩუხუა საკონსერვო ქარხნის ტერიტორიაზე მოსახლეობის თხოვნით ერთ-ერთ ქუჩაზე მრიცხველს ამონტაჟებდა. მიმდინარე სამუშაოების შესახებ მან წინასწარ გააფრთხილა ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობა, რის შედეგადაც უბანში მაღალი ძაბვა გამოირთო, თუმცა სამუშაოების მიმდინარეობისას იგი მოულოდნელად ჩაირთო.**

**მაღალი ძაბვა, სავარაუდოდ, ენერგოკომპანიის იმ თანამშრომლებმა ჩართეს, რომლებმაც არ იცოდნენ სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. რეზო ჩუხუა ანძიდან დენის დარტყმის შემდეგ გადმოვარდა. მძიმე ხარისხის დამწვრობა და სხეულის დაზიანება მიიღო.**

**ზუგდიდის იმავე უბანში მეორე შემთხვევაც მოხდა, 75 წლის ვაჟა აფშილავამ, შემთხვევით ფეხი დააბიჯა თავის ეზოში მრიცხველის დამონტაჟების გამო შიშველ მაღალი ძაბვის კაბელს, რის შედეგადაც იგი 20 წუთის განმავლობაში მაღალი ძაბვის მოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. მას მესამე ხარისხის დამწვრობა აქვს მიღებული და ამჟამად რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება.**

**მრიცხველების დამონტაჟების პროცესის დროს დენის დარტყმის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანებებით სამეგრელოს სხვადასხვა რაიონების საავადმყოფოებში 7 ადამიანია მოთავსებული, ხოლო ბოლო ორი თვის განმავლობაში 9 ადამიანი დაიღუპა.**

## ოთახები ხანძრით დაზარალებულთათვის

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ნუცუბიძის პლატოზე მდებარე პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ ხანძრით დაზარალებულ 12 ოჯახს გუშინ 18 ახლად გარემონტებული ოთახი გადასცა.**

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას განცხადებით, ხანძრით დაზარალებულ საერთო საცხოვრებელში, რომელშიც აფხაზეთიდან დევნილი ოჯახები ცხოვრობენ, სარემონტო სამუშაოები საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაკვეთით შპს „ინტერიერმა" 85 ათას 206 ლარად განახორციელა.**

**ასტემიროვა შპს „ინტერიერის" მიერ ჩატარებული სამუშაოების ხარისხით კმაყოფილია და იმედოვნებს, რომ ვაკე-საბურთალოს გამგეობა დაზარალებულთა წინაშე აღებულ ვალდებულებას მათი ლოგინებითა და თეთრეულით უზრუნველყოფის შესახებ უახლოეს დღეებში შეასრულებს.**

**აფხაზეთიდან დევნილთათვის გარემონტებული ოთახების გადაცემის საზეიმო ცერემონიალს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლების გარდა, საქართველოში აშშ-ის ელჩის პირველი მოადგილე სარჯ ჩიფერი დაესწრო.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ქალიშვილის ქორწილს პატარკაციშვილი სამ დღეს აღნიშნავდა

**საქართველოში ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა – რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ბადრი პატარკაციშვილმა, როგორც თვითონ აღიარა, გადადგა მისთვის საკმაოდ რთული ნაბიჯი: გაათხოვა ქალიშვილი. ბატონმა პატარკაციშვილმა მიიღო უამრავი მისალოცი დეპეშა, მათ შორის, შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტის ბილ კლინტონისგან და ისრაელის ვიცე-მინისტრის შიმონ პერესისგანაც, ქორწილზე დასასწრებად კი მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდა 1500 კაცი. თავის საქმიან პარტნიორს ლონდონიდან რამდენიმე საათით ესტუმრა სამოქალაქო თავისუფლებათა ფონდის პრეზიდენტი ბორის ბერეზოვსკი, რომელზეც რუსეთმა საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა.**

ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს, რომელიც ასევე იძებნება რუსეთის გენერალურმა პროკურატურის მიერ, „ლოგოვაზის" კომპანიაში ავტომობილების მოპარვის საქმის გამო, ქართული პრესა რესპუბლიკაში უმდიდრეს ადამიანად მიიჩნევს. ბატონი პატარკაციშვილი, რომლის ქონებაც შეფასებულია რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად, საქართველოში ფლობს უძრავ ქონებას, სანავსადგურო ტერმინალებს შავ ზღვაზე და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კლუბს. სწორედ ამიტომ მისი უმცროსი ქალიშვილი – 23 წლის ია პატარკაციშვილი რესპუბლიკაში ყველაზე შესაშურ საპატარძლოდ ითვლებოდა. მისი გულისსწორი გახდა უკრაინელი ბიზნესმენი, 31 წლის ევგენი გუნიაკი. ამ ადამიანის შესახებ ბევრი რამ არ არის ცნობილი, კერძოდ, იგი დაიბადა ექიმების ოჯახში, უკრაინაში ფლობს სტომატოლოგიურ კლინიკას, წარმატებით ეწევა სამედიცინო ბიზნესს.

ქორწილს 1500-მდე კაცი ესწრებოდა. იქ ნახავდით პრაქტიკულად საქართველოს მთელ პოლიტიკურ და ბიზნესელიტას: პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს, საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, მთავრობის სხვა წევრებს. იქვე იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე თავის შვილიშვილთან ერთად, ქვეყნის მოქმედმა ხელმძღვანელმა მიხეილ სააკაშვილმა კი ქორწილში მისვლა ვერ შეძლო, რადგან საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა აჭარაში. ევროპიდან ჩამოვიდნენ, ძირითადად, ბადრი პატარკაციშვილის პარტნიორები ბიზნესში, ისრაელიდან კი – მისი მეგობრები.

ახალდაქორწინებულები თავის რეზიდენციაში მიიღო და დალოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. შინ დაბრუნებისას, ძველი ქართული ტრადიციის მიხედვით, ახალშეუღლებულებს უნდა გაევლოთ ხანჯალამოღებული ეროვნულ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცების დერეფანში. ბადრი პატარკაციშვილს უჭირდა ცრემლის შეკავება. იგი, საერთოდ, ძალზე ღელავდა, კარგა გვარიანადაც დალია ღვინო და მოგვიანებით სუფრასთან აღიარა კიდეც, რომ „ძალიან რთული ყოფილა ქალიშვილის გათხოვება".

პარასკევს სტუმრები ექსკურსიაზე წაიყვანეს საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ზედაზენზე, საიდანაც იშლება მდინარეების არაგვის და მტკვრის ველის თვალწარმტაცი ხედი. ძირითადი ნადიმი შაბათისთვის იყო დაგეგმილი. თამადად პატარკაციშვილმა დანიშნა ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძე, სტუმრების წინაშე იმღერა ნანი ბრეგვაძემ. ბრაზილიიდან სპეციალურად ჩამოიყვანეს მოცეკვავეები, რომლებიც შეკრებილთ ცეცხლოვანი სამბათი ართობდნენ. რამდენიმე სტუმარმა სცადა აჰყოლოდა მოცეკვავეებს, მაგრამ ვერ გაუძლო ძალზე სწრაფ ტემპს. ბრაზილიელი მოცეკვავე ქალები შეცვალეს თბილისის ცირკის მსახიობებმა, რომელიც, სხვათა შორის, ასევე პატარკაციშვილის საკუთრებაა. საზეიმო ღონისძიებების დამდგმელი იყო ცნობილი ქართველი რეჟისორი დავით დოიაშვილი. ჩინეთიდან ჩამოიყვანეს ჩაის დამყენებლები, იტალიიდან – კონდიტერები, აფრიკიდან და აზიიდან ქორწილისთვის მოიმარაგეს 600 კილოგრამი ეგზოტიკური ხილი. საქორწინო ტორტი, რომელსაც ქორწინების სასახლის ფორმა ჰქონდა, სიმაღლეში 2,5 მეტრს აღწევდა, განში კი – 2,8 მეტრს.

ქორწილი დასრულდა კვირას, გვიან ღამით, გრანდიოზული ფეიერვერკით.

**ვლადიმერ ნოვიკოვი,**
**თბილისი,**
**„კომერსანტი", 18 ივლისი.**

Коммерсант

# აჭარა: ერთი წლის შემდეგ

(პირველი გვერდიდან)

## დედაქალაქი

ახლადდაგებულ შესანიშნავ გზაზე კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრი გავიარეთ და უკვე ბათუმში აღმოვჩნდით. ქალაქის შესასვლელთან მუშები აგებენ გზის ბოლო მონაკვეთს. ბათუმის ქუჩებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა. წინათ თუ აჭარის წინანდელი ლიდერის საყვარელი თეთრი ფერით მხოლოდ ქალაქის ცენტრში ღებავდნენ სახლებს, ახლა თითქმის ყველგან აახლებენ ფასადებს, თანაც, ზოგან უფრო მეტი გემოვნებითაც, ვიდრე ეს თბილისში კეთდება. ვეღარ იცნობს კაცი ბათუმის ცნობილ ბულვარს: საღამოობით იქაურობა გაჩახჩახებულია ლამპიონებით, გახსნილია ახალი კაფეები, ატრაქციონები, ყველგან ნახავთ უამრავ ხალხს, ჟღერს მუსიკა, ისმის ბავშვების სიცილ-კისკისი.

ერთ-ერთ კაფეში შევხვდი მის მფლობელს დათო მამულაძეს. იგი უკვე 10 წელზე მეტი ხანია განაგებს ამ დაწესებულებას, თუმცა, საქმის გაძღოლა მხოლოდ ახლა შეძლო ისე, როგორც მას ეს ყოველთვის სურდა. „წარმოიდგინეთ, რომ თითოეულ ჩვენგანს, რომელიც საკუთრებაში ფლობს რაღაც ობიექტებს, ასლან აბაშიძის დროს ის მიწაც კი არ ეკუთვნოდა, რომლებზეც იდგა მისი კაფე, რესტორანი, თუ სხვა. ახლა კი მერიამ გამოაცხადა კონკურსი და ნებისმიერ მსურველს, რომელიც კარგ პროექტს წარმოადგენს, შეუძლია ეს მიწა აიღოს იჯარით 10 წლის ვადით", – გვითხრა დათომ.

## საზღვარი

სარფში, თურქეთის საზღვართან, რომელიც ბათუმიდან სულ 12 კილომეტრზე მდებარეობს, შევხვდი ჩემს ძველ ნაცნობს, აგრონომ შალვა კაკალაძეს, რომელიც შარშან მივლინების დროს გავიცანი. მაშინ მან შემომჩივლა, რომ აბაშიძემ ძირფესვიანად მოსპო ჩაის და ციტრუსის პლანტაციები. „ახლა ჩვენ უკვე დავიწყეთ ამ მეურნეობის აღდგენა. წლეულს გონიოს მეურნეობამ 80 ჰექტარი ჩაის პლანტაციებიდან 12 ჰექტარის ათვისება შეძლო, ხელვაჩაურის რაიონში კი მომავალი წლისთვის ციტრუსის და ჩაის პლანტაციებს დაახლოებით 700 ჰექტარი ფართობი დაეთმობათ, რაც 200-მდე სამუშაო ადგილის შექმნის შესაძლებლობას მოგვცემს", – მითხრა შალვამ. როგორც მან აღნიშნა, მომავალ ზაფხულს სარფის მახლობლად მდებარე პოპულარულ დაბა გონიოში გაიხსნება ხუთი კერძო ხუთსართულიანი სასტუმრო. ახლა იქ მიმდინარეობს სანაპიროს გაწმენდა და კეთილმოწყობა. ტურისტების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

## მოლოდინი

ერთ-ერთი კერძო სასტუმროს მფლობელმა ნანა თურმანიძემ სამუშაოდ დაიქირავა თანასოფლელი ქალები, რომლებიც უკვე მრავალი წლის განმავლობაში უმუშევრები იყვნენ მას შემდეგ, რაც ადგილობრივი საწარმოები დაიხურა. „წინათ აჭარაში მუშაობდა ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათსაშენებელი, ტრანსფორმატორების ქარხნები, საყოფაცხოვრებო ქიმიის საწარმოები, – იხსენებს ნანა, – აბაშიძემ მთელი წარმოება გააჩერა. და ვითარება ჯერ კიდევ არ შეცვლილა. თუ ახლა არ ავაშენებთ ყოველივე ამას, ადამიანებს არ მიეცემათ თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა".

საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკებს ჯერჯერობით დიდი ცვლილებები არ შეხებიათ, მაგრამ ისინი მაინც ელიან დაპირებული ხელფასების მომატებას. პედაგოგ ეთერ ხაბაზს ვესტუმრე შარშან, რევოლუციამდე, მაშინ იგი სასოწარკვეთილი იყო. ახლა ქალბატონ ეთერს იმედი ჩაესახა. „დღეს ის მაინც უნდა გვიხაროდეს, რომ აბაშიძე აღარ გვყავს. იმედი გვაქვს, რომ ლევან ვარშალომიძე მის გზას არ დაადგება. ერთი სიტყვით, ველით სასიკეთო ცვლილებებს", – გვითხრა მან.

აჭარის მრავალ მცხოვრებს მიაჩნია, რომ საჭიროა ინტენსიური კავშირურთიერთობის დამყარება რუსეთთან, რაც შეიძლება მეტი რუსი ტურისტის მოზიდვა. „ჩვენი დიდი მეზობლის გარეშე გაგვიჭირდება", – თქვა ხულოელმა მუშამ ვალერი ლემსაძემ და იქვე დაამატა უკვე მოარული ფრაზა: ამერიკა შორსაა, რუსეთი კი – ახლოს". თვით აჭარის ავტონომიის მეთაურს ლევან ვარშალომიძეს გავესაუბრე ერთ-ერთ სახელმწიფო ობიექტზე, რომელიც პრივატიზაციას ელის. სასტუმრო კომპლექსი „ოაზისი" გასაყიდადაა გამოტანილი 4,5 მილიონი დოლარის ოდენობის სასტარტო ფასით.

„ჩვენი კარი ღიაა ნებისმიერი ინვესტორისთვის, მათ შორის, რუსებისთვისაც. ჩამოვიდნენ, შეისყიდონ აქ რაც სურთ და დაისვენონ, ამით მხოლოდ მოხარული ვიქნებით", – თქვა ვარშალომიძემ.



მისი აზრით, აჭარის ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება – სასტუმროების, გზების, წყალმომარაგების, კანალიზაციის, – რომლებიც ბათუმში ააგეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს. ვარშალომიძე დარწმუნებულია, რომ ეს ხელს შეუწყობს აჭარის წინაშე წამოჭრილი მთავარი პრობლემის მოგვარებას – ხალხის დასაქმებას.

ბათუმიდან გამომგზავრების წინ ვეწვიე კიდევ ერთ დაბას – კვარიათს, სადაც მდებარეობს ასლან აბაშიძის კავკასიური ნაგაზების სახელგანთქმული სანაშენე.

ძაღლები ახლაც ცხოვრობენ იქ, თუმცა, მათი რაოდენობა სანახევროდ შემცირდა და არც წინანდელივით მაძღრები და მოვლილები ჩანან. სირაქლემები კი, რომლებსაც აქ დიდი რაოდენობით აშენებდნენ, რატომღაც საერთოდ გაქრნენ ფერმებიდან.

თბილისში როცა ვბრუნდებოდი, ასეთი კითხვა დამებადა: ვის უშლიდნენ ისინი ხელს?

**ქეთი ბოჭორიშვილი,**
**„ბი-ბი-სის" რუსული სამსახური**
**(დიდი ბრიტანეთი).**

ცხოვრება

# დავძლევთ როდესმე სიღარიბეს?



**სიღარიბე მსოფლიო საზოგადოებრიობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის, რამდენადაც იგი არის უდიდესი ფაქტორი კაცობრიობის დიდი ნაწილის როგორც ფიზიკური, ისე მორალურ-ფსიქიკური მდგომარეობის გაუარესების, ასევე სხვა მრავალი საშიშროების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ტრეფიკინგი, მცირეწლოვან ბავშვთა სიკვდილიანობა, შიდსი, ბანდიტიზმი, ტერორიზმი და სხვა) მომძლავრების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. ამდენად, მსოფლიო საზოგადოებრიობის პროგრესული ძალების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელისუფლებო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების შეშფოთება, გულისტკივილი და შესაბამისად მისი მიზეზების დასაძლევად დღემდე განხორციელებული, ასევე მომავლის გეგმები ყველა ქვეყნის სერიოზული საფიქრალი და საბრძოლო ამოცანა უნდა გახდეს.**

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ეგიდით სასტუმრო „მარიოტში“ ამას წინათ გამართული კონფერენცია, სადაც ითქვა: ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე განვითარებადი ქვეყნების დიდ უმრავლესობაში სიღარიბის საშიშროებას ზრდის ტენდენციები ახასიათებს: სიღარიბის დასაძლევად დღემდე გამოყოფილი მილიარდობით დოლარის გამოყენების ეფექტურობა უმეტეს შემთხვევაში ძალზე დაბალია, ეს შედეგია როგორც დონორ ქვეყნებში, ისე განვითარებად სახელმწიფოთა, ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებში არაჯანსაღი, კორუფციული ქმედებების მომძლავრება, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს სიღარიბის გავლენას კაცობრიობის მომავალზე.



იმის ნაცვლად, რომ ქვეყანაში იგრძნობოდეს ზრუნვა ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალის შენარჩუნება-განვითარებისადმი, დღესაც ყველაფერი კეთდება მისი დაბეჩავება-დაკნინებისა და საბოლოო ანგარიშით განადგურებისათვის, რაც სოროსელთა საერთო გეგმაშია ჩადუღაბებული. გარდა იმისა, რომ ამ ეგიდით შემოსული დახმარებების უდიდესი ნაწილი წარიმართა როგორც მიმწოდებლის, ისე ადგილობრივი ბიუროკრატების სასარგებლოდ, ამასთან ქვეყანაში შეგნებულად მოვსპეთ, გავანადგურეთ ათეული წლების განმავლობაში წინაპრებისა და ჩვენივე ხელით შექმნილი უნიკალური სიმდიდრე – ფაბრიკა-ქარხნები, დაზგა-დანადგარები, სოფლის მეურნეობაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის უდიდესი კომპლექსები თავიანთი გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, მელიორაციულ-ირიგაციული სისტემებით, სანაშენო კომპლექსებით, საცდელი მეურნეობებით, საერთაშორისო ორგანიზაციების ზეწოლით, რაც ალბათ ასევე არანაკლებ აწყობდა ადგილობრივ ბიუროკრატიასაც. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ რამდენჯერმე მიიღო დამღუპველი, ეროვნული სიმდიდრის ჯართად ქცევისა და მისი საზღვარგარეთ გატანის მთელი რიგი კანონები თუ გადაწყვეტილებები, რომელთა მოქმედება დღესაც გრძელდება.

სახალხო მეურნეობაში მოიშალა მეურნეობრიობის მართვის ისტორიული გამოცდილების გამოყენების თითქმის ყველა ფორმა, მასობრივი სახე მიიღო უმუშევრობის არნახულმა ზრდამ.

უდიდესი ზარალი მიაყენა მოსახლეობას სხვადასხვა კომერციული თუ კერძო პირების მიერ მოქალაქეთა აშკარა მოტყუების გზით მართვის ლეგალური ფორმების დამკვიდრებამ, ე.წ. ანაბრების სახელმწიფო შემნახველ სალაროებში შეტანამ, რაშიც ლომის წილი მიუძღვის თითქმის ყველა დროის ხელისუფლებას.

სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისა და, შესაბამისად, ამერიკის ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული ქვეყნის განვითარების გეგმის აღსრულებას თავიდან თითქოსდა კარგად გამოეხმაურა ამჟამინდელი ხელისუფლება. შეიქმნა შესაბამისი სამთავრობო კომისიაც, თუმცა დღემდე მისი რეალური გადაწყვეტისათვის გაწეული საქმე არ ჩანს. კომისიის მუშაობა გაუმჭვირვალეა. ამას გულისტკივილით გვალაპარაკებს გნებავთ ჩვენივე ასოციაციის მიერ ეკომიგრანტებით დასახლებული რეგიონების ეკონომიკური აღორძინებისათვის წარდგენილი ვრცელი პროგრამის აბსოლუტური იგნორირება და, რაც მთავარია, ის რომ, ელემენტარული პასუხის ღირსიც არ გაგვხადეს.

სიღარიბის დაძლევის წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაოა. სწორედ ამის დადასტურებაა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ასოციაციათა გაერთიანება, რომლის დევიზია „მომავალი – სიღარიბის გარეშე“.

ამისათვის ხელისუფლებამ დროულად უნდა გადადგას ნაბიჯები, საქართველოს მთავრობას გაეროს ათასწლეულის 2004 წლის სამიტზე იკისრა 2015 წლამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რიცხვის განახევრებისა და სხვა მთელი რიგი ვალდებულებები. ვშიშობ, რომ ამ მიზნის მიღწევა ქვეყანას სერიოზულად გაუჭირდება, რამდენადაც უმუშევართა დასაქმების ერთ-ერთი რეალური სფეროს – სოფლის მეურნეობის განვითარებას საშველი არ დაადგა.

ქვეყანაში ამ ბოლო პერიოდში ეკოლოგიური კატაკლიზმებით წარმოქმნილი რამდენიმე ათასობით ეკომიგრანტი ოჯახი რჩება საკარმიდამო მიწების გარეშე. ჩვენი ასოციაციისა თუ მეცნიერებისა და პოლიტიკურ მოძრაობათა მცდელობა მიწებით მდიდარი კახეთის, ქვემო ქართლისა და მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში ეკომიგრანტი ოჯახების (როგორც დღეისათვის არსებულის, ისე მოსალოდნელი) ჩასასახლებლად **შეიქმნას სახელმწიფო სარეზერვო მიწის ფონდები** და ჯერჯერობით შეჩერდეს სახელმწიფო საკუთრებაში ჯერკიდევ დარჩენილი სახნავი მიწების პრივატიზების კანონპროექტის მიღება, უშედეგოდ რჩება.

ეკომიგრანტთა ასოციაცია სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამს წალკის, თეთრი წყაროს, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებიდან მიგრირებული ბერძენი და დუხაბორი მოსახლეობის მიერ გამოთავისუფლებული კარმიდამოს ეკომიგრანტების ჩასახლებისათვის შესყიდვის შეგნებულად გაჭიანურებისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების უდიდესი ნაწილის არამიზნობრივი გამოყენების თაობაზე. რამდენიმე ათასი ეკომიგრანტი ოჯახი დიდი ხანია სტიქიურად ჩასულია ამ რაიონებში და ელოდება შესაბამის სახელმწიფო გადაწყვეტილებას. ამ საკითხის დროული მოგვარებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში სიღარიბის პრობლემის თანდათანობით მოგვარებას.

ამისა გარდა, მოსახლეობის დასაქმებისა და, შესაბამისად, სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიგვაჩნია დასავლეთ საქართველოს რაიონებში მეჩაიეობისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განვითარებისადმი მტკიცე სახელმწიფოებრივი მიდგომის გამომუშავება, ამასთან, ქვეყნის ქალაქებში, დაბებსა და რაიონებში მცირე მეწარმეობის განვითარებისადმი სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა.

**სიმონ შარაძე,**
**ეკომიგრანტთა საერთაშორისო ასოციაცია „ხიხანი-უზბას“ თავმჯდომარე; ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.**

კონფლიქტის ზონა

# რამაც აჭარაში გაამართლა, ის არ გამოდგება ცხინვალის რეგიონში, ხოლო, რაც ცხინვალის რეგიონში გაამართლებს, არ გამოდგება აფხაზეთში

## ამბობს ექსპერტი გია ანჩაბაძე

**– ბატონო გია, ამ ბოლო დროს თითქოს ცხინვალის რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, აფხაზეთი კი ძველებურად აღარ დომინირებს. რატომ? რას იტყოდით ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკაზე?**

– რატომღაც ასეთი „ტრადიცია“ დამკვიდრდა, რომ შევარდნაძის პერიოდში აფხაზეთზე ხშირად საუბრობდნენ, ცხინვალის რეგიონის პრობლემა კი მიჩუმათებული იყო, რამაც გარკვეულწილად დადებითად იმოქმედა იქ ვითარების მოწესრიგებაზე.



აფხაზეთის საკითხს შევარდნაძე „აგვარებდა“ სხვადასხვაგვარი პროვოკაციის მოწყობით გალში, რასაც იქიდან ასეთივე ძალოვანი ქმედებები მოჰყვებოდა, ე. ი. არასწორად მიმდინარეობდა ეს პროცესი.

აფხაზეთის მიმართ ახალი ხელისუფლება უფრო ფრთხილ დამოკიდებულებას იჩენს. ვფიქრობ, ეს დადებითია, რადგან მსგავსი კონფლიქტები აჩქარებას არ საჭიროებს. არც ძალის დატანება გამოიღებს შედეგებს. სჯობს მოვითმინოთ, ვიდრე აჩქარებული გადაწყვეტილება მივიღოთ. აფხაზებთან მიმართებაში უფრო მეტი სიფრთხილე გვმართებს.

რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, მას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. იქ სამედიცინო აპარატურის გაგზავნაც თავისთავად კარგი ფაქტია. თუმცა, სამშვიდობო ინიციატივით გამოსვლისას უფრო მეტად უნდა ვიფრთხილოთ, რომ ვინმემ ჰუმანიტარული ღონისძიებები ცუდად არ გამოიყენოს.

**– რას გულისხმობთ?**

– შარშან ჰუმანიტარული ტვირთის შეტანა ცხინვალის რეგიონში თანდათან შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, სისხლიც დაიღვარა. მართალია დროულად შეჩერდა არასასურველი მოვლენების განვითარება, მაგრამ ამ ფაქტმა კონფლიქტის მოგვარების პროცესი ძალზე უკან დასწია.

ამიტომ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საჭიროა თანამშრომლობა იქაურ ხელისუფლებასთან, პოლიტიკურ ძალებთან, რათა ყველაფერი, რაც კეთდება, საერთო ღონისძიებების ეგიდით ხორციელდებოდეს. ასე გაცილებით მეტ შედეგს მივიღებთ, რადგან დღეს მთავარია ნდობის აღდგენა. ისტორიულად ქართველებსა და ოსებს შორის საკითხი ასე არასდროს დამდგარა, რადგან ისინი ძირითადად ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, კონფლიქტი მოხდა და მას ველარ ამოვშლით. ოსი ხალხი მაინც უსმენს თავის ლიდერებს და მათთვის მნიშვნელოვანი იქნება იქაურ ხელისუფლებასთან საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური თანამშრომლობა.

**– თქვენ როგორ გესახებათ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება, შესაძლებელია თუ არა ცხინვალის მოდელის გადატანა სოხუმში, ან – პირიქით?**

– სპეციფიკური პირობების გამო, ერთი და იგივე მოდელის ყველგან განმეორება არ შეიძლება. რამაც, ვთქვათ, აჭარაში გაამართლა, არ გამოდგება ცხინვალის რეგიონში, ხოლო ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება აფხაზეთისგან განსხვავდება.

ცხინვალის რეგიონშიც და აფხაზეთშიც საჭიროა გაწონასწორებული ნაბიჯების გადადგმა, ხოლო საზოგადოებებს შორის ნდობის აღსადგენად, საქართველოს მხრიდან აუცილებელია მომხდარის შეფასება.

მცირერიცხოვანი მხარე შეშინებულია და გაფაციცებული თვალს ადევნებს, რომ ომი არ განახლდეს. მცირერიცხოვან ხალხებს სამხედრო მოქმედებების განახლებით უფრო მეტი საშიშროება მოელით. სათანადო კლიმატის შექმნით აფხაზებიც და ოსებიც უნდა დავარწმუნოთ, რომ შეიარაღებულ ძალებს აღარ გამოვიყენებთ. ამიტომ საჭიროა 1991-93 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასება, უნდა გავემიჯნოთ მაშინდელი ხელისუფლების მეთოდებს და ღონისძიებებს. ამის გაკეთება საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას უფრო იოლად შეუძლია, რადგან მას კონფლიქტში „პირადი ღვაწლი“ არ მიუძღვის. შესაბამისად, სხვა ხელისუფლებაა სოხუმშიც და ცხინვალშიც. ამიტომ, ვფიქრობ, შესაძლებელია ისეთი პოლიტიკური შეფასება მიეცეს მოვლენებს, რომ ვითარება გარკვეულწილად განიმუხტოს.

**– ბატონო გია, რას ფიქრობთ აფხაზეთში რკინიგზის აღდგენასა და გალში დევნილების დაბრუნებაზე?**

– რკინიგზა, ეკონომიკური შემოსავლის გარდა, ხელს შეუწყობს დევნილების უსაფრთხოებას როგორც გალში, ასევე მთლიანად აფხაზეთში. თუ რკინიგზა აღდგა და დაიწყო ტვირთების მიმოსვლა, მისი შეჩერება ადვილი არ იქნება. რაც მთავარია, ეს ნაბიჯი ნდობის აღდგენასაც ხელს შეუწყობს, რადგან საერთო-ეკონომიკური პროექტები ყოველთვის ამას ემსახურება.

ასე რომ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას დადებითად წაადგება რკინიგზის აღდგენაც და ეკონომიკური პროექტების ხორცშესხმაც. რაც მთავარია, კლიმატს შეცვლის და შემდეგ იგი პოლიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ორმხრივად მისაღები მოდელის შესაქმნელად. მხოლოდ ასე შეიძლება აფხაზეთის კონფლიქტის გასაღების მოძებნა.

**– მაგრამ რუსეთი აფხაზებს თავის მოქალაქეობას აძლევს, იქ თავის კომპანიებს აფუძნებს, ქონებას ყიდულობს...**

– მართალია. ეს ყველაფერი აფხაზეთის მიმართ წარმოებული არასწორი პოლიტიკის შედეგია. თავის დროზე არაერთხელ ვთქვი, რომ ხელი არ შეეშალათ აფხაზებისთვის თავისი პასპორტების დაბეჭდვაში. სჯობდა, ჰქონოდათ აფხაზური პასპორტები საქართველოს ინტერესებისთვის, ვიდრე რუსული პასპორტები აეღოთ. ან შეიძლებოდა მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინება, ე. წ. ნანსენის პასპორტის გადმოღება, ამ პასპორტებს იმათ აძლევენ, ვისაც არა აქვს ოფიციალური მოქალაქეობა. ეს ყველაფერი საქართველოზე იყო დამოკიდებული, მაგრამ მან გადამწყვეტი ხმა არ გამოიყენა. დაბოლოს, რუსებმა ისარგებლეს ვითარებით და აფხაზებსაც და ოსებსაც თავისი პასპორტები დაურიგეს.

რაც შეეხება აფხაზეთში რუსული კომპანიების შემოსვლას, ისიც ჩვენმა შეცდომებმა განაპირობა. რუსეთი შექმნილი ვითარებით სარგებლობს და ყველა ქართულ ინიციატივას ორმაგი წამოწყებით პასუხობს – მისთვის ოსებისა და აფხაზებისთვის პენსიების დანიშვნა ზღვაში წვეთია. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი საშუალებები, რასაც რუსები ადეკვატურად ვეღარ უპასუხებენ.

პოლიტიკის სირთულე სწორედ ეს არის, თორემ რაც გვინდა, ყველაფერი მარტივად რომ წყდებოდეს, მაშინ სიძნელეებიც აღარ იარსებებდა.

ოსებსაც და აფხაზებსაც გაწონასწორებული მოდელი უნდა შევთავაზოთ, რომელიც მათ მოეწონებათ და დაგვეთანხმებიან თანამშრომლობაზე.

**– საქართველოს ხელისუფლებამ ოსებს სტრასბურგშიც და ბაქოშიც უკვე შესთავაზა ფართო ავტონომია. მეტი რაღა ვქნათ?**

– თუ ჩვენ საჯაროდ ვთავაზობთ მოდელს და ისინი მზად არ არიან ამის მისაღებად, ასევე საჯაროდ უარს გვეუბნებიან, ეს მხოლოდ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცევა. ამიტომ სხვა დიპლომატიური საშუალება უნდა გამოიძებნოს. ვფიქრობ, საჯარო გამოცხადებაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა მოლაპარაკებები ჯერ კულისებს მიღმა მომზადებულიყო.

**– რას იტყოდით აფხაზეთის უზენაესი საბჭოსა და დევნილთა სამინისტროს შესაძლო გაერთიანების თაობაზე?**

– რეფორმირება დადებითად მიმაჩნია. ვფიქრობ, ეს ორგანო დევნილებზე იზრუნებს, მათი წარმომადგენლობა იქნება. მაგრამ რომ წერენ, ამ სტრუქტურებმა აფხაზებთან მოლაპარაკებები უნდა აწარმოონო, ამით არა მგონია, რამე გამოვიდეს. მე კი არ გამოვრიცხავ მათ მონაწილეობას ამ პროცესებში, პირიქით, მაგრამ, ვფიქრობ, თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობის წარმართვაში გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა თქვას. ცალკე აღებულ აფხაზეთის ან აჭარის რაიმე სტრუქტურას არ შეიძლება ჰქონდეს ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა.

**ესაუბრა**
**თამარ შაიშმელაშვილი**



ყოფა

# აი, თურმე როგორი პურით ვიკვებებით

**იმის გასარკვევად, რამდენად უსაფრთხოა პური, რომელსაც ყოველდღიურად მივირთმევთ, არასამთავრობო ორგანიზაცია „21-ე საუკუნემ“ თბილისში მოქმედი ორი სუპერმარკეტისა და 5 ქარხნის ბაზაზე არსებულ მაღაზიებში 10 დასახელების პური შეიძინა. როგორც გაირკვა, არც ერთ ამ მაღაზიაში არ იყო გამოკრული ინფორმაცია პროდუქციის დამამზადებელზე, ნაწარმის კვებით და ენერგეტიკულ ღირსებებზე, რეალიზაციის ვადებზე, დიეტური ნაწარმის თავისებურებებზე და დანიშნულებაზე. მაღაზიებში შეძენილი 5 დასახელების პურიდან არც ერთი წონა არ არის ცნობილი, მომხმარებელმა არ იცის, რა წონის პურს იძენს.**



პურის ცხობასა და რეალიზაციას კერძო სექტორში აწარმოებენ შემთხვევითი პირები. ისინი თვითნებურად და სრულიად უკონტროლოდ, ყოვლად მიუღებელ პირობებში, ნესტიან და აშმორებულ ნახევარსარდაფებში, ტექნოლოგიური და სანიტარიული ნორმების დარღვევით მუშაობენ.

ცხობის ტექნოლოგია ასეთია: პური თვალშისაცემად პატარა რომ არ გამოჩნდეს, საფუარს უმატებენ. ჭარბი საფუარისა და ტენიანობის გამო ახალგამომცხვარი პურიც კი ცოტა ხნის შემდეგ უვარგისი ხდება. სავაჭრო ჯიხურებში პური ყოვლად მოუთმენელ სანიტარიულ პირობებში იყიდება. ასეთ ჯიხურებში გაყიდული პური, როგორც წესი, აღურიცხავია. აკრძალვის მიუხედავად პურით ვაჭრობა დედაქალაქში თვითნებურად დაიწყეს სამრეწველო საქონლის მაღაზიებმა და სხვა პროფილის საწარმოებმა.

ხშირად პურთან ერთად იყიდება სამეურნეო ნაწარმი, სარეცხი საშუალებები და სხვა შეუთავსებელი საქონელი. პური იყიდება ყველგან, სადაც მოესურვებათ – ბაზრებისა და ბაზრობების დახლებზე. რატომღაც დაგვავიწყდა ხალხური გამონათქვამი: „სანამ არ მოგშივა, სანამ ხელს არ დაიბან, პურის საჭმელად არ დაჯდე, პურზე ძვირფასი არაფერია. სანამ ქუდს არ მოიხდი, პურის საჭმელად არ დაჯდე, პურზე პატივსაცემი არაფერია“.

პურისადმი თითოეულს განსაკუთრებით სათუთი, წმინდა დამოკიდებულება გვმართებს.

**ოთარ თოლორაია**

მესამე სექტორი

# „ხან თავი გაგვიტეხეს, ხან ოფისი დაგვირბიეს“

**„სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციის“ აქტივისტებმა, საქართველოში გაეროს მისიის წარმომადგენლობის ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს.**

**ორგანიზაციის პრეზიდენტმა, ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი ლადიძემ ილაპარაკა იმ საგანგაშო მდგომარეობაზე, რომელიც თითქმის ყველა სფეროშია.**

– ხელისუფლების მხრიდან, როგორც არასდროს, დარღვეულია შრომის უფლებები, ხშირია უდანაშაულობის პრეზუმფციის უგულვებელყოფა, შელახულია დევნილი მოსახლეობის უფლებები, განსაკუთრებული სისასტიკით არბევენ მშვიდობიანი მოსახლეობის საპროტესტო აქციებს, სადაც ზარალდებიან არა მხოლოდ აქციის მონაწილენი, არამედ მათი მხარდამჭერი ადამიანებიც. სერიოზული ზემოქმედება პრესაზე და ელექტრონულ მედიაზე. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სისტემატურად ირღვევა პატიმართა უფლებები, პოლიციის წინასწარ დაკავების საკნებში ხშირია წამების ფაქტები. ეს აქცია გამაფრთხილებელი იქნება თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ მოახდენს სათანადო რეაგირებას და ისევ გაგრძელდება საქართველოში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევები, ჩვენი ორგანიზაცია ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს გამართავს.

გიორგი ლადიძემ გაეროს მისიის წარმომადგენელს მასალები გადასცა, რომელშიც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებია აღნიშნული და ეს მასალები მიეწოდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ღმერთმა ქნას, აქციის მონაწილეთა პროტესტი გაეროს მისიის წარმომადგენლებმა ხელისუფლებამდე მიიტანონ. მანამდე კი სიცხისაგან გათანგულ ადამიანის უფლებათა დამცველს ორიოდე კითხვით მივმართე.

**– ბატონო გიორგი, დაგვისახელეთ კონკრეტული ფაქტები, რომლებმაც თქვენი არასამთავრობო ორგანიზაციის არსებობა გაამართლა.**

– ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი და პრიორიტეტი ენიჭება ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ჩვენთან, სამწუხაროდ, ასე არ არის. დღეს „პრივილეგირებული“ არასამთავრობოები უპირატესობით სარგებლობენ. ჩვენ კი ხან თავი გაგვიტეხეს, ხან სათავო ოფისი დაგვირბიეს, ხან კი იარაღით გვაშინებენ და მაინც ვახერხებთ ჩვენი მოქალაქეების დახმარებას. ამას წინათ განცხადებით მოგვმართა გორის რაიონის სოფელ კარალეთიდან მარიამ მესტუმრიშვილმა. მისი შვილი ეკა სამხარაძე 2002 წელს თურქეთში წავიდა და უგზოუკვლოდ დაიკარგა. იგი ვინმე დალი ზაზარაშვილმა (ტრეფიკინგს ეწევა) თურქეთში წაიყვანა და გაყიდა. იქიდან მოვიდა ცნობა, რომ იგი 2004 წელს გარდაიცვალა და დასაფლავებულია ქალაქ ბურსაში. ეკა სამხარაძის მშობლები ამ პასუხით არ დაკმაყოფილდნენ, ისინი ეჭვობენ, რომ მათი შვილი ცოცხალია და დალი ზაზარაშვილი მას თურქეთში, ერთ-ერთ ბორდელში ამუშავებს. ჩვენ საქართველოს გენერალურ პროკურორს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მივმართეთ. საქმის ძიება უკვე დაიწყო. სულ მალე დაიკითხება დალი ზაზარაშვილის და, საერთოდ, ეს საქმე ადგილიდან დაძვრება. ამ დღეებში ძეგვის უპატრონო ბავშვთა სახლში მიგვაქვს დიდი რაოდენობით კვების პროდუქტები, რომელიც ჩვენმა ბიზნესმენმა მეგობრებმა ავთანდილ რაზმაძემ და რუბენ სუკიასოვმა უანგაროდ მოგვიტანეს.



უსამართლოდ დაჩაგრულ, გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვა, ბუნებრივია, კეთილშობილური საქმეა. ჩვენ გვჯერა და გვწამს, რომ კარგ საქმეს ვემსახურებით.

**ნანა სულავა**

ახალი ტექნოლოგიები

# ვის უნდა 100 ათასი?

## სათამაშო ბიზნესის უბადლო ლიდერი

**თანამედროვე ქართული თამაშებით არც ტელევიზია და არც ინტერნეტი განებივრებული არ გახლავთ. პირიქით, ტელეპროგრამებში უმეტესად უცხოეთიდან გადმოღებული თამაშები სჭარბობს. კარგია, რომ თურმე ამ მიმართულებითაც მუშაობენ ნიჭიერი ქართველი გამომგონებლები.**



იასე დადიანმა, რომელიც ფირმის „ნანის ვენახებიდან“ ინჟინერ-ტექნოლოგია, შეიმუშავა ინტელექტუალური თამაში „თემი“. საერთაშორისო ექსპერტების აზრით სათამაშო ბიზნესის სფეროში მას ბადალი არ ჰყავს. „თემის“ გამოყენება შესაძლებელია: ინტელექტუალური ლატარიის, მობილური ტელეფონების ქსელის, ტელევიზიის, ინტერნეტის და ინტელექტუალური კაზინოს საშუალებით.

„თემის“ უნიკალურობასა და მიმზიდველობას განაპირობებს მისთვის დამახასიათებელი ორმაგი ინტერესი: გამართლება ანუ იღბალი პლუს გართობა ანუ ინდივიდუალური თამაში. „თემის“ აქტივიზაცია შესაძლებელია უსასრულოდ. იასე დადიანის გამოგონებას აქვს პატენტი.

მაინც როგორია თამაშის შინაარსი და იდეა? სათამაშო კოჭების მეშვეობით, სათამაშო დაფაზე დიაგონალური მიმართულებით ნებისმიერი მართკუთხედის ან გარკვეული კანონზომიერებით აგებული მწკრივის აგებით შესაძლებელია ფულის მოგება. სათამაშოდ ჭადრაკის დაფა გამოიყენება. ჩვეულებრივ მართკუთხედებთან შედარებით, კვადრატის აგების შემთხვევაში მოგება მეტია. თამაშში მონაწილეობა შესაძლებელია მობილური ტელეფონის საშუალებით. ვინაიდან თამაშში გამოიყენება ოთხი კოჭი, მათი დაფაზე განლაგებისათვის გვჭირდება ოთხი კოორდინატი. სწორედ ამ ოთხი კოორდინატის მიღება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით: ვრეკავთ წინასწარ ცნობილ ფასიან ნომერზე და ეკრანზე გამოჩნდება ჭადრაკის დაფაზე არსებული რვა ასო და რვა ციფრი.

დეტალურ აღწერას არ შევუდგებით. ავტორის აზრით, ამ თამაშით შესაძლებელია 10 ლარიდან დაწყებული 100 ათას ლარამდე მოგება.

იქნებ რომელიმე ტელევიზია ან ორგანიზაცია დაინტერესდეს ამ უჩვეულო, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ძალზე საინტერესო და მომგებიანი თამაშით?

**ლალი ქინქლაძე**



ინფორმაცია

# „მაგთიკომის“ ახალი მომსახურება

**შპს „მაგთიკომი“ მომხმარებელს ახალ მომსახურებას სთავაზობს. ახალი მომსახურების „ბალის“ პრეზენტაცია გუშინ კომპანია „მაგთიკომის“ ოფისში გაიმართა.**

**„ბალი“ მაგთიკომის ქსელს იყენებს და მისი ინდექსი: 898-ი იქნება.**

**კომპანიის ინფორმაციით, ორი განსხვავებული გადახდის ბარათი იმოქმედებს – ბალი-ბარათი და თეთრი ბალი-ბარათი. ბალი-ბარათის გააქტიურებისას ანგარიშზე დაჯდება წუთები ან ერთეულები, თეთრი ბალი-ბარათით კი თანხა. ბალი-ბარათის და თეთრი ბალი-ბარათის ღირებულება 3 ლარი იქნება.**

**"საუბრის აღრიცხვა 1-წამიანი სიზუსტით მოხდება, ქსელის შიდა ზარებზე შეღავათიანი ტარიფი იმოქმედებს, ბალი-ბარათის გააქტიურებიდან 30 დღის განმავლობაში გარანტირებული იქნება შემომავალი ზარი“, - განაცხადა „მაგთიკომის ახალი პროდუქტების განყოფილების მენეჯერმა ზურაბ ბესელიამ.**

**მისივე განცხადებით, აბონენტს, რომელიც ახალი მომსახურებით ისარგებლებს, 3 ლარად თითოეული სერვისის გააქტიურება მოუწევს. „თუმცა ეს ერთიანობაში აბონენტისთვის საკმაოდ შეღავათიანი იქნება“, – აღნიშნა ბესელიამ.**

# მერია „კმარელებით“ დაკომპლექტდებაო?..

**თბილისის მერიის სტრუქტურებში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსს საკრებულოს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეები“ უნდობლობას უცხადებენ. ფრაქციის თავმჯდომარეს გიორგი მოსიძეს მიაჩნია, რომ „მუნიციპალიტეტი უგულავას „კმარელებით“ დაკომპლექტდება“.**

**"ყველამ კარგად ვნახეთ, თუ როგორი შედეგით დასრულდა საგარეო საქმეთა სამინისტროში და სახალხო დამცველის აპარატში გამოცხადებული კონკურსი. ხალხი ჯერ აწვალეს, ბოლოს კი მიიღეს ისინი, ვინც თავად სურდათ. იგივე განმეორდება ამ შემთხვევაშიც“, – აცხადებს მოსიძე.**

**მერიის თანამშრომელთა შესარჩევად საკონკურსო განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო და 31 ივლისამდე გასტანს. კონკურსი აგვისტოში, 3 ეტაპად ჩატარდება.**

**როგორც მერიაში აცხადებენ, მუნიციპალიტეტის სტრუქტურებში 600-ზე მეტი ადგილია ვაკანტური.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ XXI – ჩვენი საუკუნე

# გორელი მოსწავლის ოქროს მედალი

**„ძალიან მაგარია, ყოჩაღ!", წაუწერა საქართველოს პრეზიდენტმა ბიჭუნას ფურცელზე და თვალებში ჩახედა. იდგა 15 წლის ალექსანდრე ონიაშვილი პრეზიდენტის წინ და გრძნობდა, რომ დამდგარიყო მისი ცხოვრების საუკეთესო წუთი:** პრეზიდენტს მისი ხელი ხელში ეჭირა და უღიმოდა. ეს ყველაფერი ორიოდ წამს გაგრძელდა, მაგრამ დროის ამ უმცირესმა მონაკვეთმა ყმაწვილის მთელი ცხოვრება დაიტია – უმამობით გამოწვეული სევდა, მუდმივად, ყოველ წუთს შვილების მომავალზე დაფიქრებული დედა, პაპა, ვინც ალექსანდრეს ბავშვობიდანვე ჩხირკედელაობა, სახაზავი და ფარგალი შეაყვარა. გორის VII საშუალო სკოლა, რომელმაც იგი ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა პირველ რესპუბლიკურ კონკურსზე გააგზავნა, დიახაც, იმედით იყო, რომ ქვეყნის ნორჩ გამომგონებლებთან ჭიდილში სკოლის ფალავანი თავის სიტყვას იტყოდა, მაგრამ თუ ამ ავტორიტეტულ კონკურსში გაიმარჯვებდა, ქვეყნის პრეზიდენტი მიულოცავდა და ხელსაც ჩამოართმევდა, ყველაზე თამამ ოცნებაშიც ვერ წარმოედგინა.



ნორჩ გამომგონებელთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა, უეჭველია, ღირსშესანიშნავი მოვლენა გახდა ქვეყნის საგანმანათლებლო, ინტელექტუალურ ცხოვრებაში. პირველი რესპუბლიკურიო, რომ ვამბობთ, ნიშნავს იმას, რომ მსგავსი ფორმატის და შინაარსის კონკურსი-დათვალიერება ადრე არ ჩატარებულა. და თითქოს მთელი ამ ხნის მანძილზე დაგროვილმა და დადუღებულმა ენერგიამ ერთბაშად ვულკანივით ამოხეთქაო, ნორჩი მეცნიერების და გამომგონებლების ნამუშევრების ერთად ხილვამ, სწორედ რომ, ასეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მოსწავლეებს მეცნიერების არც ერთი დარგი და სფერო არ დაუტოვებიათ უყურადღებოდ? – მათ ყველა მათგანში თავისი სიტყვა თქვეს, თავისი წვლილი შეიტანეს. ჟიურიმ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ჩვენი პრეზიდენტის დედა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი გიული ალასანია, კონკურსის დასკვნით ეტაპზე რვა გამარჯვებული გამოავლინა, მათ შორისაა გორელი მეცხრეკლასელი ალექსანდრე ონიაშვილი. მან მკაცრი ჟიურის სამსჯავროზე წარადგინა გამოგონება „მიწის საბარავი საშუალება". მას გამოფენა-კონკურსის უმაღლესი ჯილდო ოქროს მედალი ხვდა წილად. გამარჯვებულები სპეციალური საჩუქრებითაც დააჯილდოვეს, გადასცეს სარეკლამო ატრიბუტები, სუვენირები.

– რადგან პირველი კონკურსი ჩატარდა, წესით მას მეორეც უნდა მოჰყვეს, – ამბობს სანდრო, – ეს კი იმას ნიშნავს, რომ საამისოდ სამზადისი აქედანვე უნდა დავიწყო, ერთი საინტერესო იდეა მაქვს, ვნახოთ, რა გამოვა...

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ" საკ. კორ.**



სერთიფიკატი

◉ ტრაგედია

# სიკვდილსაც აღარ ვუნდივარ!..

**...ღამის სიბნელეში მანქანის შუქფარების სინათლეზე მძღოლის ყურადღება წაქცეულმა კაცმა მიიპყრო. გენერალ-მაიორმა ნუგზარ დობორჯგინიძემ, რომელიც თავის დაცვას დაქვემდებარებული ობიექტების მორიგ შემოწმებას აწარმოებდა, ასფალტზე სისხლის გუბეში მწოლ ახალგაზრდა კაცთან მიირბინა. საბრალოს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. გენერალ-მაიორმა რაციით „სასწრაფო დახმარებას" უხმო. იგი 7 წუთში მოვიდა და მომაკვდავი ქალაქის მე-8 საავადმყოფოში გადაიყვანა. იქვე გაირკვა მისი ვინაობაც. იგი სოხუმელი ლტოლვილი – 35 წლის მამუკა სალუქვაძე აღმოჩნდა. ნუგზარ დობორჯგინიძემ მეორე ზარი ქალბატონ ეთერ ასტემიროვასთან, ლტოლვილთა და განსახლების ყოფილ მინისტრთან გაუშვა, მან კი, თავის მხრივ, ლადო ჭიპაშვილთან, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრთან.**

...ორი დღე და ღამე ებრძოდა მამუკა სალუქვაძე სიკვდილს! ორი დღე და ღამე არ მოსცილებია მის სასთუმალს ორივე მინისტრი, მათთან ერთად – ქალაქის მე-8 საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების მთელი პერსონალი. ეს ადამიანები განსაკუთრებით განიცდიდნენ ავადმყოფის ბედს, კაცისას, რომელსაც თვითმკვლელობის (ვენების გადაჭრით) საბედისწერო ღამეს ჯიბეში, პასპორტთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტის სახელზე წერილი აღმოაჩნდა.

უცვლელად გთავაზობთ ამ წერილის შინაარსს:

**„ბატონო პრეზიდენტო!**

**არ გეგონოთ, უნებისყოფო კაცი ვიყავი. პირიქით, ბავშვობიდანვე უპატრონოდ გაზრდილმა ნებისყოფა გამოვიმუშავე, რითაც ცხოვრებისეულ ათასგვარ გაჭირვებას ვუმკლავდებოდი.**

**აფხაზეთიდან ჭუბერის უღელტეხილით გადმოვედით. ფეხმძიმე მეუღლე ზურგზე მოკიდებული გადმოვიყვანე სამშვიდობოს. მეორე შვილიც აქ შემეძინა. ცოლ-შვილის გამოსაკვებად არანაირ პატიოსან შრომასა და სამუშაოს არ ვთაკილობდი. ასე იყო თუ ისე, ყოველდღიურად პურის შოვნას მაინც ვახერხებდი. მეუღლე ბავშვებს უვლიდა.**

**და აი, ჩემთვის ყველაფერი დასრულდა – მეუღლე გარდამეცვალა, იგი კიბოთი დაიღუპა. ორი პატარა შვილი უპატრონოდ დამრჩა. ისედაც დაჩაგრული ცხოვრება, მთლად ჯოჯოხეთად მექცა.**

**ხელფასიან სამსახურს ვეძებდი. ვერ ვიშოვნე. უმაღლესი განათლების მქონე არანაირ სამუშაოს არ ვთაკილობდი: მაღალი სართულებიდან ტომრებით ვეზიდებოდი რემონტის ნარჩენებს, ქალაქის გარეუბნებში ვამტვრევდი დანგრეული შენობების ბეტონის ფილებს ცოტაოდენი ლითონის შესაგროვებლად და ჯართში ჩასაბარებლად. ერთი სიტყვით, ვაკეთებდი ყველაფერს, ბავშვები მშივრები რომ არ მყოლოდნენ.**

**სასკოლო ასაკისანი რომ გახდნენ, პირველი ორი წელიწადი ჩაუცმელობის გამო, სკოლაში ვერ გავუშვი. ჩემს გარდა ვერავინ ამჩნევდა, თუ რა ცრემლიანი თვალებით აცილებდნენ სკოლაში ქრიამულით მიმავალ თანატოლებს! გული მიკვდებოდა ამის შემყურეს. ვის არ მივმართე დახმარებისთვის, ყურადღება კი არავინ მომაქცია. ვთხოვე თოფაძეს, ჭყონიას და საერთოდ, არც ერთი ბიზნესმენი არ დამიტოვებია, მაგრამ მათგან დამცირების მეტი ვერაფერი მივიღე. უფრო მეტიც – ერთ-ერთ მათგანს რომ ვუთხარი, ისეთ დღეში ვარ, იძულებული ვხდები, ბენზინი გადავისხა და თავი დავიწვა-მეთქი, ასე მიპასუხა, – გარეთ გადი და თავი იქ დაიწვი, თორემ აქ პარკეტი გამიფუჭდებაო.**

**მთავრობაშიც დიდხანს ვირბინე. იქაც ვერაფერს გავხდი. როგორღაც, ერთხელ, მცველებს გავექეცი და კანცელარიის კიბეებს ავუყევი, მაგრამ დაცვას დიდხანს ვერ დავუსხლტი, ყველაფერი რომ გაარკვიეს, გამომიშვეს და მირჩიეს თავისუფლების მოედანზე მივსულიყავი სამუშაოს საშოვნელად, სადაც უცხოელები სასტუმროს აშენებდნენ. მივედი, მაგრამ იქ სამუშაოს დაწყებაში 500 ამერიკული დოლარი მომთხოვეს.**

**რა უნდა მექნა? ისევ ლითონისა და ჯართის ძებნას მივუბრუდი. როცა დავრწმუნდი, შვილები მაინც მშივრები მყავდნენ, სისხლის ჩაბარება დავიწყე. სულ მალე დავუძლურდი და ძველებურად ვეღარ ვშრომობდი.**

**მთავრობამ ავჭალაში, როგორც ლტოლვილებს, ერთი ოთახი გამოგვიყო. იგი ძალიან ნესტიანია. სარდაფში ტონობითაა დაგუბებული აყროლებული წყალი. შეიძლება ამის ბრალიც იყოს, ღვიძლი რომ დამიავადდა. ეს სახლი ბავშვებისთვისაც ძალზე საშიშია.**

**მოკლედ, თავის მოკვლის მეტი სხვა გზა აღარ დამრჩენია, ბატონო პრეზიდენტო! გაგიმხელთ – ერთადერთი თქვენი იმედი მაქვს, მჯერა, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ობლებს უპატრონოდ არ დამიტოვებთ.**

**და ერთიც, ბატონო პრეზიდენტო!**

**იმ ათობით ადამიანს შორის, ვისაც თხოვნით მივმართე, არის ერთი, ვინც „პეჩენია" და მურაბა აჭამა ჩემს ობლებს და 160 ლარი ფულიც მისცა. ეს ეთერ ასტემიროვა გახლავთ.**

**მშვიდობით ბატონო პრეზიდენტო.**

**ყოვლისშემძლე მამა ღმერთს ვევედრები, რომ მე ვყოფილიყავი სიღუხჭირით დაღუპული უკანასკნელი ქართველი".**

**მამუკა სალუქვაძე, 9 ივნისი, 2005 წელი.**

ჩვენ დავუკავშირდით პატარა ნინიკოსა და აკაკის, რომლებიც უღრმეს მადლობას უხდიან კ. ს. ა. საგანგებო სიტუაციებისა და დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს, გენერალ-მაიორს ნუგზარ დობორჯგინიძეს, ქალბატონ ეთერ ასტემიროვას და ბატონ ლადო ჭიპაშვილს საყვარელი მამიკოს გადარჩენისთვის. სამწუხაროდ, მას თვითმკვლელობის ცდისას ორივე ხელი დაუზიანდა, გაუხმა და დახეიბრდა.

ამ ტრაგედიას გაგებისთანავე გამოეხმაურა სამშენებლო ფირმა „აზიმუტის" დირექტორის ბატონ თემურ ნიკოლეიშვილის ოჯახი – მათ დაშავებულს საავადმყოფოშივე გადასცეს 200 ლარი და შეპირდნენ გამოჯანმრთელების შემდეგ სამსახურით უზრუნველყოფას.

მართალია, ჩვენი გაზეთი შეყოვნებით გამოეხმაურა ამ ფაქტს, მაგრამ პირველები ვაქვეყნებთ კეთილი ადამიანების მიერ გადარჩენილი ბატონი მამუკა სალუქვაძის ობლების საბანკო ანგარიშის ნომერს:

**სალუქვაძე მამუკა გიორგის ძე.**

**ობოლი ბავშვების ანგარიშია:**

**ბანკი „რესპუბლიკა", გლდანის ფილიალი**
**0700003601002034,**
**კოდი 220101760.**

**ია კალანდარიშვილი**

◉ ინფორმაცია

## ნიკა გილაური ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს



**ბაქოში** ვიზიტად მყოფი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური კომპანია „აზერენერჯისთან" თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს.

როგორც ინტერპრესნიუსს ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, „აზერენერჯისთან" ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, შეიქმნება ორმხრივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველსაყოფად ტექნიკური პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებს.

ბაქოში ვიზიტისას გაიმართება მოლაპარაკება აზერბაიჯანიდან ელექტროენერგიის იმპორტის საკითხთან დაკავშირებით. ასევე, გადაწყდება 2007-2008 წლებში აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების საკითხიც.

ნიკა გილაური ბაქოში პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ერთად იმყოფება. ქართული დელეგაციის შემადგენლობაშია ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც.

## მოითხოვენ აფხაზეთში პრივატიზების შეჩერებას

**აფხაზეთის** აუღიარებელი რესპუბლიკის ხელისუფლების ოპოზიცია აფხაზეთის სახელმწიფო ობიექტების დიდი ნაწილის გასხვისების გამო შეშფოთებას გამოთქვამს და ხელისუფლებისგან შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნამდე პრივატიზაციის პროცესის შეჩერებას ითხოვს.

– სახალხო ერთიანობის ფორუმი გაგებით ეკიდება უმოქმედო ობიექტების პრივატიზაციის აუცილებლობას, მაგრამ ხელისუფლებისგან ამ პროცესის შეჩერებას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნამდე მოითხოვს, – ნათქვამია სახალხო ფორუმის მიერ აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის, პარლამენტის თავმჯდომარის ნუგზარ აშუბასა და მინისტრთა კაბინეტისადმი გაგზავნილ მიმართვაში.

ფორუმში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები დაუშვებლად მიიჩნევენ, ასევე აფხაზეთის ქონების უცხოელებზე გადაცემას და არ გამორიცხავენ, რომ ამ პროცესზე მკაცრი კონტროლის დაუწესებლობის შემთხვევაში აფხაზეთის ქონება საქართველოს მოქალაქეების ხელში აღმოჩნდეს.

ფორუმი მოუწოდებს ხელისუფლებას, არ დაუშვას ქართველ დევნილთა აფხაზეთში საცხოვრებლად დაბრუნების გახშირებული შემთხვევები, ვინაიდან დევნილთა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება ხელისუფლებას ჯერჯერობით მიღებული არ აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ გამოცდები

## პირველ ტესტურ გამოცდებზე

**ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბიტურიენტთან ერთად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც აბარებს. უკვე ჩანს, რომ ამჯერად, მრავალი წლის შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ობიექტურად ტარდება. გამოცდებისადმი საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულებაც თანდათან ქრება, მაგრამ ნერვიულობს ყველა: აბიტურიენტი, მშობელი და თვით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელიც.**

ყველაფერი კი უკეთ მაშინ გაირკვევა, როცა ტესტები გასწორდება და სააპელაციო პროცესიც დამთავრდება, რომელიც, სავარაუდოდ, აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდება. საბოლოო პასუხები კი აბიტურიენტებს სექტემბერში ეცოდინებათ. მაგალითად, ზოგადი უნარ-ჩვევების პასუხები აგვისტოს ბოლომდე დადგინდება, რადგან მიღებულ ქულებს მანქანა დაითვლის. ყველა სხვა საგანში – ქართულში, უცხო ენასა და მათემატიკაში ტესტებს გამსწორებლები გაასწორებენ. თითო საგანში მაქსიმალური ქულა 100-ია, სახელმწიფო გრანტის მოსაპოვებლად კი 300. ასე რომ, სუბიექტური შეფასება, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელები გვარწმუნებენ, პრაქტიკულად ნულამდეა დაყვანილი. ყოველი გამოცდის შემდეგ ტესტები გეგელიას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატში (სადაც ცენტრია გახსნილი) მიაქვთ.

პირველმა ტესტურმა გამოცდებმა აბიტურიენტი დაარწმუნა, რომ მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული და გარეშე ზემოქმედებისგან დაცულია.

შეჯამდა შედეგები ზოგად უნარებში, სადაც რეგისტრირებული 8205 აბიტურიენტიდან არ გამოცხადდა – 352. ძალიან დიდია გამოცდებზე დამგვიანებელთა რიცხვიც.

ზოგად უნარ-ჩვევების გამოცდებს 14 დამკვირვებელი ჰყავდა. მათ შორის საერთაშორისო საზოგადოება „გამჭვირვალეს" თავმჯდომარემ მაკ მალენმა და „სამართლიანი არჩევანის" დირექტორმა თამარ ქვანიამ განაცხადეს, რომ თბილისში ზოგად უნარ-ჩვევების გამოცდები კარგად წარიმართა.

გავესაუბრეთ აბიტურიენტებს, მათ მშობლებს. ისინი წლევანდელი გამოცდებით კმაყოფილნი არიან.

32000 აბიტურიენტიდან მხოლოდ 17380 გახდება სტუდენტი და ისინი 110 აკრედიტებულ სასწავლებელში გადანაწილდებიან. ეს ციფრი შარშანდელთან შედარებით მცირეა, მაგრამ დამკვირვებლები გვარწმუნებენ, რომ სტუდენტი გახდება ის, ვინც საგანი იცის.

**ნათელა ფაილოძე**

◉ მოგზაურის კვერთხი

# ჩვენებურები

## 6. ქართველების სელჯუკი რძალი

**სარიელი ჰქვია სტამბოლის ამ რაიონს. სარიელი ყვითელ მიწას ნიშნავს. ჩვენი მასპინძელია თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის გენერალური დირექტორი მევლუდ ართვინლი-გოგიტიძე.**

მანქანა აღმართს აუყვა.

რაც უფრო ზემოთ მივიწევთ, უფრო და უფრო ლამაზი ხედი იშლება თვალწინ – მარმარილოსა და შავი ზღვის შესაყარი, ბოსფორი თავისი სიმშვენიერით. ჩამავალმა მზის სხივმა, ერთხელ კიდევ ათასფრად ააელვარა ულამაზესი სანაპირო და ამწვანებულ გორების მიღმა ჩაესვენა.

ფანჯარას მიკრული, შეკითხვას შეკითხვაზე ვაძლევ მასპინძელს. ისიც დინჯად მპასუხობს, ცდილობს შესაფერისი სიტყვა იპოვოს, ზუსტად რომ გადმოსცეს სათქმელი, ქართულად საუბარი უჭირს. თუ ვერ იპოვის, ისიც შუშანას მიმართავს დასახმარებლად, ის, როგორც ყოველთვის, მხსნელად გვევლინება.

აქედან ხელის გულივით მოჩანს სტამბოლი. ერთი მთავარი მიზეზი, რამაც სტამბოლი მსოფლიოს მეტროპოლად აქცია, მისი გეოგრაფიული მდებარეობაა. ის ხომ ერთადერთი ქალაქია მსოფლიოში, რომელიც ორ კონტინენტზე მდებარეობს.

სტამბოლი ევროპისა და აზიის გამყოფი, შავი და მარმარილოს ზღვის შემაერთებელი, ბოსფორის ორივე მხარეს არის შეფენილი.

ყოველწლიურად, ქალაქს 1000 ახალი ქუჩა ემატება. დასავლეთით და აღმოსავლეთით ახალი დასახლებები იქმნება. თურქეთის თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი, სტამბოლში ცხოვრობს. ამ ქალაქში ერთმანეთს ერწყმიან და გადაკვეთენ აღმოსავლეთი და დასავლეთი, აზია და ევროპა, ისლამი და ქრისტიანობა. ისტორიული და კულტურული ღირებულების თვალსაზრისით ის რომს უტოლდება. სტამბოლი აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის და ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქი იყო. ყოველი ახალი სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდგომ, აქ მსოფლიოს ყველაზე გამორჩეული გრანდიოზული არქიტექტორული ძეგლების მშენებლობა იწყებოდა. ამიტომაცაა ასე დიდებული და ამიტომაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი, და რა გასაკვირია, მის დიდებულ სიმშვენიერეს ჩვენც გავეოცებინეთ.

სტამბოლში თითქმის ყველა ახლად აშენებული სახლის სახურავი მუქი შინდისფერია, ერთმანეთთან მიჯრით დამწკრივებულ ნაცრისფერი ქვით აშენებულ სახლებში, შორიდან ასე რომ გგონია, ნემსი არ ჩავარდებაო, ახლო მისული, შენობებს შორის, ბაღნარს აღმოაჩენ, გაოცდები ყვავილთა სიმრავლითა და ხე-ბუჩქების სილამაზით. ეზოები ხასხასა, მწვანე კოინდრითაა მოფენილი.

აღმართი რომ დამთავრდა, უჩვეულო სახლებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. შორიდან დამთავრებულის შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში უფანჯრებო, ნგრევის პირზე მისული დაგვხვდა.

– ეს სახლები განაჩენს ელისო, – გვითხრა მევლუდ ბეიმ, – განაჩენი, ე.ი. დადგენილება კი პარლამენტმა უნდა გამოიტანოს. ის კი არ ჩქარობს, ამასობაში 20 წელიწადი გასულა და ასე, თვალსა და ხელს შუა, ინგრევა ზღაპრულ ადგილას აშენებული მშვენიერი სახლები.

მთავრობამ მის ამშენებელს მშენებლობის დამთავრების ნება არ მისცა, რადგან, როგორც თავად რწმუნდებით, ეს ადგილი პირდაპირ ბოსფორს გადაჰყურებს, სტრატეგიული თვალსაზრისით კი, ეს დაუშვებელია.

– მე მეჩვენება, სტამბოლის ნებისმიერი რაიონიდან მოჩანს ბოსფორი, – ჩემთვის ჩავილაპარაკე.

– კი მაგრამ, ასე სრულყოფილად, მთლიანად არსაიდან. ამასობაში მევლუდ ბეის სახლს მივუახლოვდით.

როდესაც ჩვენი მასპინძლის აივნიდან გადავიხედეთ და გვითხრეს, რომ აქ სულ სამი დღის გადმოსულები არიან და პირველი სტუმრები ჩვენ ვიყავით, გავვოცდით.

სახლში ყველაფერს კრიალი გაუდიოდა.

ულამაზესი ხე-ბუჩქებით დამშვენებულ ეზოში, კენჭიც კი არ იყო უწესრიგოდ დაგდებული. ამფითეატრივით ამაღლებულ ადგილზე უზარმაზარი საცურაო აუზი, ქვემოთ ხელოვნური კლდის გვირაბიდან გამომავალი ჩანჩქერი, ისეთი ლურჯი და ზოგან კი ღია ცისფერი, ამ ხასხასა სიმწვანეში, რაღაც არარეალურ ზღაპრულ სამყაროს მაგონებდა.

მასპინძლებმა მაგიდასთან მიგვიწვიეს. მევლუდ ბეის მეუღლე ნესრინი სელჯუკია. მათ ორი შვილი ჰყავთ. ნესრინი სტამბოლის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ასწავლის. მე არ ვიცი, ის როგორი მასწავლებელია, მაგრამ შესანიშნავი დიასახლისი რომ ნამდვილად არის, დავრწმუნდით. ბევრ ქართველ დიასახლისს შეშურდებოდა, მან რომ სუფრა გაშალა.

თითოეული კერძი ხელოვნების ნიმუში გახლდათ. ისე გემოვნებითა და სიფაქიზით იყო მაგიდა გაშლილი, მანამ თავად მასპინძელმა არ გადმოგვიღო, ვერ გავბედეთ ამ სიმშვენიერეს შევხებოდით.

ნახელავი რომ შევუქეთ, ნესრინმა გაიღიმა: აბა, მაშ როგორ, ქართველების რძალი ვარ და ისე ვცხოვრობ, როგორც ამ დიდ ხალხს შეფერისო.

გული სიამაყით ამევსო, ქართველების რძლობით ასე რომ მოსწონდა თავი, სელჯუკ ქალბატონს.

საჭმელები რომ დავაგემოვნეთ, ნესრინს ერთი კერძის, რომელიც განსაკუთრებით მეგემრიელა, რეცეპტი ვთხოვე.

– ქართული კერძები განთქმულია, ქართველები მსოფლიო სუფრის თამადები არიან. ჩვენ თქვენ ვერაფრით გაგაკვირვებთო, – ღიმილით მითხრა ნესრინმა. გამაკვირვეს და მერე როგორ. კერძებს რომ თავი დავანებოთ, სელჯუკი ქალი ისე დაგვტრიალებდა თავზე და თან გვყვებოდა, როგორც ჩვენ, ქართველებმა ვიცით ხოლმე სტუმრის პატივისცემა.

შებინდდა, აივანზე გადავინაცვლეთ. ღამის შუქზე კიდევ უფრო საოცარი სანახავი გახდა იქაურობა. დღესაც თვალწინ მიდგას ერთმანეთის გვერდით ჩამწკრივებული სახლები, ათასფერი ყვავილებით მორთულ-მოკაზმული აივნები, თითქოს ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებიანო, თავს იწონებდნენ ერთი ერთმანეთზე უკეთესნი. ვერ წარმოიდგენდი, რომ 15-მილიონიან ქალაქში იყავი. ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა. ხანდახან სიჩუმეს ბაყაყის ყიყინი არღვევდა მხოლოდ, რომელიც რეალობაში გვაბრუნებდა.

მართალი გითხრათ, ჩუმად ყოფნა მერჩივნა და ამ სილამაზითა და სიმშვიდით ტკბობა, მაგრამ სამსახური სამსახურია და მეც მოვიმარჯვე კალამი.

### ქართულად რომ ავლაპარაკდი, ჩემი მეორე სიცოცხლე მაშინ დაიწყო

– სკოლაში წასვლამდე არ ვიცოდი ქართული, – მეუბნება მევლუდი. – იზმითში დავამთავრე სკოლა. პირველად იქ მითხრეს, რომ ჩვენ, გურჯები ვიყავით. ახმედ მელაშვილის წიგნი წავიკითხე და მაშინ გავიგე, საქართველო რომ არსებობდა. მერე ახმედი და მე ძალიან კარგი მეგობრები გავხდით. ჩვენს კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს გავეცანი და შემიყვარდა. მაშინ არ ვიცოდი, ქართული დამწერლობა თუ არსებობდა, ამიტომ ლათინური ასოებით გავაკეთე ქართული ანბანი. ამან კი ხელი შემიწყო, რომ ნელ-ნელა ქართულად ავლაპარაკებულიყავი. ასე დაიწყო ჩემი მეორე სიცოცხლე. ჩვენ თქვენგან 200 წელიწადი შორს ვიყავით და ენა მაინც შევინახეთ. ჩვენი ენა ძალიან ძველია, ამიტომ ჩვენებურებთან ლაპარაკი გეუცხოებათ (მკითხველი, ალბათ, არ დამძრახავს, თუ ჩვენს საუბარს შეუსწორებლად გადმოვცემთ).

სამხედრო ოფიცერი ვარ, პოლკოვნიკი და, როდესაც პენსიაზე გავედი, იმ დღიდან ფონდში ვმუშაობ.

ჩვენამდე ანკარაში, მსგავსი ფონდი მოქმედებდა, მაგრამ ძლიერი არ იყო, მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა საქმიანობით. ვიცოდი, რომ სტამბოლში ქართველები ძალიან ძლიერები იყვნენ, თითქმის ყველა დიდი ბიზნესმენი ქართველია. იმჟამად ფონდის პრეზიდენტის ნიჰათ გოგიტიძის (რომელიც ძალიან გავლენიანი და მდიდარი კაცია მთელს ოსმალეთში) ოფისში შევიკრიბეთ 22 ძლიერი ადამიანი და მაშინ ვისაუბრეთ, როგორ გაგვეკეთებინა ფონდი.

ბატონ სიმონ ზაზაძეს, როგორც თქვენც უკვე ნახეთ, დიდი მიწები აქვს სტამბოლში. მან გვითხრა, რომ მიწას მოგვცემდა და რაც გინდათ, ააშენეთო. ჩვენ ქართული კულტურის ცენტრისა და უნივერსიტეტის აშენება გადავწყვიტეთ. ეს მიწა უკვე, 50 წლით, იჯარით ავიღეთ, 5,5 ჰექტარია. ვფიქრობთ, უნივერსიტეტში, რომელიც კერძო იქნება, აუცილებლად ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი გავხსნათ.

ჩვენი ფონდის მიზანია თურქეთსა და საქართველოს შორის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობებისა და თანადგომის განვითარება;

თურქეთში მცხოვრები წარმოშობით ქართველების შეკავშირება. ჩვენი ტრადიციების, ფოლკლორის, ხალხური მუსიკალური ტრადიციების აღდგენა, განვითარება. თურქეთსა და საქართველოს შორის განათლების, ჯანდაცვის, კულტურის, მეცნიერების, სპორტის სფეროში თანამშრომლობა.

**– მევლუდ ბეი, პირველად საქართველოში როდის ჩამობრძანდით და როგორი ქვეყანა დაგხვდათ?**

– 1998 წელს ჩამოვედი თბილისში. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, ბოლო დროს ოცნებად მქონდა ჩემი წინაპრების ქვეყნის მონახულება. მაშინ ქართულად ვერ ვლაპარაკობდი – ძალიან გამიხარდა ჩემი ხალხის გაცნობა, გული გამითბა, ბევრი მეგობარი შევიძინე. მოვიხიბლე სტუმართმოყვარეობით, ქართული სუფრით და პურმარილით. ახლა თქვენ ჩემი სელჯუკი ცოლის სუფრამ რომ გაგაკვირვათ, ეს ალბათ, ზრდილობისთვის, თორემ მსოფლიოში არ არსებობს ხალხი, ვისაც ქართველზე უკეთ შეუძლია რამის გაკეთება.

ფონდის დაარსებიდან დღემდე, ბევრი გავაკეთეთ. შევარდნაძესა და დემირელის კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ბევრს ლაპარაკობდნენ და საქმე არ იყო.

სააკაშვილის შეხვედრის ორგანიზაცია ჩვენ გავაკეთეთ. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ქალბატონმა გიული ალასანიამ, მისი თურქულით მოვიხიბლეთ. საქმემაც წინ წაიწია.

ბევრი სასიკეთო საქმე გავაკეთეთ. თბილისიდან ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების სტაჟირება, ექიმებისა და ჯანდაცვის მუშაკების პროგრამების ერთობლივი განხორციელება, უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი ურთიერთობები დაიწყო. ჭოროხის ხეობის ტერიტორიაზე არსებული ქართული არქიტექტურული ძეგლების შემსწავლელ ჯგუფს დიდი დახმარება გავუწიეთ. 2002 წლის აპრილს თბილისში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულებს დავეხმარეთ. იუნესკოს ქართული ხალხური სიმღერის სიმპოზიუმზე მაჭახელის მრავალხმიანი ხალხური გუნდი მონაწილეობდა. 2003 წლის ივნისში თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდმა და თურქეთის რესპუბლიკის კონსულმა, ბატონმა ჰუსეინ ავნი ქარსიოღლუმ დიდი საქმე გავაკეთეთ. ჩვენი დახმარებით ექიმებმა 200 ადამიანს უმკურნალეს, 50 ბავშვს კი ოპერაცია გაუკეთეს. 500 მილიარდი ლარის საქმე უფასოდ განხორციელდა. ერთხელ, ჩვენი დახმარებით, ქართველი მხატვრების გამოფენაც მოეწყო.

დღეს კი, ჩვენი ყველაზე დიდი საქ- [illegible] 500 წლის წინანდელი წიგნები გაასუფთავა, ოსმალეთი ჯერ არ იყო, როცა კონსტანტინეპოლში ქართველები მოღვაწეობდნენ. ისტორიის მტვერი გადაყარა შუშანამ. ჩვენ გვინდა, თანამედროვე ბიბლიოთეკა გავაკეთოთ და ყველას ჰქონდეს საშუალება აქ მუშაობის.

ქალბატონ გიულის მოწვევით, ჩვენი ბერიკაცები წავიყვანეთ და თბილისში ფესტივალზე ვიყავით. ფოლკლორული ანსამბლი „იზმით გურჯუკ"-ს დიდი წარმატება ხვდა წილად. იბერია ოსკარ მელაშვილს და მის ვაჟს, პატარა ბექას, რომელიც ორ სალამურზე უკრავს, ოვაციები არ მოკლებია.

**– შორიდან როგორ ჩანს, რა შეიცვალა საქართველოში?**

– ხომ გითხარით, ფონდის ადმინისტრაციული საბჭო შევარდნაძეს სპეციალურად შეხვდა, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხიც განვიხილეთ, მიუხედავად დემირელთან მეგობრობისა, არაფერი არ გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილის დროს კი სერიოზულად მიდის ყველაფერი, ჩვენ კარგად ვხედავთ, როგორ შეიღება სახლები, გალამაზდა ქუჩები. როცა ბათუმში მივდიოდით, ყოველ 5 კილომეტრში გაჩერებდნენ, მიეცი 5 ლარი, მიეცი 5 ლარი – ეხლა ეს პრობლემა არ დარჩა, ეს ახალი პრეზიდენტის დიდი გამარჯვებაა.

ერთი გენახათ, გულში როგორ ჩეიხუტეს აქაურმა ქართველებმა საქართველოს პრეზიდენტი. ჩვენ მისი დიდი იმედი გვაქვს.

დიდხანს საუბრობდა მევლუდ ბეი, ზოგჯერ სათქმელს გამართული ქართულით ამბობდა, ზოგჯერ იქაურად უქცევდა.

* * *

**მევლუდ ბეის სახლიდან რომ გამოვედით, უკვე ძალიან გვიანი იყო. ამ მხრიდან სახლს ათასწლოვანი ცაცხვისა და წიფლის ტყე აკრავს. ამწვანებული ტყის თავზე მკრთალი ზაფხულის მთვარე გადმომდგარიყო და რაღაც იდუმალ ტალღებში გაეხვია გარემო. როგორც ყველაფერი სტამბოლში, ესეც ძალიან ახლებული და ნაცნობი პეიზაჟი გახლდათ. რამდენიმე ათასი კილომეტრი მაშორებდა ჩემს საქართველოს, მაგრამ ზღვარი წაშლილიყო და თავი კუდიგორასთან მეგონა.**

**მევლუდ ბეიმ ჩვენი თავი ჩააბარა ირაკლი კოპლატაძეს და დაგვემშვიდობა, სელჯუკი პატარძალი კი დიდხანს გვემშვიდობებოდა, რამდენჯერმე გადაგვკოცნა და გვთხოვა, ხშირად მივსულიყავით.**

**მანქანა უკან იტოვებდა სარიელს, კვლავ ფანჯარას მიკრულები, ქვემოთ, სტამბოლისკენ ვეშვებოდით, რომელიც სიბნელეს უფრო მეტი საიდუმლოებით მოეცვა, მომხიბლავი ბოსფორი, მთელი თავისი სიმშვენიერით, ახლა იდუმალ ღამეს მინდობოდა.**

**მარადი ანასაშვილი**
**სტამბოლი**



ნესრინი, შუშანა ფუტკარაძე, ირაკლი კოპლატაძე, მევლუდ ართვინლი-გოგიტიძე.

◉ დასიცხული კაცის მონოლოგი

# აბა, ერთი, «ალექსანდრეს» ბაღში გვნახეთ!..

**აი, თქვენ რომ ანტალიაში ნებივრობთ, აი, თქვენ რომ ფიჯის კუნძულებზე ვნებიან საყვარელთან ერთად ტიტლიკანა დასეირნობთ, მე, იცით, სად ვატარებ გაგანია ზაფხულს?.. დედათბილისის შუაგულში, უძველეს „ალექსანდრეს“ ბაღში. თანაც, ქვედა მხარეს – „ჯუნგლებში“ – მეეზოვეებში, „ბომჟებში“, ყრუალა ბებრებში, ხუთლარიან კახპებში, უპატრონო ძაღლებსა და კატებში...**



ჩვენ – რამდენიმე 28-ლარიანი პენსიონერი, „ვაკონტროლებთ“ აქაურობას – უჩვენოდ ჩიტი ვერ გადაფრინდება ყოფილი ძნელაძის ქუჩიდან, ამერიკის საელჩომდე. აი, აგერ რომ ორი ახალგაზრდა ზის ძელსკამზე, „ტექნიკურად“ ათვალიერებს გარემოს და „საკბილოს“ ეძებს, ჩვენი ნაცნობი იელოველები არიან, უწინ, იცოცხლეთ, ეშინოდათ ჩვენი და დიდხანს არ ჩერდებოდნენ ბაღში, მაგრამ ახლა, რაც ხელისუფლების მხარდაჭერა იგრძნეს და მკალავიშვილი გისოსებს მიღმა დაიგულეს, აღარ გვერიდებიან – ზაფხულში რაიონებიდან ჩამოსულ აბიტურიენტებს და მათ გულშემატკივრებს რა გამოლევს ბაღში და იელოველებიც „მთელი დატვირთვით მუშაობენ“. ჩვენც დაბოღმილები ვადევნებთ თვალს მათ საუბრებს, ფერად-ფერადი ბუკლეტების ფრიალს. რა ვქნათ, სააკაშვილთან ჭიდილის თავი ვისა აქვს, შეიძლება ჩვენც მკალავიშვილის კამერაში შეგვყაროს...

ანტალიაში და ფიჯის კუნძულებზე, ერთმა „ახალმა ქართველმა“ მითხრა, ნამყოფი ვარ და, რომ იცოდე, მომეწყინა კიდეცო. ხედავთ? „ალექსანდრეს“ ბაღში კი რა მოგვაწყენს?.. ალიონზე, ჯერ მეეზოვე უშანგი მოივლის კუთხე-კუნჭულს, ძირს დაკუზვას არ კადრულობს – მოგრძო ჯოხზე წვეტიანი მავთული აქვს წამოგებული და იმით კრებს ოსტატურად წინა დღით ჩვენი საამაყო ახალგაზრდების მიერ დანატოვარ ნაგავს – ჟურნალ-გაზეთების, ქაღალდების, ცელოფნების ნაგლეჯებს... – იგინება უშანგი, ეს რა ახალი მოდაა: ძელსკამის საზურგეზე აქვთ უკანალი ჩამოდებული, დასაჯდომზე კი ფეხებს აწყობენო, მე ამათი დედა ასე და ისე, სად იზრდებიან ე შობელძაღლები, მერე მაღალტარიანი ცოცხითაც გამოგვის იქაურობას, ისევ ბუზღუნებს, ერთი ცოცხი ვერ მომცეს რიგიანი, ასე ვწვალობ, მე ამ მერიის დედა ვატირეო...

უშანგის კვალში მიჰყვება ვახო ბოთლებისმგროვებელი, აბა, ცალკე „კოკა-კოლას“ ბოთლიო, ცალკე – არყისო.. ზოგჯერ იმდენს აგროვებს ჩვენი ვახო, რომ, სულო ცოდვილო, კიდეც ვფიქრობთ, წილში ხომ არ ჩავუჯდეთ...

„ბომჟების“ პარადი არის, ანტალიაში, ბიძიებო? სად ნახავთ... დგება დილა „ალექსანდრეს“ ბაღში და ნელნელა იღვიძებენ ძელსკამზე მძინარე, წვერმოშვებულები, ჩაზინზლული არსებები, ზოგი აუზთან მიდის და ცივი წყლით გრილდება, ზოგი სიგარეტის ნამწვავებს ეძებს... ხელს ვუწევთ, ვესალმებით... ერთხელ ჩვენი „კრუგის“ ღირსეულმა წევრმა ბონდო სენაკელმა კიტრი, პომიდორი, ყველი, ცხელი ლავაში და სიდედრის დაწურული „ადესა“ მოიტანა, გავშალეთ ძელსკამზე პურმარილი და „ბომჟებიც“ მოვიწვიეთ...

... ტატატა, რა იმხიარულეს, რა გაიხარეს... მე მაინც არაყი მირჩევნიაო, ერთმა. შეუკურთხა ბონდოიამ, დედიშენისამ, კონიაკი არ გინდაო!..

ბონდო ფიცხი მეგრელია... დააწყნარა წოპემ, რა დღეში ხარ... რო იცოდე, შენი ბოლო ეგ არისო... სადღაც ცხრის ნახევარზე ოთარი გამოცხადდება – შადრევნების ჩამრთველი, ამიტომაც „შადრევანიძეს“ ვეძახით. ჯერ აუზს დაუვლის და ბადით, გეგონება, თევზს იჭერსო, წინა დღით აუზში ჩაყრილი რამე-რუმეების ნარჩენები ამოაქვს, თან გიქდება: ერთი გამაგებინეთ, რომელ ქვეყანაში გინახავთ, ხალხი ასე ექცეოდეს თავის ქალაქსო (სხვათა შორის, ანტალიაში ამ მხრივ როგორაა საქმე?). ჩართავს შადრევნებს ოთარი, ჩამოგვიჯდება გვერდით და პოლიტიკის თემას „შემოაგდებს“ საუბარში (გურულია), სიცხიან ჰაერს კი შადრევნების შრიალი აგრილებს...

აჰა, მზესუმზირა და მიწის თხილი შემოიტანა ლენამ – აფხაზეთიდან დევნილმა შაოსანმა ქალმა. დაალაგა ტოპრაკები მუყაოს ყუთზე, თვითონაც იქვე ჩამოჯდა. ცოტა მოცილებით შუშანა ვაჭრობს, იგი ხელს არ უშლის ლენას – უფრო სასუსნავი ტკბილეული, „კევები“ და ფერად-ფერადი გასაბერი ბუშტები უწყვია ყუთზე.

იქვე, სხვათა შორის, სანდრო მრევლიშვილის თეატრი „გლობუსი“ დგას. გვიერთდება მისი ადმინისტრატორი ბეგლარი. შორტები ჩაუცვამს, ძლივს გავათენე, რა სიცხე იყო, წუხელიო, შემოგვჩივის. „აბა, შენი გადარჩენის უნდა დავლიოთ“, – ჩაილაპარაკა წოპემ. „მოგიკვდეთ ჩემი თავი, ლუდს ვკისრულობ, ძმაო“ – იღებს გამოწვევას ბეგლარი. „მაშინ „ვობლა“ ჩემზე იყოს“, – ამბობს ბონდო. „აბა, ჩვენც მივუმატებთ რაღაც-რაღაცეებს“, – ვამხნევებ ბიჭებს და, ცოტა ხნის შემდეგ, ასწლოვანი ნეკერჩხლის ჩრდილში პურ-მარილის თანხლებით ვაგრძელებთ მუსაიფს. ასეთ რამეებს ნახავთ ანტალიაში და ფიჯის კუნძულებზე?!.. მეტი არაა ჩემი მტერი.

ამიტომ არ გავდივარ ამ დალოცვილი ქალაქიდან, თვარა, ფული, რავა დემენანება... რო მქონდეს...

**ვილენ მარდალეიშვილი**



# ტურისტები ემილის გაურბიან

**მექსიკის კარიბის ზღვის სანაპიროზე ჩასული ათასობით უცხოელი ტურისტი იძულებული გახდა ღამე დროებით თავშესაფრებში გაეთია, რადგან იუკატანის ნახევარკუნძულს თავს დაატყდა გრიგალი ემილი.**

გრიგალმა, რომელსაც საშიშროების ხუთი კატეგორიიდან მეოთხე მიენიჭა, მიაღწია მექსიკის ტერიტორიაზე. ქარის სიჩქარე საათში 215 კილომეტრია. ემილიმ ამოგლიჯა ტელეფონის ბოძები, ძირ-ფესვიანად ამოთხარა ხეები. ზღვის სანაპიროებს თავს დაატყდა გიგანტური ტალღები. როგორც მეტეოროლოგები ვარაუდობდნენ, ტალღების სიმაღლემ შესაძლოა 3,6 მეტრს მიაღწიოს.

მექსიკის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეხურა ნავთობის ჭაბურღილების უმრავლესობა სანაპიროსთან მდებარე საბადოებში. მუშაობა შეწყდა ორ ნავსადგურშიც, რომლებიდანაც გააქვთ ნავთობი.

ქარიშხალი მიიწევს ჩრდილოეთისკენ, საათში დაახლოებით 30 კილომეტრი სიჩქარით.

ქარიშხლის მოქმედების ზონაში აღმოჩნდა კანკუნის პოპულარული კურორტებიდან სამხრეთით მდებარე რაიონი. „ყველაზე მძიმე დარტყმები განიცადეს კონზუმელის, პლაია დელ კარმენს და ტულუმის რაიონებმა“, – განუცხადა კორესპონდენტებს კანკუნის ტურისტური სამმართველოს წარმომადგენელმა ხოსე რევიოსამ. კვირას საღამოს კანკუნის აეროპორტიდან გაემგზავრა დაახლოებით 8 ათასი კაცი, რის შემდეგაც აეროპორტი დაიხურა. სულ კი ამ ბოლო დღეებში კურორტი დროზე ადრე დატოვა თითქმის 30 ათასმა ტურისტმა.

ტურისტული სამმართველოს შეფასებებით, უნდა გაეხიზნათ 23 ათასი კაცი.

სანაპიროდან მოშორებით მდებარე პატარ-პატარა სასტუმროებში ერთ ოთახში 15 ადამიანი ცხოვრობს. ამ სასტუმროებს თავი შეაფარა განურჩევლად ყველამ, როგორც ფეშენებელურ ხუთვარსკვლავიან ოტელებში მცხოვრებმა ტურისტებმა, ისე შედარებით ღარიბ სასტუმროებში გაჩერებულმა დამსვენებლებმაც. კანკუნის ერთ-ერთ სკოლაში მექსიკელმა ჯარისკაცებმა დააბინავეს დაახლოებით 2 ათასი კაცი და მათ კატეგორიულად აუკრძალეს შენობიდან გამოსვლა.

ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს სახიფათო ზონებიდან ადამიანების გამოყვანას, ყველას კარგად ახსოვს 1988 წელს დატრიალებული ტრაგედია, როცა გრიგალმა გილბერტმა, რომელმაც კანკუნის ტერიტორიას გადაუარა, ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. თუმცა, დამსვენებელთა შორის ძალზე გაბედული ადამიანებიც აღმოჩნდნენ. „ეს ჩვენი პირველი გრიგალია, და გვსურს კარგად შევხედოთ მას“, – თქვა ჯონათან მორისეტმა, რომელიც კანკუნში თავის მეგობარ ქალთან ერთად კვებეკიდან ჩავიდა.

# ისრაელში მასობრივი საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან

**სულ ცოტა 10 ათასი ებრაელი სამხედრო და პოლიციელი გადაიყვანეს რაიონში, რომელშიც, სავარაუდოდ, უნდა გაიმართოს ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარებისა და ებრაელთა დასახლებების გამოტანის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელიც ხელისუფლების მიერ არ არის სანქცირებული.**



წესრიგის დამცველ ორგანოებს მკაცრად უბრძანეს, რომ არ დაუშვან საპროტესტო აქციის მონაწილეთა შეღწევა დასახლებებში.

როგორც მოელიან, მთავრობის გეგმების მოწინააღმდეგე ათასობით ადამიანი შეიკრიბება ქალაქ ნეტივოტში, საიდანაც ისინი გაემართებიან ქისუფიმის ბლოკ-საგუშაგოსკენ – ღაზის სექტორის სამხრეთ ნაწილში ებრაულ დასახლებებში მთავარი შესასვლელისკენ.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იტყობინება, პოლიცია აპირებს, რომ მსვლელობის მონაწილეები არ გაუშვას ნიტივოტიდან, რადგან არის იმის საშიშროება, რომ დემონსტრაცია შეიძლება გახდეს პალესტინელი ექსტრემისტების მხრიდან რაკეტების და ცეცხლის დაშენის სამიზნე.

მსვლელობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ბენცი ლიბერმანმა პოლიციელების გადაწყვეტილებას უწოდა „დემოკრატიული უფლებების დარღვევა“.

როგორც ისრაელის არმიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა, კვირას ღამით, ქალაქ ქისუფიმის მახლობლად მოხდა შეტაკება პოლიციელებს და საპროტესტო აქციის დაახლოებით 200 მონაწილეს შორის.

გასულ ოთხშაბათს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ბრძანა, რომ ღაზის სექტორში განლაგებულ ყველა ებრაულ დასახლებაში, აგრეთვე, მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე ოთხ დასახლებაში, მკაცრად შეეზღუდათ შესვლა.

ებრაელმა სამხედროებმა აღმართეს ბლოკ-საგუშაგოები დასახლებებისკენ მიმავალ გზებზე და არ უშვებენ იქ არავის, ადგილობრივი მცხოვრებლების გარდა.

ისრაელის ხელისუფლების გეგმების შესაბამისად, ამ ქვეყნის ჯარებმა და დაახლოებით 8 ათასმა ებრაელმა მოსახლემ მთლიანად უნდა დატოვოს ღაზის სექტორი და მდინარე იორდანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ოთხი დასახლება.

ჯარების გამოყვანისთვის გამიზნული ოპერაციის განხორციელება 17 აგვისტოსთვის არის დაგეგმილი.

# სადამ ჰუსეინს პირველი ბრალდებები წაუყენეს

**ერაყის სპეციალურმა ტრიბუნალმა, რომელიც განიხილავს მმართველობის 25 წლის განმავლობაში სადამ ჰუსეინის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს, პირველი ოფიციალური ბრალდებები წაუყენა ერაყის ექსდიქტატორს.**



სასამართლო პროცესი რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა დაიწყოს. სადამს ადანაშაულებენ შიიტთა სოფელ დუჯაილში 1982 წელს დაახლოებით 150 კაცის მკვლელობაში.

შესაძლოა, რომ მას ასევე წაუყენონ 1980 და 1990-იან წლებში ერაყში ათი ათასობით ქურთისა და შიიტის მკვლელობის ბრალდებები. ჯერჯერობით გამოძიება გრძელდება.

ამავე დროს, ირანის პრეზიდენტმა მოჰამედ ჰათამიმ აღნიშნა, რომ დადგა გარდამტეხი მომენტი ერაყთან ურთიერთობაში და იგი ამას მხოლოდ მიესალმება. მოჰამედ ჰათამის თქმით, ერაყის პრემიერ-მინისტრის იბრაჰიმ ჯაფარის ვიზიტი ირანში ხელს შეუწყობს ქვეყნის დამხობილი დიქტატორის სადამ ჰუსეინის მიერ მიყენებული იარების მოშუშებას.

ერაყის პრემიერთან შეხვედრის შემდეგ, ჰათამიმ განაცხადა, რომ ერთმანეთს მტკიცედ უკავშირდება ამ ორი ქვეყნის უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხები.

ირანის პრეზიდენტმა დასძინა, რომ თეირანი სადღეისოდ აკეთებს ყველაფერს ერაყში სტაბილურობის აღდგენისა და ამ ქვეყნის დახმარებისთვის.

# ბელგიელებმა 167 მილიონ ევროდ იყიდეს „ტინკოფი“

**მსოფლიოში უდიდესმა ბელგიურმა ლუდის მწარმოებელმა** InBev **კომპანიამ განაცხადა, რომ 167 მილიონ ევროდ ყიდულობს რუსი მეწარმის ოლეგ ტინკოვის ლუდის ბიზნესს – სანკტ-პეტერბურგში მოქმედ კომპანია „ტინკოფს“.**

ეს კომპანია შეიქმნა 1998 წელს. ლუდის სახელი რესტორნების გარდა, მას ეკუთვნის ლუდის ქარხანა ქალაქ პუშკინში.

„ტინკოფი“ დამოუკიდებელ რუსეთში თავისი სიმძლავრით ლუდის მწარმოებელთა შორის მეოთხე ადგილზე დგას.

ამ კომპანიის შესყიდვა ბელგიელებს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ ერთბაშად 2,3 მილიონი ჰექტოლიტრით გაზარდონ რუსეთში ლუდის წარმოება და მომავლისთვის ეს მაჩვენებელი 4,8 ჰექტოლიტრსაც კი გაუტოლონ.

გარდა ამისა, „ტინკოფი“ რუსეთის ლუდის ბაზარზე არის სწრაფად მზარდი სეგმენტის „სუპერპრემიუმის“ ლიდერი (მაღალხარისხოვანი და ძვირფასი ლუდი) და აწარმოებს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბრენდის.

„ტინკოფის“ ყიდვის შედეგად ბელგიური კომპანია აპირებს გადაჭრას რუსეთში საწარმოო სიმძლავრეების უკმარისობით გამოწვეული პრობლემა. გარდა ამისა, „ტინკოფის“ შესყიდვით ბელგიელები გავლენ სანკტ-პეტერბურგის ბაზარზე, რომელზეც ეს კომპანია სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი.

ბელგიელებს იმედი აქვთ, რომ „ტინკოფის“ კომპანიის ყიდვა უკვე 2006 წლისთვის მოახდენს სასიკეთო გავლენას მათი კომპანიის მუშაობის შედეგებზე.

ოლეგ ტინკოვი შეინარჩუნებს კომპანიის კუთვნილ სარესტორნო ბიზნესს, გარდა ამისა, გარიგების შედეგების თანახმად, იგი შევა „სან ინტერბრერის“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც იცავს ბელგიური კომპანიის ინტერესებს რუსეთში.

◉ გამოძიება

# სკოტლანდ-იარდმა დაასახელა ტერორისტი-კამიკაძეების გვარები





**როგორც ინგლისის სპეცსამსახურები აცხადებენ, ლონდონში აფეთქებები ტერორისტმა-კამიკაძეებმა განახორციელეს. პოლიცია ჯერჯერობით ოფიციალურად იტყობინება სამი ექსტრემისტის შესახებ, ამის პარალელურად კი მიმდინარეობს პიკადილი-ლაინზე მომხდარი აფეთქების შედეგად დამწვარი კიდევ ერთი ცხედრის ამოცნობა, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე ტერორისტი უნდა იყოს.**

ჯერჯერობით ასახელებენ მხოლოდ სამი კამიკაძის გვარს – 22 წლის სანჰზად თანვირი, 19 წლის ჰასიბ ჰუსეინი და 30 წლის მუჰამედ სიდიქ ჰანი. ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები იმის თაობაზე, თუ ამათგან რომელმა, რომელ სადგურში აიფეთქა თავი. ზოგიერთი ინგლისური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიციელთა წყაროების დამოწმებით აღნიშნავენ, რომ ავტობუსში თავი აიფეთქა თანვირმა. ამ ადამიანის მეზობლებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ წინათ იგი რამდენიმე თვით მოგზაურობდა პაკისტანსა და ავღანეთში, ნაცნობები კი მას ახასიათებენ როგორც „კარგ ბიჭს, რომელსაც ყველასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა“. თუმცა, გაზეთ „სანის“ მონაცემებით, ორსართულიანი ავტობუსი ააფეთქა არა თანვირმა, არამედ ჰასიბ ჰუსეინმა. ცნობილია ისიც, რომ ტერორისტული აქტის განხორციელებამდე ორივე ეს ადამიანი ცხოვრობდა დასავლეთ იორკშირის საგრაფოს ქალაქ ლიდსში. იმ ავბედით დღეს კი მათ დაიქირავეს მანქანა, რომლითაც ქალაქ ლუტონში ჩავიდნენ, იგი ლონდონიდან დაახლოებით 48 კილომეტრზე მდებარეობს. იქ კამიკაძეები გადასხდნენ მატარებელში და ჩავიდნენ „კინგს-კროსის“ სადგურამდე. დილის 8 საათსა და 30 წუთზე სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს ოთხი ადამიანი, რომლებსაც საეჭვო ზურგჩანთები ჰქონდათ. მოგვიანებით აღმოაჩინეს ორი მანქანა, რომლებშიც ასაფეთქებელი მოწყობილობა იდო. ამ მანქანათაგან ერთ-ერთი გაჩერებული იყო „ლუტონის“ ვაგზლის მახლობლად. პოლიციელები ტერორისტების კვალზე დააყენეს მათმა ნათესავებმა, რომლებმაც ტერაქტიდან მეორე დღეს, დაახლოებით დილის 10 საათისთვის დაუწყეს მას ძებნა. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნმა ავტომობილის მართვის მოწმობამ და საკრედიტო ბარათებმა კიდევ უფრო განუმტკიცეს პოლიციელებს იმის ეჭვი, რომ მეტროს სადგურში აფეთქება სწორედ უგზო-უკვლოდ დაკარგულმა პაკისტანელებმა განახორციელეს. ტერორისტული აქტიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჩარლზ კლარკმა განაცხადა, რომ კამიკაძე, რომელმაც ავტობუსი ააფეთქა, ალბათ, ცდილობდა თავისი „მომაკვდინებელი ტვირთი“ მეტრომდე მიეტანა, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოახერხა.





ამ დღეებში პოლიციელებმა გაჩხრიკეს ექვსი სახლი ლიდსსა და ლუტონში და დააპატიმრეს ერთი ადამიანი, რომელიც, სავარაუდოდ, ტერორისტთა დამქაში უნდა იყოს. იგი კამიკაძეების ნათესავია და, როგორც პოლიციელები ეჭვობენ, სწორედ ეს ადამიანი ამარაგებდა მათ ასაფეთქებელი ნივთიერებით. სხვა მონაცემებით, სპეცსამსახურებმა ლიდსში იპოვეს იატაკქვეშა ლაბორატორია, რომელშიც ამზადებდნენ ბომბების კომპონენტებს.

ამავე დროს, დიდ ბრიტანეთში სულ უფრო ღვივდება ანტიმუსლიმანური ისტერია. ლონდონში დააკავეს ორი ქალი, რომლებსაც ბრალად ედებათ ქალაქის ერთ-ერთ მეჩეთში ვანდალური აქტის ჩადენა. ამ ქალებმა ჩატეხეს მეჩეთის ფანჯრის მინები. ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში დაუდგენელმა პირებმა ორ სხვა მეჩეთს დაუშინეს ცეცხლგამჩენი ხსნარით სავსე ბოთლები. გარდა ამისა, ტერაქტების შემდეგ დიდი ბრიტანეთის მუსლიმანთა საბჭომ მუქარით აღსავსე 30 ათასამდე წერილი მიიღო.

**ანა კუტირინა**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

◉ სენსაცია

# 11 წლის დედა



**8 ივლისს, მოსკოვის ერთ-ერთ რაიონულ გინეკოლოგიურ კლინიკაში, მეხუთეკლასელმა გოგონამ ვალია ისაევამ გააჩინა... გოგონა, წონით 2900 გრამი, სიმაღლით 50 სანტიმეტრი.**

რაკი ბავშვურ ორგანიზმთან ჰქონდათ საქმე, ექიმებმა რისკი არ გასწიეს და მშობიარობა საკეისრო გაკვეთით მოახდინეს. პაწია ქალბატონმა სამი კვირით ადრე ინება ამ ქვეყნად მოვლინება და ცოტა „უმწიფარია“, თუმცა სავსებით სიცოცხლისუნარიანი. მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მაინც დახურულ აკვანში მოათავსეს, სადაც ატმოსფერო სტერილურია და ჩვილი დამატებით ჟანგბადს იღებს.

ნორჩი დედა თუმცა ერთობ ფერმკრთალია, მაგრამ თავს ურიგოდ როდი გრძნობს. ის ფასიან ცალკე პალატაში წევს და პირველი კლასის მოვლითა და მკურნალობით სარგებლობს. ახალგამომცხვარი მამა – 19 წლის შუაბზიელი გასტარბაიტერი (ქირით მომუშავე) ჰაბიბი მცირე ხნით შეუშვეს ვალიასთან დასალაპარაკებლად და შვილის სანახავად.

ყველაფერი თუ ნორმალურად წარიმართება და ბალღი, დედასთან ერთად, სწრაფად მოკეთდება, ოთხ-ხუთ დღეში შინ გაუშვებენ. შინ კი უკვე მზად არიან ახალშობილის დასახვედრად.

ისაევებს (ვალიასა და მის გამზრდელ ბებიას) იმედი აქვთ, რომ სახელმწიფო შეარბილებს კანონებს, არ დასჯის 19 წლის ჭაბუკ მამას და ძველებურად დართავს მცირეწლოვან შეყვარებულთან ცხოვრების ნებას.

მომავალ სასამართლოზე გადაწყდება ყველაფერი. ჯერჯერობით მთავარი დედა-შვილის მოღონიერებაა.

...ეს ისტორია მკითხველებს 9 ივლისის „კომსომოლსკაია პრავდამ“ უამბო. ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს ქართველ ნორჩთა შორის უჩვეულოდ ნაადრევ მშობიარობას ვუწევდეთ რეკლამას. ღმერთმა დაგვიფაროს! უბრალოდ, თვალწინ გვაქვს კიდევ ერთი მაგალითი: რა სასწაული გინდა, ცხოვრებამ რომ არ გამოახტუნოს!..

◎ კადრების მომზადება

# დარგის ღირსებას ერთიანი ძალებით აღვადგენთ

**საქართველოს პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო კანონი საქართველოს კანონებში: „სტანდარტიზაციის შესახებ“, „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“, „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამით ამ სფეროებში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპულ კანონმდებლობას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასრულდა დროში ესოდენ გაჭიანურებული „საქსტანდარტის“ რეფორმირების საკითხი. ახალი კანონმდებლობის შესაბამისად მას ჩამოშორდა აკრედიტაციისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფუნქციები და გახდა სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.**

ამ ფონზე გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (№157, 5 ივლისი, 2005 წ.) რუბრიკით „საჭიროა ნამდვილი რეფორმა“ გამოქვეყნდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრის გელარი ბაქრაძისა და დამსახურებული სტანდარტიზატორის მალხაზ ყალაბეგიშვილის ინტერვიუ სათაურით „როცა უწყება გადამეტებულ ფუნქციებს იღებს“. ამ ინტერვიუში გაკრიტიკებული იყო ჩემი, როგორც „საქსტანდარტის“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელის, საქმიანობა და უწყებაში მიმდინარე რეფორმების პროცესი.

ობიექტურობისთვის საჭიროდ ჩავთვალე ამის ირგვლივ ჩემი მოსაზრებების გამოქვეყნება.

მოკლედ ჩემს შესახებ: დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტი, რის შემდეგ განაწილებით ვიმუშავე ყირიმში. 1965 წლის ივლისიდან ვმუშაობ „საქსტანდარტის“ სისტემაში. 1965-1975 წლებში გავაგრძელე ჩემი საქმიანობა მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინრის, უფროსი ინჟინრის, სექტორის უფროსის, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე; ამავე პერიოდში ვხელმძღვანელობდი მეტროლოგიის კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო კურსების თბილისის ფილიალს. 1975-1983 წლებში ვმუშაობდი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელად, რომლის ბაზაზეც შეიქმნა დღევანდელი სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი. ამ დაწესებულებას შემდგომში წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა გელარი ბაქრაძე. ამჟამად იგი დარგის დამოუკიდებელი ექსპერტია.

1983-2001 წლებში „საქსტანდარტში“ მეკავა განყოფილების უფროსის, თბილისის ცენტრის უფროსის მოადგილის, თბილისის ცენტრის უფროსის, მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობები.

1977 წელს მონღოლეთში ჩემი ხელმძღვანელობით მომზადდა სპეციალისტების პირველი ჯგუფი სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და ხარისხის მართვის სფეროში.

მრავალი წლის განმავლობაში ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკულ ფაკულტეტზე. ვარ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, მეტროლოგიის და მეტროლოგიური უზრუნველყოფის დარგში, 25 სამეცნიერო და ორი სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი.

რაც შეეხება სასწავლო ცენტრის პედაგოგიურ კოლექტივს, იგი შედგება სამი პროფესორის, ოთხი დოცენტის, ხუთი მეცნიერებათა კანდიდატისა და ხუთი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი ექსპერტისგან. ისინი ხელმძღვანელობენ მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით თუ წამყვან ქვედანაყოფებს და კანონმდებლობა მათ არ უკრძალავს პედაგოგიურ საქმიანობას.

თავისი კომპეტენტიის სფეროში კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ყოველთვის განეკუთვნებოდა „საქსტანდარტის“ ძირითად ამოცანებს, ვინაიდან მასში იყო და არის კონცენტრირებული სწავლისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და პედაგოგიური პოტენციალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1965 წლიდან მეტროლოგიის სფეროში სპეციალისტთა მომზადებას საბჭოთა კავშირის მასშტაბით ახორციელებდა „საქსტანდარტის“ სპეციალიზებული კურსები, შემდგომში კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მას ეწოდა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც „საქსტანდარტთან“ ერთად სტრუქტურულად შევიდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში. ინსტიტუტის სახელწოდებიდან გამომდინარე, მას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა „საქსტანდარტის“ ინსტიტუციური მოწყობისთვის გასატარებელ ღონისძიებათა განხორციელებაში. რეალურად ეს არ მოხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, როდესაც საწყის ეტაპზე შეიქმნა სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი, ინსტიტუტმა ამ ერთიანი სისტემის გარეთ ყოფნა არჩია და დარჩა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში.

ამით ინსტიტუტი, სამწუხაროდ, არ გახდა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების მონაწილე, როგორიც იყო სისტემის მუშაობის განმსაზღვრელი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნული სისტემების ჩამოყალიბება, აკრედიტაციის ევროპული პრინციპების დანერგვა. ეს იყო 1996 წელს. შემდგომი ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების (GEPLAK, TASIS) მონაწილეობით შემუშავდა „საქსტანდარტის“ სისტემის შემდგომი რეფორმირების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების გამო აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. მათივე დახმარებით სისტემისთვის მომზადდა ქართველ სპეციალისტ-ექსპერტთა ჯგუფიც. ბუნებრივია, ახალი მოთხოვნები გაჩნდა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართ, რაც განპირობებული იყო ქვეყნის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის ჰარმონიზაციით საერთაშორისოდ მიღებულ წესებთან და ნორმებთან.

იყო ცდა, რომ ეს ფუნქცია შეესრულებინა სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტს, რათა იგი გამხდარიყო ამ სფეროში საბაზო ორგანიზაციად და ამისთვის გამოეყენებინა „საქსტანდარტის“ მატერიალურ-ტექნიკური და პედაგოგიური პოტენციალი. მაგრამ ინსტიტუტი ჩამორჩა მიმდინარე რეფორმებს და შემოიფარგლა მხოლოდ სერტიფიკაციის ექსპერტების მომზადებით, რომელსაც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. დღეს ამ ინსტიტუტს მხოლოდ აბრა აკავშირებს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნულ სააგენტოსთან და მისი მომავალი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საფიქრალია.

ყოველივე ამან განაპირობა „საქსტანდარტის“ სასწავლო ცენტრის საქმიანობის განახლება, რაც განხორციელდა კიდეც საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ ფარგლებში. მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ დოკუმენტების გაცნობა არავისთვის არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სრულყოფა, გამომდინარე დღეს არსებული რეალობიდან, უპირველესი პრიორიტეტია. კერძოდ –

**სტანდარტიზაციის სფეროში:** სავალდებულო სტანდარტების ნებაყოფლობით გამოყენებაზე გადასვლა, ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივების დანერგვა, უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება და გამოყენება, მათ შორის ახალ სფეროში (მომსახურების სფერო, სოციალური სფერო, საბანკო საქმიანობა და სხვა) მოითხოვს შესაბამის სპეციალისტთა მომზადებას.

**მეტროლოგიის სფეროში:** საუწყებო მეტროლოგიური სამსახურების შექმნა და ფუნქციონირება, რთული გამზომი, დიაგნოსტიკური, ანალიზური აპარატურის დანერგვა პრაქტიკაში, მომსახურე პერსონალის სპეციალური მეტროლოგიური მომზადება, ხოლო მრავალრიცხოვანი დამამოწმებელი, საკალიბრო, გამზომი ლაბორატორიების მეტროლოგიური პროფილის პერსონალს კვალიფიკაციის პერიოდული ამაღლება ესაჭიროება.

**პროდუქციის შესაბამისობის დადასტურების სფეროში:** მეწარმეს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მომზადება და ცოდნა ნებაყოფლობითი სტანდარტიზაციის პირობებში თავისი პროდუქციის ბაზარზე განთავსების მექანიზმებისა და ხარისხის მენეჯმენტის სისტემებისა და შესაბამისობის დადასტურების პროცედურების შესახებ.

სერტიფიკაციის ორგანოებისა და საგამოცდო ლაბორატორიების სპეციალისტებს მოეთხოვებათ სპეციალური მომზადება ევროპული ნორმების, შესაბამისობის დადასტურების მოდულების, ასევე გამოცდების მეტროლოგიური უზრუნველყოფის საკითხებში.

აკრედიტაციის სფეროში პერსონალის მომზადების დონემ უნდა განსაზღვროს მომხმარებლის ნდობის ხარისხი იმ აკრედიტებული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ატარებენ პროდუქციის სერტიფიკაციის, გამოცდების, გაზომვის სამუშაოებს და საფუძვლად უდევს სამუშაოთა შედეგების ურთიერთაღიარებას.

შესაბამისი მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ცხადია, უპირველესად ეხება იმ მაკონტროლებელი ორგანოების პერსონალს, რომლებიც პროდუქციის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე საზედამხედველო სამუშაოებს ახორციელებენ. ამ იდეით არის შემოკრებილი ჩემს გარშემო გამოცდილ სპეციალისტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი.

„საქსტანდარტის“ მუდმივმოქმედი საატესტაციო კომისიის მუშაობას, საატესტაციო პირების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და ატესტაციის სფეროებს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ექსპერტიზაგავლილი და დარეგისტრირებული ნორმატიული აქტი „სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის დადასტურებისა და აკრედიტაციის სფეროში მონაწილე პერსონალის მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ატესტაციის წესი“. დადგება დრო და ამ კომისიას პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოები ჩაენაცვლება.

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესებში სპეციალისტთა ფართო წრის მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის შეფასების, ხარისხის მენეჯმენტისა თუ ბაზარზე ზედამხედველობის მიმართულებებით, გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ჩვენს სასწავლო ცენტრს მისი განხორციელების ყველა შესაძლებლობა აქვს. სასწავლო ცენტრის მსმენელებს ინფორმაციულ მომსახურებას უწევს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო ცენტრი, ხოლო მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, მატერიალურ-ტექნიკური და ლაბორატორიული ბაზით მას უზრუნველყოფს სააგენტოში შემავალი მეტროლოგიის ინსტიტუტი.

ასე რომ, „საქსტანდარტის“ ღირსება ჩვენს ქვეყანაში ერთიანი ძალებით უნდა აღვადგინოთ. ამიერიდან ეს სახელწოდება მეწარმეში მხოლოდ სასიკეთო ასოციაციას უნდა იწვევდეს.

**შოთა გლოველი,**
**სტანდარტიზაციის, მეტროლოგიის, შესაბამისობის დადასტურებისა და აკრედიტაციის სფეროში მონაწილე პერსონალის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების – „საქსტანდარტის“ სასწავლო ცენტრის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.**

**2005 წლის 28 ივლისს გაიმართება სს „საქმეტალკომპანის“ აქციონერთა საერთო კრება. მის: წინამძღვრიშვილის 110.**
**დღის წესრიგი:**
1. 2005 წლის შედეგების დამტკიცება;
2. სს „საქმეტალკომპანის“ მიერ კრედიტის აღება.

## განცხადება

**დაიწყო შპს „ელექტრას“ სალიკვიდაციო პროცესი. ვისაც საზოგადოების მიმართ გაგაჩნიათ რაიმე მოთხოვნა. გთხოვთ მოგვმართოთ დროულად შემდეგ მისამართზე:**
**ქ. თბილისი, ნუცუბიძის პლატო. || მკ/რ. რ-ნი. ||| კვარტალი, მე-5 კორპუსი. ტელ: 53-69-25.**

## განცხადება

**იყიდება ქუთაისის ასათიანის ქ. №98-ში განთავსებული მიწის ნაკვეთი 5 ჰექტარამდე და ძირითადი საშუალებები მინის ბოთლების ჩამომსხმელი ტექნოლოგიური ხაზი თავისი სახარში მოწყობილობით 2 ცალი: 1.-IS-10 – შვეიცარიული წარმოების 2.-R-7 ბელგიური წარმოების. ყოფილი სს „ქუთაისის მინის ტარის ქარხნის“ ტერიტორია.**

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**(231) 2-40-05 (ფაქსი) (231) 2-30-31,**
**893 21-14-77.**

# განცხადებები კონკურსების ჩატარების შესახებ

1. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ (ქ. ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფოთის № 23 ფილიალი, ა/ა № 623607, ბ/კ № 220101606 „თი-ბი-სი“ ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ახალი ელ.კაბელების, სადენების და „რეიჰელის“ ქუროების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**1. სადენი (ალუმინის) ÀÏÂ 1X16 – 2000 გრძ.მეტრი;**
**2. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) ÀÂÂÃ–0,6-1,0 3X35+1X16 – 1000 გრძ.მეტრი;**
**3. კაბელი დაბალი ძაბვის (ალუმინის) ÀÂÂÃ–1 3X120+1X70(95) – 4000 გრძ.მეტრი;**
**4. კაბელი დაბალი ძაბვის (სპილენძის)□ÂÂÃ–1 3X120+1X35(70) – 1000 გრძ.მეტრი;**
**5. კაბელი მაღალი ძაბვის (ალუმინის) ÀÑÁ–10 3X120 – 3000 გრძ.მეტრი;**
**6. კაბელი რბილი KÃ 1X25 – 500 გრძ.მეტრი;**
**7. კაბელი რბილი KÃ 1X35 – 500 გრძ.მეტრი;**
**8. სადენი (სპილენძის) ÏÏÂ 2X4 – 2000 გრძ.მეტრი;**
**9. სადენი (სპილენძის) ÂÂÃ-1 4X6 – 1000 გრძ.მეტრი;**
**10. სადენი (სპილენძის) ÏÂ-3 1X10 – 1500 გრძ.მეტრი;**
**11. რეიჰელის ქურო (120–150) – 40 ცალი.**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 20 აგვისტოდან 2006 წლის 01 იანვრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისი 11 საათამდე.

**4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**

**4.1 იურიდიული პირებისთვის;**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**4.2 ფიზიკური პირებისთვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 **იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი. (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის (თურქეთული წარმოების პროდუქცია არ განიხილება), ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 09 აგვისტოს $17^{00}$ საათი**, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52.

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

---

1. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ( ქ.ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: „გაერთიანებული ქართული ბანკის“ ფოთის № 23 ფილიალი, ა/ა № 623607, ბ/კ № 220101606 „თი-ბი-სი“ ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს ახალი ტრანსფორმატორების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**1. ტრანსფორმატორი თ□- 630-6/0-4 – 3 ცალი (ახალი);**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 აგვისტოდან 2006 წლის 01 იანვრამდე

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურში“.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისის 11 საათამდე.

**4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**

**4.1 იურიდიული პირებისთვის;**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**4.2 ფიზიკური პირებისთვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 **იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის წარმოშობის (თურქეთული წარმოების პროდუქცია არ განიხილება), ხარისხის და შესაბამისობის სერტიფიკატი.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის 17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 09 აგვისტოს $17^{00}$ საათი**, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52.

8. კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

12 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48

---

1. შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ ( ქ. ფოთი 4401, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52 ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის № 23 ფილიალი, ა/ა № 623607, ბ/კ № 220101606; „თი-ბი-სი“ ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101934) აცხადებს ღია კონკურსს საზღვაო ბუქსირების დამხმარე ძრავების შეძენაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**1. საზღვაო ბუქსირის დამხმარე ძრავი 3□–6 ან 3□–7 (ახალი, ქარხნული) – 2 ცალი;**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 ოქტომბრამდე.

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ცენტრალურ საწყობში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 25 ივლისის $11^{00}$ საათამდე.

**4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**

**4.1 იურიდიული პირებისთვის;**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**4.2 ფიზიკური პირებისთვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 **იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირები ტელეფონი-ფაქსი).

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან – გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური მახასიათებლების ნუსხა ან პასპორტი

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს, 500(ხუთასი) ლარის ოდენობით საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.№ 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48. 2005 წლის 27 ივლისის 10 საათიდან 29 ივლისის17 საათამდე

საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა „მიმწოდებელმა“ – ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ – მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 09 აგვისტოს $17^{00}$ საათი**, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52.

8. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

9. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

10. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

11 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. № 52, შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

ფეხბურთი

# ესტონელებს „ბეკოს“ დახვდება

**დღეს 19 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის I საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო შეხვედრა თბილისის „დინამო“ — ტალინის „ლევადია“. მატჩს ხორვატ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.**



გეახსენებათ, ამ გუნდების პირველი თამაშის წინ ქართველმა ფეხბურთელებმა სავიზო პრობლემების გამო რომ დააგვიანეს ესტონეთში ჩასვლა და, გარკვეულწილად, ამ მიზეზით დამარცხდნენ კიდეც — 0:1. გუშინ გაუთვალისწინებელმა გარემოებამ უკვე ბალტიისპირელები შეაფერხა — თვითმფრინავის ტექნიკურმა გაუმართაობამ მათი დელეგაციის გამომგზავრება რამდენიმე საათით დააყოვნა. იმოქმედებს თუ არა ეს ფაქტი საბოლოო შედეგზე, ამას დღეს შევიტყობთ, მანამდე კი დილის ბაზაზე მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის **კახი ცხადაძის** მიერ გუშინ მოწვეული პრესკონფერენციის შესახებ ვისაუბროთ.

— დასანანია, რომ მძიმე ტრავმის გამო მინიმუმ ექვსი თვით ძირითადი შემადგენლობის წევრი ნერგაძე გამოგვაკლდა — განაცხადა დინამოელთა თავკაცმა — მან ჯვარედინი იოგების ოპერაცია სასწრაფოდ უნდა გაიკეთოს.

— [illegible] შედეგი განაპირობა აგრეთვე ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა და ბიჭების შეუთამაშებლობამ — რადგან ეროვნული ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, ფორმირების სტადიაში მყოფი ჩვენი გუნდი ჯერ მოკლებულია სათანადო პრაქტიკას, თუმცა სელექციით კმაყოფილი ვარ და, რაც მთავარია, სწორ გზას ვადგავართ.

— საპასუხო შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ცვლილებები აუცილებლად იქნება, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ პირველივე წუთიდან ყველანი თავქუდმოგლეჯილნი შეუტევენ „ლევადიას“ — სასურველი შედეგის მისაღწევად წინ მთელი 90 წუთი გვექნება.

— [illegible]

***[illegible] ხელშეკრულებას (სურათზე). ასე რომ, დღეს ეროვნულ სტადიონზე მასპინძელთა მაისურებს ახალი წარწერა დაამშვენებს.***

* * *

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო XVII ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის კენჭისყრა.** მოგეხსენებათ, სფფ-ს სათავეში მოსვლისთანავე ნოდარ ახალკაცმა პირობა შეასრულა და უმაღლესი ლიგა 16-გუნდიანი გახადა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ რჩეულთა შორის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონების წარმომადგენელთათვისაც გამოიძებნა ადგილი. ასე რომ, 30 ივნისიდან საშინაო ფრონტს დამატებითი დატვირთვა მიენიჭება. გთავაზობთ დამდეგი ეროვნული ჩემპიონატის სასტარტო შეხვედრათა განრიგს (I ტურის მატჩების გამართვის სავარაუდო თარიღებია 30-31 ივლისი და 1 აგვისტო): „ტორპედო“ — „ამერი“, „ლოკომოტივი“ — „სიონი“, „დილა“ — „სპარტაკი“, „ბათუმი“ — „ბორჯომი“, „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ცხუმი“ — „ცხინვალი“, „კახეთი“ — „დინამო“, „თბილისი“ — „ზესტაფონი“.

**გია პლატონიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ზაფხული — 2005

# თოკის ტაძრის აღდგენაზე იმუშავებენ

**შაბათს დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ეზოში. არდადეგების მიუხედავად, აქ უამრავ ქალ-ვაჟს მოეყარა თავი. ზურგჩანთამოკიდებული ახალგაზრდები სალაშქროდ მიმავალთ ჰგავდნენ.**

— ესენი ჩვენი მოწინავე სტუდენტები არიან, — გვითხრა აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა პროფესორმა **დურმიშხან ჩიტაშვილმა.** — საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩევიან. სასწავლებელში ტრადიციად დამკვიდრდა ყოველწლიურად საქართველოს კულტურის ძეგლების აღსადგენად გამგზავრება. მაგალითად, შარშან ჩვენი სტუდენტები ფოკაში იყვნენ, წინა წლებში ლურჯი მონასტრის, ქვემო და ზემო ბეთლემის ეკლესიების, მამა დავითის ეკლესიის აღდგენით სამუშაოებზე გაისარჯნენ, დიდი ხის ჯვარი სიონიდან ჯვრის მონასტერში აიტანეს. ტრადიციას ახლა მომავალი თაობა განაგრძობს. სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირის თავმჯდომარე მამუკა მაღლაკელიძესთან ერთად ეს ახალგაზრდები საპატრიარქოს დაუკავშირდნენ და ორი კვირით ასპინძის რაიონში ერთ-ერთი ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოზე მიემგზავრებიან.

**მამუკა მაღლაკელიძე:** რექტორატის დახმარებით დიდი ხანია, ახლო ურთიერთობა გვაქვს სამცხე-ჯავახეთთან. ვეცნობით იქაურ პრობლემებს, ხშირად ჩავდივართ ამ მხარეში. ჩუნჩხა, აფნია და გოგაშენი ჩვენი საშეფო სოფლებია. რამდენიმე ჩუნჩხელი ახალგაზრდა ჩვენი სტუდენტია. შარშან შემოდგომაზეც ვიყავით ამ სოფლებში, სპორტული ინვენტარი და ტანსაცმელი ჩავუტანეთ. მაშინ შევიტყვეთ ასპინძის რაიონის სოფელ თოკის ეკლესიის სავალალო მდგომარეობა. შევხვდით იქაურ მოსახლეობას, რიონის გამგეობის წარმომადგენლებს. როგორც გვითხრეს, ეს ეკლესია არის, ფაქტობრივად, იერუსალიმის ერთ-ერთი ტაძრის ასლი. აღვუთქვით დახმარება და ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წინაშე ვუშუამდგომლეთ. სამინისტროს ხელმძღვანელებმა გულთან ახლოს მიიტანეს ეს სატკივარი და ამ ისტორიული ძეგლის აღსადგენად სახსრები გამოყვეს. სპეციალისტები უკვე თოკში არიან. საჭირო იყო მუშახელი. ჩვენმა სტუდენტებმა იქ გამგზავრების სურვილი გამოთქვეს. მათგან 15 ქალ-ვაჟი შევარჩიეთ: სალომე სარჯველაძე, ნინო ბალიაშვილი, ნატო შველიძე, დიანა მანგოშვილი, ირაკლი ისაიაშვილი, შოთა ჯანჯღავა, მიხეილ აბრამიშვილი, მიხეილ ჩერქეზიშვილი, გიორგი ციგრიაშვილი, კონსტანტინე ჩხენკელი, გიორგი ტულუში, კახა ხარიტონაშვილი, ალექსანდრე ჩახუნაშვილი და გიორგი რობიტაშვილი. ტულუში და ხარიტონაშვილი ახალგაზრდა პედაგოგები არიან.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენი აკადემიის რექტორს ბატონ დურმიშხან ჩიტაშვილს, რომლის განკარგულებითაც მგზავრობისა და კვების თანხა გამოგვიყვეს. სოფლის ერთ-ერთ ოჯახში ვიცხოვრებთ. გოგონები კერძებს მოგვიმზადებენ, ბიჭები ვიმუშავებთ. მთელი სოფელი მოუთმენლად გველოდება და ჩვენც ვეცდებით, მათი და ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელთა იმედები გავამართლოთ.

**— კულტმასობრივ ღონისძიებებს თუ გამართავთ?**

— საამისოდ დრო ნაკლებად გვექნება. თუმცა, იმას კი მოვახერხებთ, რომ ადგილობრივ ახალგაზრდებს მინიფეხბურთში, ფრენბურთში, შაშსა და ჭადრაკში შევეჯიბროთ. თოკის სკოლისთვის ამჯერად სპორტული ინვენტარი ვერ ჩაგვაქვს. საამისოდ შემოდგომაზე ვესტუმრებით. შარშან ერთ-ერთმა ქველმოქმედმა, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს, ახალქალაქის 7 სოფელს 1300-1300 ლარი გადაურიცხა შეშის შესაძენად, რადგან იქ ზამთარი თითქმის ნახევარ წელიწადს გრძელდება. ვეცდებით, წლეულსაც მოვძებნოთ ასეთი ღვთისნიერი ადამიანები და ეკონომიკურად შეჭირვებულ სოფლებს დავეხმაროთ.

**ნინო ბალიაშვილი, II კურსის სტუდენტი:** — საღმრთო საქმეზე მივდივართ და ყველანი დიდ მადლს მივიღებთ. მართალია, ჩვენმა ხელმძღვანელმა გოგონებს აქედანვე სამზარეულოში მიგვიჩინა ადგილი, მაგრამ სულ შინ ყოფნას არ ვაპირებთ — ბიჭების მხარდამხარ ჩვენც ვიმუშავებთ. მით უმეტეს, რომ ეკლესიის მოვლა-პატრონობას მიჩვეული ვარ. მე ხომ ქარელის რაიონის ისტორიულ სოფელ რუისში ვცხოვრობ. ერთხანს სიონში ვგალობდი კიდეც, თვით პატრიარქმა მაკურთხა მგალობლად. თუ სურვილი ექნებათ, თოკის ახალგაზრდებსაც ვასწავლი ქართულ საგალობლებს.



**მიხეილ აბრამიშვილი, მეორეკურსელი:** — ჩვენს აკადემიაში წლობითაა განმტკიცებული ისეთი ტრადიცია, რომელსაც საქვეყნო საქმის კეთება ჰქვია. მე და ჩემს მეგობრებს გვეამაყება, რომ ამ შესანიშნავი ტრადიციის გამგრძელებლები ვართ. უძველესი კულტურის ძეგლების დაცვა-აღდგენაზე, დიახაც, ახალგაზრდებმა უნდა ვიზრუნოთ.

**ზურამ ძაგანია, სპორტის აკადემიის პრორექტორი, პროფესორი:** — 40 წელიწადია, ამ უმაღლეს სასწავლებელში ვმუშაობ და საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული აქტიურად ვმონაწილეობდით მესამე შრომით სემესტრებში. უფრო ხშირად დანგრევის პირას მისული ძეგლების აღსადგენად ვაგზავნიდით სტუდენტებს. ახლაც 15 ქალ-ვაჟი მიემგზავრება ასპინძის რაიონში, მინდა, მათ გზა დავულოცო და წარმატებები ვუსურვო...

სპორტის აკადემიის სტუდენტები უკვე თოკში არიან. გუშინ მათ პირველი სამუშაო დღე ჰქონდათ.

**ვაჟა დანელია.**

**სურათზე: თოკში გამგზავრების წინ.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

ინფორმაცია

## ავტომანქანები — აღურიცხავი პროდუქციით

**ფინანსური** პოლიციის ქვემო ქართლის სამმართველომ აღურიცხავი პროდუქციით დატვირთული ოთხი ავტომანქანა დააკავა.

ოთხივე ავტომანქანა ძირითადად სამრეწველო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით იყო დატვირთული და თბილისისკენ მიემართებოდა.

დაკავებული ავტომანქანები ტერმინალშია გადაყვანილი, ტვირთს კი ექსპერტიზა ჩაუტარდა, რის შედეგად, კანონდამრღვევები 15 000 ლარით დაჯარიმდნენ.

## ფირმა — საბუღალტრო წიგნის გარეშე

**ფინანსურმა** პოლიციამ საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის სამი ფაქტი გამოავლინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსური პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, სამართალდამრღვევები შპს „ევროფასადის“, შპს „ევრაზია 2004-ის“ და აჭარაში რეგისტრირებული შპს „იმედი XXI“-ს ხელმძღვანელი პირები არიან.

ფირმებს არ გააჩნდათ საბუღალტრო წიგნი, რაც კანონის დარღვევაა. შესაბამისად, აღნიშნული ფირმების ეკონომიკური საქმიანობა არსად არ აღირიცხებოდა, რის შედეგადაც საგადასახადო დეპარტამენტი ფირმების ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ვერ შეისწავლიდა.

სამივე ფაქტზე ფინანსურ პოლიციაში წინასწარი გამოძიებაა დაწყებული.

## კონტრაბანდა ჰუმანიტარულის ნიღბით

**ფინანსური** პოლიციის ოპერატიული სამმართველოს თანამშრომლებმა ფოთში, ერთ-ერთ ტერმინალზე, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რამდენიმე კონტეინერი შეამოწმეს.

როგორც საბაჟო დოკუმენტაციაში იყო მითითებული, პირველ კონტეინერში, რომლის მიმღები საქართველოს მოქალაქეა, პირველადი მოხმარების საქონელი უნდა ყოფილიყო, მისი გახსნის შედეგად კი ტომატის ქილები და „აუდისა“ და „ფორდის“ ტიპის ორი ავტომანქანა აღმოჩნდა.

მეორე კონტეინერში აღმოჩნდა „ლექსუსის“ და „ინფინიტის“ მარკის ავტომობილები, რომლის მიმღებია აზერბაიჯანის მოქალაქე.



„ლექსუსის“ და „ინფინიტის“ მარკის ავტომობილები მესამე კონტეინერშიც აღმოჩნდა.

ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამმართველოს უფროსის მიხეილ ხახმიაშვილის თქმით, საქმე ეხება საბაჟო წესების დარღვევის ფაქტს და აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კონტრაბანდის მუხლით.

სამივე კონტეინერის დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ არის ჰუმანიტარული ტვირთი სინამდვილეში კი შემოტანილია კონტრაბანდის გზით.

## ხორცით მოვაჭრეთა აქცია

**გორის** საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე ხორცით მოვაჭრეებმა გუშინ აქცია გამართეს. ისინი იმ გადაწყვეტილებას აპროტესტებენ, რომელიც მოვაჭრეებს ავალდებულებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჯერ ახლად შექმნილ სასაკლაო ბაქანზე შეამოწმონ, სადაც იკვლება და შემდეგ შეიტანონ ბაზარში სარეალიზაციოდ.

მოვაჭრეები აცხადებენ, რომ იმ სარეალიზაციო ობიექტებში, სადაც ხორცს ყიდიან, არსებობს სანიტარიული ლაბორატორიები და იქ ამოწმებენ ხორცს.

როგორც მოვაჭრეები აცხადებენ, ახალი ობიექტის შექმნა მხოლოდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. „მოვაჭრეებს ეს კისერზე დაგვაწვება, რაც კატასტროფულად გამოიწვევს ხორცზე ფასების ზრდას“, - აცხადებენ მოვაჭრეები.

სასაკლაო ბაქანის ხელმძღვანელობა არ იზიარებს მათ მოსაზრებას და პოზიციების დათმობას არ აპირებს.

## „რუსთავწყალმა“ გარდაბანს სასმელი წყლის მიწოდება შეუზღუდა

**სს „რუსთავწყალმა“** გარდაბნის რაიონს სასმელი წყლის მიწოდება შეუზღუდა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას „რუსთავწყლის“ ხელმძღვანელმა ნოდარ შეროზიამ განაცხადა, გარდაბანი თვეში 35 ათასი ლარის ღირებულების სასმელ წყალს მოიხმარს, თუმცა მხოლოდ 3 ათას ლარს იხდის. მისივე ინფორმაციით, წლების განმავლობაში დაგროვილმა დავალიანებამ, უკვე 4 მილიონ ლარს გადააჭარბა.

შეროზია აცხადებს, რომ დიდი დავალიანების მიუხედავად, „რუსთავწყალი“ გარდაბნის რაიონს წყლის მიწოდებას მთლიანად არ შეუწყვეტს.

„ჩვენ გარდაბანს მრიცხველს დავუმონტაჟებთ. რაიონი წყლის საფასურს მოხმარების მიხედვით გადაიხდის. დღეს გარდაბანს წყალი ისევე მიეწოდება, როგორც ქალაქ რუსთავს. უსამართლობა იქნება „რუსთავწყალმა“ გარდაბანს წყალი უგრაფიკოდ, 24 საათის განმავლობაში მიაწოდოს, რუსთავს კი მხოლოდ 3 საათი“- დასძინა ნოდარ შეროზიამ.

მისი განცხადებით, რუსთავისა და გარდაბნის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების გასაუმჯობესებლად აუცილებელია „რუსთავწყალს“ დაუბრუნდეს და რეაბილიტაცია ჩაუტარდეს გარდაბნის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ ორ შახტურ ჭას.

შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით, რამდენიმე დღის წინათ, „რუსთავწყალის“ ხელმძღვანელი გარდაბნის რაიონისა და „გარდაბანწყალის“ ხელმძღვანელობას შეხვდა.

**ინტერპრესნიუსი**

კალათბურთი

# ავნებს სულსა, მერმედ... ტაბლოს

**1974 წელი. გერმანია. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის I ჯგუფური ეტაპი. გფრ — გდრ 0:1.**

**1978 წელი. არგენტინა. ასევე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის I ჯგუფური ეტაპი. არგენტინა — იტალია 0:1.**

ამ დამარცხებებით მასპინძლები ფინალამდე ორივე შემთხვევაში ასცდნენ შეხვედრას მთავარ ფავორიტთან — ჰოლანდიასთან, თუმცა გადამწყვეტი მატჩები ორივემ მოიგეს და ტიტულსაც დაეუფლნენ. ტრიუმფატორთა მწვრთნელებს — ჰელმუტ შიონსა და სესარ ლუის მენოტის, მიუხედავად ისტორიული გამარჯვებებისა, ერთხელაც არ მიუციათ საკუთარი თავისთვის უფლება, რომ ეთქვათ — ის თამაშები სტრატეგიული თვალსაზრისით შეგნებულად დავთმეთო.

იკითხავთ, ალბათ — რა შუაშია ეს ფაქტები, როცა კალათბურთზე ვსაუბრობთო. ახლავე მოგახსენებთ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ნუგზარ კანდელაკი ბულგარეთში, ევროპის ჩემპიონატზე („ბ“ კლასი) გამგზავრებამდეც და ტურნირის მსვლელობისას, დაბეჯითებით იმეორებდა — მთავარია, ფინალამდე მასპინძლებს ავცდეთ და „ა“ კლასში აუცილებლად გადავალთო. ამ ოცნების პირველი ნახევარი ბიჭებმა დიდებულად განახორციელეს — სტარტზე სუსტ მეტოქეებთან სამ გამარჯვებას ჯგუფური რაუნდის ფინიშზე სლოვაკებთან და პოლონელებთან ტაქტიკური დამარცხებები მოაყოლეს, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა — თითქმის მოგებული ნახევარფინალი უნგრელებთან უკანასკნელ წამებზე დათმეს — 69:71, „დესერტად“ კი კვლავ პოლონელებთან შერცხვნენ. IV ადგილი, გაისადაც „ბ“ კლასში ასპარეზობა და რვიდან ოთხი შეხვედრის წაგება — ასეთი გახლავთ ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეთა ბულგარული მონაგარი. დაგვეთანხმებით დიდი ვერაფერი შედეგია.



რასაკვირველია, გასათვალისწინებელია გუნდის ტრავმირებული ლიდერების — მარკოიშვილისა და სანიკიძის არყოფნა, ვარნაში ერთ-ერთ ვარჯიშზე ერქვანიას, ხოლო მოგვიანებით — ჩავლეიშვილისა და მამაცაშვილის დაშავება, გამყრელიძის, ათუაშვილისა და ჩხატარაშვილის სუსტი თამაში, მაგრამ... როგორც შესავალში აღვნიშნეთ, საგანგაშო ოსტატის მიერ წასაგებად შეგირდთა დამოძღვრაა, თორემ ტალანტთა ისეთ სამჭედლოს, როგორიც საქართველოა, ნაკრები, ადრე თუ გვიან, მაინც აღზევდება „ა“ კლასში.

ეს რომ ასე იქნება, ცინცაძის, საყვარელიძის, ვაშაკიძის, მდივნის, იმნაძისა და ფარღალავას გამოსვლა გვარწმუნებს — სწორედ მათი დამსახურებაა, ნახევარფინალს რომ ვუწიეთ.

**გია პლატონიშვილი**

ჩოგბურთი

# ლაბაძის „ჰეთ-თრიქი“

**გუნდის უდავო ლიდერის — ირაკლი ლაბაძის ძალისხმევით საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა შეინარჩუნა ადგილი დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში.**

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პირველი დღის შემდეგ განელებთან აკრაში მიმდინარე მატჩში ანგარიში თანაბარი იყო — 1:1. მეორე დღეს წყვილთა თანრიგში მოპოვებული გამარჯვებით ლაბაძე — ჩიხლაძის დუეტმა სტუმრები დააწინაურა — 2:1, ხოლო გადამწყვეტი ქულა ჩვენებს ირაკლიმ წვიმის გამო გაჭიანურებულ ორდღიან შეხვედრაში მოუტანა — 3:2.

რაგბი

# მოსკოვში ცივი შხაპი გვაგემეს

**ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიის ფინალური ეტაპი რომ მძიმე ბრძოლებს გვპირდებოდა, შეგუებულნი ვიყავით, მაგრამ ასეთ ფიასკოს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით — ამასწინანდელი ბათუმური რაუნდის გამარჯვებულმა საქართველოს ნაკრებმა მოსკოვში თორმეტი გუნდის ჭიდილში მეათე (!) ადგილი დაიკავა. გასაგებია, რომ შენს ტოლ-სწორს ყველგან და ყოველთვის ვერ მოუგებ, მაგრამ თუ მოლდავური და ლიტვური (ორჯერ) წინაღობაც დაუძლეველი აღმოჩნდებოდა, ალბათ, ვანგაც კი ვერ იწინასწარმეტყველებდა.**



გაგაცნობთ „ბორჯღალოსანთა“ მატჩების შედეგებს:

**„ბ“ ჯგუფი.** საქართველო — რუსეთი 12:17. საქართველო — საფრანგეთი 24:19, საქართველო — მოლდოვა 7:10, საქართველო — რუმინეთი 17:19, საქართველო — ლიტვა 14.14.

**ნახევარფინალი.** საქართველო — უკრაინა 12:10.

**მატჩი IX ადგილისთვის.** საქართველო — ლიტვა 7:17.

დავძენთ, რომ ფინალში პორტუგალიამ 28:26 სძლია რუსეთს და ზედიზედ მეოთხედ მოიგო ევროპის შვიდკაცა რაგბის სერია.

თავისუფალი ჭიდაობა

# შესანიშნავი შვიდეული

**მღიდარი ნადავლით ბრუნდებიან სამშობლოში ქართველი ფალავნები — ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში დასრულებულ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე მათ ერთი ოქროს (გიორგი ედიშერაშვილი, 50 კგ), ორი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. დაგვეთანხმებით, ათ წონით კატეგორიაში დამსახურებული შვიდი ჯილდო მრავლისმეტყველია და კიდევ ერთხელ ადასტურებს — საქართველოში არასდროს დაილევიან ჭიდაობის ტალანტები.**

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ იქვე თავი ისახელეს ჩვენმა ჭაბუკმა „კლასიკოსებმაც“ — აწ უკვე ევროპის ჩემპიონმა იაგო ხაჩიძემ (69 კგ) და ვიცე-ჩემპიონმა არჩილ თურმანიძემ (42 კგ).

ევროპის სტადიონებზე

# მხოლოდ შედეგები

**ინტერტოტოს თასი.**

**III ეტაპი.** I შეხვედრები. „ბორუსია“ — „სიგმა“ 1:1, „ლეირია“ — „ჰამბურგი“ 0:1, „ეგალეო“ — „ქალგირისი“ 1:3, „ვარტექსი“ — „ლანსი“ 1:1, „იანგ ბოიზი“ — „მარსელი“ 2:3, „როდა“ — „ლიბერეცი“ 0:0, „დეპორტივო“ — „სლავენი“ 1:0, „გიოტერბორგი“ — „ვოლფსბურგი“ 0:2, „დუბნიცა“ — „ნიუკასლი“ 1:3, „კლუჟი“ — „სენტ ეტიენი“ 1:1, „გენტი“ — „ვალენსია“ 0:0, „ლაციო“ — „ტამპერე“ 3:0.





საპასუხო მატჩები 23 ივლისს გაიმართება.

**რუსეთი**: XVI ტური. „ტომი“ — „ლოკომოტივი“ 0:0, „დინამო“ — „ზენიტი“ 1:2, „რუბინი“ — „სატურნი“ 0:0, „მოსკოვი“ — „სპარტაკი“ 3:1, „თერგი“ — ცსკა 1:0, „როსტოვი“ — „ტორპედო“ 1:1, „ალანია“ — „კრილია“ 2:0, „ამკარი“ — „შინიკი“ 0:0.

ლიდერთა ჯგუფი: „ლოკომოტივი“ — 38, „ზენიტი“ — 29, „რუბინი“ — 27, „მოსკოვი“ — 26 ქულა.

**უკრაინა.** II ტური. „ტავრია“ — „არსენალი“ (ხარკოვი) 2:1, „მეტალისტი“ — „კრივბასი“ 1:0, „შახტარი“ — „დნიპრო“ 2:0, „ზაკარპატია“ — „მეტალურგი“ (დონეცკი) 0:0, „არსენალი“ (კიევი) — „დინამო“ 0:2, „სტალი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1, „მეტალურგი“ („ზაპოროჟიე“ — „ვოლინი“ 0:1, „ილიჩოვეცი“ — „ვორსკლა“ 3:2.

ლიდერთა ჯგუფი. „ტავრია“, „მეტალისტი“, „შახტარი“ — 6-6 ქულა.

სპორტულ ორბიტაზე





## მსოფლიო რეკორდების დიდოსტატი

**რაღაც ორი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ქალთა შორის ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდების დიდოსტატმა, რუსეთელმა ელენა ისინბაევამ ლოზანაში მეთოთხმეტედ იზეიმა ყველაზე მაღლა გადახტომა — 4,93 მეტრი — და აი, უკვე მეთხუთმეტე რეკორდია. ამჯერად მან ერთხელ კიდევ თავი ისახელა მადრიდში IAAF Super Grand Prix სერიის ტურნირზე.** მან „ტრადიცია“ დაარღვია და ერთით კი არა, ერთბაშად ორი სანტიმეტრით მაღლა ააწევინა თამასა, რადგან ამას წინათ საბერძნეთში ხელი მოეცარა და ვერ დაძლია 4,94-მეტრიანი სიმაღლე.

ქარისა და დიდი სიცხის მიუხედავად ნამდვილად ბრწყინვალე ნახტომი გამოუვიდა და მეთხუთმეტე მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — 4,95 მეტრი.

როგორც ჩანს, ელენას მადრიდი კარგად დაებედა. მან ამ ქალაქში მეორედ შეასრულა მსოფლიო დონის ნახტომი.

## ნაიდიჩმა „სასწაული“ მოახდინა

**დორტმუნდის სუპერტურნირის მონაწილე მსოფლიო ჭადრაკის ვარსკვლავებს შორის ლატვიიდან გერმანიაში გადასულ არკადი ნაიდიჩს ყველაზე დაბალი სარეიტინგო მაჩვენებლები ჰქონდა და ამიტომაც ძნელად წარმოიდგენდნენ მას ფავორიტებს შორის. მაგრამ, საფეხბურთო ტერმინი „ბურთი მრგვალია და ყველაფერი შეიძლება მოხდესო“ თურმე ჭადრაკსაც მიუდგება.** „ყველაზე სუსტმა“ ნაიდიჩმა სასწაული მოახდინა და თითქმის ყველა ვარსკვლავი დაჩრდილა — 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულა დააგროვა და მთავარ პრიზს დაეუფლა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ბაკრო (საფრანგეთი), ვან ველი (ჰოლანდია), სვიდლერი (რუსეთი), ტოპალოვი (ბულგარეთი). 4,5-4,5 ქულა აქვთ ინგლისელ ადამსს და მსოფლიო ჩემპიონს კლასიკურ ჭადრაკში კრამნიკს. შემდეგ მოდიან ლეკო (უნგრეთი) — 4, სუტოვსკი (ისრაელი) — 3,5 და ნილსონი (დანია) — 3 ქულა.



## ბიძა-ძმისწულის ბენეფისი

**პალმა დე მალიორკაში გაიმართა გამოჩენილი ესპანელი ფეხბურთელის მიგელ ნადალის მატჩ-ბენეფისი. მინდორზე გამოვიდნენ ნადალის ყოფილი გუნდის „ბარსელონას“ ვეტერანები და ესპანეთის ნაკრები.**

„ბარსელონას“ შემადგენლობაში იოჰან კრუიფის ხელმძღვანელობით თამაშობდნენ სტოიჩკოვი, გვარდიოლა, ბაკერო, ფერერი, გოიკოეჩეა და სხვები. ესპანეთის ნაკრებში, ხოსე ანტონიო კამაჩომ გამოიყვანა სუბისარეტა, ლუის ენრიკე, ვასკესი, აგრეთვე, მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავი რაფაელ ნადალი, სწორედ მისი გატანილი ბურთით ანგარიში გათანაბრდა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. თავად 38 წლის მიგელ ნადალმა მორიგეობით ორივე გუნდში ითამაშა.



**სურათზე: რაფაელ ნადალი.**

## სასჯელიც ამას ჰქვია

**დოპინგისათვის მეტად მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს ეროვნული ჰოკეის ლიგისა და მოთამაშეთა პროფკავშირის ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაცია 21 ივლისს უნდა მოხდეს. ჰოკეისტები ამიერიდან დოპინგ-კონტროლს გაივლიან. სპეციალური დოპინგ-პოლიცია თითოეულ გუნდში სეზონში ორჯერ მივა და ვერც ერთი მოთამაშე ვერ აიცდენს მის შემოწმებას.**

ტესტებიდან თავის აცილება ითვალისწინებს შემდეგ სასჯელს: პირველ შემთხვევაში 20 მატჩით დისკვალიფიკაცია. მეორე შემთხვევაში 60 მატჩის გამოტოვება, ხოლო მესამე შემთხვევაში — სამუდამო დისკვალიფიკაცია.

## მოტომრბოლი მოაჯადოვა

**გამოჩენილმა იტალიელმა მოტომრბოლმა მაქს ბიიაჯიმ თავისი პირადი ცხოვრებისთვისაც მოიცალა — ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი, ისარგებლა რა მცირე შესვენებით, ახლა დროს ლაჟვარდოვან სანაპიროზე ატარებს „მის იტალია-2002“ — ელიონორა პედრონთან ერთად.**

მათ ერთობლივი ინტერვიუ მისცეს იტალიურ ყოველკვირეულს Chi: „სიყვარული და მეგობრობა — ესაა ამ ცხოვრებაში ყველაზე მთავარი, მაგრამ მისი მიღწევა იოლი როდია“.



ამჟამად ელეონორა მილანში ცხოვრობს, სადაც მას პირველ ფილმში იღებენ. ქალიშვილის მთავარი ოცნება ხომ მსახიობობაა, რისთვისაც ის გაკვეთილებს ღებულობს ცნობილ მსახიობ ქალებთან — მიშელ პფაიფერთან და რობინ რაიტთან.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ გივი ინწკირველი ესაუბრება თავის აღზრდილს კახაბერ წერეთელს 1966 წელი.

ᲒᲘᲕᲘ ᲨᲔᲧᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტოარქივიდან.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა.
ტელ: 99-66-10.

*ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.*

## „ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲡ“ ᲨᲔᲔᲛᲐᲢᲐ

# «საჩუქრის» საჩუქარი

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ „წიგნის სახლში“ საინტერესო ფოტოგამოფენა გაიხსნა, რომელიც მუდმივმოქმედი იქნება, რადგან ეს ფოტოები ამიერიდან „წიგნის სახლის“ საკუთრებაა.**

აღნიშნული გამოფენა ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქრის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ მეგობრების გარემოცვაში „წიგნის სახლს“ უსახსოვრა – ეს სწორედ ის ექსპოზიციაა, რომლითაც გაიხსნა შარშან თეატრალური ფესტივალი „საჩუქარი“.

აღმოსავლური სურნელების ძიების მუდმივი შეგრძნება გამოსჭვივის ამ ფოტოებში, რომლებიც ქალბატონ რებეკა მეტლოკს ეკუთვნის. იგი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის ჯეკ მეტლოკის მეუღლეა. ეს წყვილი თავის დროზე ძალიან ბევრს მოგზაურობდა, რაც წარმოდგენილ ფოტოებში აისახა – ეს გახლავთ მათი თვალით დანახული მსოფლიო, მათი დამოკიდებულება სხვადასხვა გარემოსა და ხალხის მიმართ. ფოტოკამერა ხშირად უცნობ სამყაროში „იჭრება“, შემოთავაზებული სერია პრაქტიკულად აფართოებს დამთვალიერებელთა ხედვის არეალს, ამასთან ძალიან მისტიკურია – თითქოს ავტორთან ერთად „ლაბირინთებში“ დასეირნობთ, რათა შეიცნოთ მარადიულობა...



**ქეთი დოლიძე**: – ვფიქრობ, ყველაზე უპრიანია ამ სურათებმა სწორედ აქ რომ დაიდო ბინა, შარშანდელი ფესტივალი „საჩუქარი“ და ეს გამოფენა ამ სახლის დირექტორმა,



ქალბატონმა ნინო ქადაგიძემ და ამერიკის ელჩის რიჩარდ მაილსის მეუღლემ შერონმა გახსნეს. წლეულს კი ამავე გამოფენით გაიხსნა „საჩუქარი“ კინომსახიობთა თეატრში, და მისი გაჩუქებაც მაშინ გადავწყვიტეთ.

**ნინო ქადაგიძე:** – ამ საინტერესო ფოტოებში კარგად ჩანს არა მარტო ის სამყარო, რებეკა მეტლოკს რომ აუსახავს, არამედ მისი პიროვნული დამოკიდებულება იმ გარემოს მკვიდრთა მიმართ. ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ეს ფოტოები სამუდამოდ დაიდებს ბინას ამ „წიგნის სახლში“, რაც ქეთი დოლიძის დამსახურებაა. ვიმედოვნებ, რომ მსგავსი გამოფენები მომავალშიც გაიმართება აქ.

**ᲚᲘᲙᲐ ᲨᲝᲜᲘᲐ**

## ᲒᲘᲮᲐᲠᲝᲓᲔᲜ!

# ჯერ ანანო, ახლა გვანცა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: 93-34-04; 99-73-24.



17 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ დიდი სიხარული ეწვია ჩვენს ოჯახს. ჩემს ქალიშვილს ეკატერინეს და სიძეს ერეკლე ქებაძეს მეორე შვილი, გოგონა შეეძინათ. სიხარულით ცას ვეწიეთ. პატარას გვანცა დავარქვით. უფროსებთან ერთად ხარობს 3 წლის ანანო და დედიკოს და პაწია დაიკოს შინ მოსვლას მოუთმენლად ელოდება.

დიდი მადლობა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ჩვენი სიხარულის გაზიარებისთვის.

მეორე შვილს ვულოცავ ჩემს ეკატერინეს და ერეკლეს. სიხარული ნუ მოუშალოთ ღმერთმა. ბედნიერ მშობლობას ვუსურვებ.

**ᲘᲐᲜᲘᲜᲐ ᲕᲝᲚᲙᲝᲕᲐ-ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ**

## ᲪᲝᲢᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲦᲘᲛᲝᲗ...



ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ – ᲔᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

* * *

ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ: ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲨᲔᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲮᲐᲠ, ᲨᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲒᲘᲓᲒᲐᲡ, ᲙᲐᲠᲒᲐᲓᲐᲐ, ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ, ᲔᲡᲔ ᲘᲒᲘ, ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲐᲓ ᲐᲣᲠᲩᲔᲕᲘᲮᲐᲠᲗ!

* * *

– ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲭᲘᲥᲐ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘᲐ, ᲒᲡᲣᲠᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ? – ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲑᲐᲠᲛᲔᲜᲘ ᲛᲘᲮᲝᲡ.

– ᲠᲐ ᲯᲐᲜᲓᲐᲑᲐᲓ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲭᲘᲥᲐ?

* * *

– ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ, ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲗᲥᲛᲐ ᲒᲡᲣᲠᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ?

– ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲜᲡ ᲡᲘᲤᲐᲗᲔᲖᲔ ᲠᲐᲘᲛᲔᲡ ᲒᲐᲚᲐᲛᲐᲖᲔᲑᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ!

* * *

– ᲓᲔᲓᲐᲨᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲠᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ, – ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲓᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲮᲝ ᲪᲝᲚᲡ.

– ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑ, ᲐᲑᲐ, ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲓᲔᲓᲐᲨᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲣᲗᲔᲑᲡ ᲘᲗᲕᲚᲘᲡᲝ?

– ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲔᲥᲘᲛᲛᲐ ᲨᲔᲜ ᲠᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲘᲠᲩᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲪᲣᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲖᲐᲓᲝ...

* * *

– ᲭᲐᲛᲔ, ᲨᲕᲘᲚᲝ, ᲞᲣᲠᲘ.

– ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ ᲞᲣᲠᲘ.

– ᲭᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲒᲐᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘ.

– ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ?

– ᲠᲝᲒᲝᲠ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲠᲐᲗᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲭᲘᲠᲓᲔᲡ.

– ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲮᲝᲛ ᲞᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ.

## ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲜᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ

# ლიმწუტა

ᲡᲮᲕᲘᲡᲐ რა მოგახსენოთ, მაგრამ მე პირადად ყოველდღე მეტროთი ვმგზავრობ, რა თქმა უნდა, მეც შემეძლო, „მარშრუტკით“ მევლო, მაგრამ მეტროს, გარდა იმისა, რომ ჯიბგირებითა და ბომჟებით სავსეა, სხვა ხიბლიცა აქვს – შეგიძლიათ ჟურნალ-გაზეთები, საწერი პასტები, ფარნები, კალენდრები, სხვა მრავალი წვრილმანი, შეიძინოთ, თანაც უამრავ მათხოვარს დაეხმაროთ.

ღმერთმა შეძლება მოგცეთ!

აი, იმ დღესაც ჩამოიარა ვაგონში ყველასთვის ნაცნობმა თმაგაბუწულმა გოგონამ: „დეიდებო, ბიძიებო, დამეხმარეთ, პონჩიკის ფული არა მაქვს...“

მაშინვე ყურში მომხვდა: „პონჩიკის ფული არა მაქვსო“. ადრე კი ყოველთვის პურის ფულს თხოულობდა. რა მოხდა? ეტყობა, მთელ ჩვენ საზოგადოებასთან ერთად, მათხოვრების ცხოვრების დონემაც აიწია. ყოველ შემთხვევაში ამ კონკრეტული ფაქტიდან სხვა დასკვნას ვერ გამოიტან.

მაგრამ ამას დააჯერებ ვინმეს? თუნდაც აი, იმ ლიმწუტა ქალბატონს, რომელიც ვიღაც ფაშფაშას გვერდით მისჯდომია და ათასჯერ ნამღერ „მელოდიას“ იმეორებს:

– აბა ამას ცხოვრება ჰქვია? უსახსრობის გამო კინოში ვერ წავსულვარ და თეატრში, ერთადერთი ტელესერიალების ყურებაღა შემრჩენია და მაშინაც მანერვიულებენ.

– შენც წყნარად უყურე, სად გეჩქარება? – ამშვიდებს ფაშფაშა.

– რომ არ მაყურებინებენ ეგ მიწადასაყრელები, სწორედ ეგ მაწყვეტს ნერვებს – ხუთ წუთს ფილმით შეგიტყუებენ, მერე კი რეკლამებით ტვინს გაგიბურღავენ.

– რას ერჩი, მერე ხომ ისევ ფილმს აგრძელებენ?

– კი აგრძელებენ, მაგრამ ამასობაში ადრე ნაყურები მავიწყდება, ქა.

– სამაგიეროდ თავად რეკლამებია, ქალო საინტერესო და მიმზიდველი. მე, მაგალითად, ვგიჟდები ბოლო ახალ სარეკლამო კლიპზე: „მიყვარს ბალი, მომე ბალი, მინდა ბალი“... ნახე რა შედევრი ლექსია, ახლა მუსიკა და შესრულების მანერა?

– შენ გიჟდები, მე კი გულზე ვსკდები, – წამოენთო ლიმწუტა.

– რატომ, ქალო?

– მთელი სეზონი ისე წავიდა, ქა, ბალი არ მიჭამია (სამი ლარი ღირდა!), თანაც ეხლა უკვე ატამი შემოვიდა, რაღა დროს ბალია?

– შენც სხვა პროგრამას უყურე, რაღა მაინც და მაინც ბალს მიაჩერდი? – გამოძვრა სიტუაციიდან ფაშფაშა.

– რომელს, ქალო, აბა რომელს? ადრე პარლამენტის სხდომებით ვერთობოდი, მაგრამ ბოლოს მაგათაც აურიეს.



– მაინც რომელი პარლამენტარი არ მოგწონს?

– მოწონებით არავინ, მაგრამ ბოკერია მაინც ნამეტანია – ყველას პირში ვარდება, თანაც დღეს ერთს ლაპარაკობს, ხვალ – მეორეს.

– მაგას, გენაცვალე, სპეციალურად აკეთებს, რომ ოპოზიცია გამოაცოცხლოს. ღმერთსა მადლი, რომ ასეთი სუბიექტი გადმოგვიგდო, თორემ ქვეყანაში ოპოზიცია საერთოდ არ გვეყოლებოდა.

– აბა, აბა, ხომ დავიღუპებოდით! – იჩქმიტა თეძოზე ლიმწუტამ, – მაგათ რომ არდადეგები გამოაცხადეს, ვიფიქრე, დავისვენებ-მეთქი, მაგრამ ახლა კიდევ ქუჩაში ატეხეს ხათქი-ხუთქი.

– გელაშვილზე ამბობ? – იყნოსა ფაშფაშამ, – ეგეც ოპოზიციური ფანდია. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ კამათი დარბაზიდან უბრალოდ ქუჩაში გადმოიტანეს.

– რა კამათი, ქალო, ვერა ნახე, კაცს ღრანჭი როგორ მოუქციეს?

– არაფერია, სამაგიეროდ მდგომარეობა აქვს სტაბილური. მალე ლიტვიდან გამოჯანსაღებული დაბრუნდება და უკეთეს ოპოზიციციურ ფორმაში ჩადგება.

– შენ მასე იცი, ყველას გადაეფოფრები, – უსაყვედურა ლიმწუტამ.

– ყველას არა, მაგრამ ჭიაბერაშვილის წასვლა ნამდვილად მეწყინა

– რატომაც არ გეწყინებოდა, გენაცვა, შვილი პატრულში გყავს, ქმარი – ბიზნესში, ახლა მე მკითხე რა დღეში ვარ.

– პირადულით არ ვსაზღვრავ, ნახე ქალაქი ევრორემონტით როგორ გამოპრანჭა.

– ჰო, კოსმეტიკას გადაყვა და თავად თბილისელები დაავიწყდა.

– აბა ასფალტი ჩინელებისთვის დააგო? ვერა ნახე, წასვლის წინ კაბინეტში ლაფატკაც კი უპოვეს.

– დავიჯერო, ლაფატკით მუშაობდა?

– მაშა, ქალო, იდგა და მთელ დღეს ცხელ ასფალტს ურევდა.

– მასე თუ უყვარს ეგ ლაფატკა, ადგეს და სტრასბურგში წაიღოს.

– მერე ასფალტი?

– რა მოხდა, აქედან გაუგზავნეთ, ქა.

– იჰ, იქ ასფალტი უკვე დაგებული ჰქონიათ.

– ნუ ჯავრობ, – გაამხნევა ლიმწუტამ, – ეგ ისეთი ჩიტია, უსამკუთხედოდ არც იქ დარჩება, თუ მაინც გაუჭირდა, მიშა მიეხმარება.

ერიჰაა, ლიმწუტა პრეზიდენტსაც გადასწვდა, გავიფიქრე და ჩასასვლელად გავემზადე. რა ვქნა, არ მიყვარს, როცა საკუთარ პრეზიდენტს აუგად ახსენებენ. შინაც ასე ვარ, პრეზიდენტის კრიტიკას დაიწყებენ თუ არა, მაშინვე ტელევიზორს რუსულ არხზე გადავრთავ. იქ კიდევ პუტინს აგინებენ, მაგრამ სხვისა პრეზიდენტი რაში მენაღვლება!

**ᲝᲗᲐᲠ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

## ᲮᲡᲝᲕᲜᲐ



### ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ

გარდაიცვალა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

იგი წლების განმავლობაში ერთგულად, კეთილსინდისიერად ემსახურებოდა ბავშვთა აღზრდის საქმეს.

ქეთევანმა 1941 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1943 წელს პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ხულოს რაიონის საშუალო სკოლაში, ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე იგი იყო ლანჩხუთის, ლაგოდეხის, თბილისის 58-ე საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებელი. 1964 წლიდან დღემდე მუშაობდა ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლაში. იგი კარგად ფლობდა საგანს, თანამედროვე ხერხებსა და მეთოდებს.

ქეთევან ჩხაიძეს ნაყოფიერი და უანგარო მუშაობისთვის მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები. ის იყო სახალხო განათლების წარჩინებული მასწავლებელი. დაჯილდოებულია მედლით „დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. ქეთევანი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად უძღვებოდა ვეტერანთა საბჭოს. მისი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად, დიდი ხანია, იმკიდა გაწეული შრომის ნაყოფს. რამდენი სიხარული გამოუცდია, რამდენი სიამოვნება მიუღია თავისი აღზრდილებისაგან.

მისი ნათელი ხსოვნა არასოდეს მიეცემა დავიწყებას კოლეგების, მეგობრების, აღზრდილების მეხსიერებაში.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-60 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ.**

---



დედა თინა, და თამარი, ბიძები ჯუმბერ, ჟორა ღლონტები და ამირან ელკანიშვილი, მამიდა მაყვალა ღლონტი, დეიდები ლოლა და ლალა ელკანიშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲦᲚᲝᲜᲢᲘ

პანაშვიდი 19, 20 VII. 16 სთ, გამოსვენება 21 VII, 14 სთ, ხორნაბუჯის (ყოფილი ვატუტინის, მე-8 საავადმყოფოსთან) ქუჩა № 47.

---

ჟუჟუნა ვაშაკიძე და გელა ღლონტი ოჯახით სამძიმარს უცხადებენ თინა და თამუნა ღლონტებს შვილისა და ძმის

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲦᲚᲝᲜᲢᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა ვაშაკიძე სამძიმარს უცხადებს თინა და თამუნა ღლონტებს

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲦᲚᲝᲜᲢᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

---

ვილენ მარდალეიშვილი და დაგმარა წერეთელი ოჯახით ღრმა სამძიმარს უცხადებენ რეზო მესხიძეს და მაია წერეთელს მამისა და მამამთილის

ᲛᲐᲛᲘᲐ ᲛᲔᲡᲮᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

---

შპს „გეო-ტეკი“-ს, შპს „იბერია“-სა და სნსკ „სამშენებლო კომპანი“-ის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამუნა გამყრელიძეს ბიძაშვილის

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ნინო, გია, რუსუდან სურგულაძეები, რძალი ნანა გოგუაძე, სიძეები როლანდ ბოქოლიშვილი, რევაზ ჯაში, შვილიშვილები გიორგი, თეიმურაზ, თამარ სურგულაძეები, რუსუდან, დიმიტრი ბოქოლიშვილები, და სოფიო, დისწული, ძმისწულები, მულისწულები, მძახლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲖᲘᲜᲐᲘᲓᲐ ᲡᲞᲘᲠᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ

პანაშვიდი 19 VII, 16 სთ, თბილისი, წულუკიძის IV შესახვევი, კორპუსი 7, ბინა 21. დაკრძალვა 21 VII, ოზურგეთის რ-ნი, სოფელი შემოქმედი.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ქეთევან ლაშხის ძმის

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡ ᲫᲔ ᲚᲐᲨᲮᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ძმისწულები კახა, ლელა აფაქიძეები, რძალი ნიგარი ნიჟარაძე, ბიძაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲐᲤᲐᲥᲘᲫᲔ

პანაშვიდი 19, 20 VII, 17 სთ, გამოსვენება 21 VII, 15 სთ, დიღმის მასივი, ახმეტელის ქ. 12. (კინოსტუდიასთან).

---

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე ბიბლიოთეკის დირექტორის, ღირსების ორდენის კავალერის

ᲨᲝᲗᲐ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲐᲤᲐᲥᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

პანაშვიდი 19, 20 VII, 17 სთ. გამოსვენება 21 VII, 15 სთ. მისამართი დიღმის მასივი, ახმეტელის 12, I სადარბაზო, მე-6 სართული (ახალ კინოსტუდიასთან).

---

თამაზ, თალიკო, ლია, თათო შაიშმელაშვილები, სოსო გულაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ მალხაზ და მარინა თავბერიძეებს დედის

ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲚᲝᲛᲘᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

## ᲘᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲗ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘᲗ!

**ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ** სამსახური – 022;
გენერალური პროკურატურა – 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო – 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო – 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო – 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო – 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო – 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო – 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება – 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია – 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია – 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია – 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური – 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი – 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება – 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში – 51-77-37.

## ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ

### 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3.1808 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8201 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1976 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0635 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0.3870 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0.4144 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3.6329 ლარი. |

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲓᲦᲔᲡ

| 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ | ☼ | ☾ |
|---|---|---|
| ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ | $39^0$ | $23^0$ |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | $36^0$ | $22^0$ |
| ᲡᲝᲮᲣᲛᲘ | $33^0$ | $22^0$ |
| ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | $34^0$ | $23^0$ |
| ᲗᲔᲚᲐᲕᲘ | $39^0$ | $22^0$ |

## ᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ

# უნდა ვიცოდეთ, ვინ არიან მამულიშვილები

**ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ გაბმული ტელეფონის ზარი გაისმა – ჰოლანდიიდან გვირეკავდნენ. ზარის ავტორი უცხოეთში მცხოვრები ქართველი გივი ქართველიშვილი გახლდათ. რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ დააინტერესა. თურმე ჩვენს გაზეთს იქაური ქართველებიც კითხულობენ. რა თქმა უნდა, ინტერნეტიდან.**

გამოხმაურება გასულ თვეში დაბეჭდილმა წერილმა **„მამულიშვილები“** გამოიწვია. იგი ეხება **გურამ შენგელიასა** და **ელგა ცქიტიშვილის** ახლახან გამოსულ ამავე სახელწოდების მეცნიერულ-პოპულარულ წიგნს, რომელშიც ზოგადად არის გაშუქებული ქართველი ერის სახელოვანი შვილების – სულხან-საბა ორბელიანის, გარსევან ჭავჭავაძის, სოლომონ დოდაშვილისა და გიორგი მაზნიაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა...

ჰოდა, სამშობლოს გულშემატკივარ ქართველს – გივი ქართველიშვილს წიგნის მოპოვება სურდა. დიდად დამავალებთ თუ, როგორმე წიგნს გამომიგზავნითო, გვთხოვა ტელეფონში.

რა თქმა უნდა, გვესიამოვნა და უმალვე წიგნის ავტორსაც ვაცნობეთ, რათა წიგნი მსურველისთვის როგორმე მიგვეწოდებინა.

ახლა ცოტა რამ წიგნის ავტორზე.

გურამ შენგელია დიდი მამულიშვილის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის შეგირდი იყო. უნივერსიტეტში ასწავლიდნენ აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერები – ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია... ამიტომ, რა გასაკვირია, რომ ასეთი მასწავლებლების ნამოწაფარმა ქართული ისტორია და კულტურა ძირფესვიანად იცოდეს.

არა მარტო „მამულიშვილებმა“, როგორც წიგნის ავტორმა თქვა, ასევე 1991 წელს გამოსულმა მისმა ნაშრომმა – „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია, რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917 წ.) ასევე პროფესორ ჩარლზ იურევიჩის დაინტერესება გამოიწვია.

წიგნი – „მამულიშვილები“ უკვე გააგზავნა ავტორმა ჰოლანდიაში და იგი ალბათ ბევრ იქ მცხოვრებ ქართველს დააინტერესებს.

**ᲠᲘᲢᲐ ᲩᲐᲙᲕᲔᲢᲐᲫᲔ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲩᲘᲮᲘ, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ-1“
დირექტორი ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

მთავარი რედაქტორი
ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ.
მორიგე რედაქტორი
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66434,
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ᲢᲔᲚ: 99-73-24.
ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ – ᲢᲔᲚ: 93-28-13.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲣᲢᲧᲣᲐᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ, ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲖᲔ ᲐᲜᲐᲬᲧᲝᲑ 2-2,5 ᲜᲐᲑᲔᲭᲓ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲡ ᲜᲣ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲔᲜ.